


రకరకం

10

2016



„ქართულად ფრიადი ქუეყანად აღიწიქცების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ფაძი შეინიწიის და ლოცვად ყოველი აღესრულებს, ხილით ყვრიელედსონი ბერძნულად ითქუძის, რომელ არს ქართულად: „უფალო წყალობა-ყაფ“, ვინა იუ: „უფალო შეგვწყალებ“.

ვიორგი მერჩულე, „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“.

951 წელი

საქართველო დიდი ქვეყანაა, რომელშიც ჟამის წირვა და ყოველგვარი ღოცვა ქართულ ენაზე აღეველინება. ბერძნულად ითქმის კვირიელეისონი, რომელიც ქართულად ნიშნავს: „უფალო შეგვიწყალებ“.

ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული
და საზოგადოებრივი ჟურნალი

არა30

ჟურნალს გამოსცემს

სამცხე-ჯავახეთის

სახელმწიფო

უნივერსიტეტი

10

2016

რედაქტორი - მერაბ ბერიძე

მოდელი - მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე

სარედაქციო საბჭო: გიორგი ბუცხრიკიძე

ლია ზაზაშვილი
ვახტანგ ინაური
მალხაზ ლომსაძე
ვასილ მამულაშვილი
ლერი ნოზაძე
ირინა ჯიშკარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, თბილისი
რეზო შეროზია, ზუგდიდი
ზაირა კელოშვილი, ათენი

უცხოეთთან თანამშრომლობის

ბიურო: ლალი ბერიძე

მაია ქუქჩიშვილი

მხატვარი: ნანა ყორანაშვილი

მდივანი - ზაირა გელაძე

საგამომცემლო ჯგუფი: ლია ზედგინიძე

ლარისა გურგენიძე

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №106

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016

ISSN 2346-836X

პოეზია

გურამ პეტრიაშვილი

დავიბადე 1942 წლის 16 მაისს. 1948 წელს წავედი სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1958 წელს. იმავე წელს ჩავაბარე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დავამთავრე 1964 წელს, მექანიკის სპეციალობით. 1965 წელს ვიყავი საბჭოთა არმიაში.

შემდეგ ვმუშაობდი გამოთვლით ცენტრში ლაბორანტად, თბილისის ავტომატიკის (გეგე-შიძის) ინსტიტუტში, საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად სოფლის სკოლებში.

ბეჭდვა დავიწყე 1966 წელს. ვბეჭდავდი ლექსებს, პატარ-პატარა მოთხრობებს. 1971

წელს დავიწყე ზღაპრების წერა. დღემდე გამოცემული მაქვს ლექსებისა და ზღაპრების რამდენიმე, ხოლო ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილების ორი კრებული. გადაღებული მაქვს სამი მხატვრული ფილმი, რამდენიმე ნახატი ფილმი. როგორც მსახიობი, გადაღებული ვარ ორმოც მხატვრულ ფილმში, სახ-ასიათო თუ მთავარ როლებში.



თოვლი

შენ აქ ისე ლამაზადა დგახარ,
ავტობუსი ნეტავ ნულარც მოვა,
რა ლამაზად დაბარდნულან ხენი,
რა კარგია თოვლზე თოვლის თოვა.

შენ უღიმი შენს ოცნებებს ნაზებს
და ვერ ამჩნევ დაჟინებულ მზერას,
ნურც შემამჩნევ, რა სჯობს, აი, ასე,
ჩუმად შენი სილამაზის ცქერას...

ეჰ, ცუდია ავტობუსი მოდის,
ნაგიყვანს და აქ დავრჩები მარტო,
ახლა აქ რომ თავს მენგრევა ზეცა,
აბა, ვინმეს როგორ განვუმარტო.

ჭინჭრაქა

ჭინჭრაქა გულალმა დანვა,
შურით აივსეთ, მაგრებო!...

ზეცა თუ ჩამოვარდება,
ფეხებით შევიმაგრებო.

ციცქენა ჩიტია ჭინჭრაქა,
პანანინა აქვს ფეხები,
გასაგებია, ამ საკითხს
ასე მჭიდროდ რომ ვეხები:

ამ საცოდავი ჩხირებით
რას შეიმაგრებს ზეცასა,
თუკი მოადენს ცის თალი
უცებ მინაზე ლენასა.

მაგრამ მოელის გულადად,
აბა, ჰე, მოდი, ზეცაო,
ჩამოდი, ჩამოზრიალდი,
აქ დაგიხვდები მეცაო.

აღტაცებული შევეყურებ
და მისი ძმობა მწყურია,
ამ უღიმღამო სხეულში
ძგერს გმირთაგმირის გულია.

პერახდენილი იგავი

ყვავმა იპოვა ყველი, აფრინდა, დაჯდა ტოტზე
და ელოდება მშვიდად, როდის მოირბენს მელა,
წესიერია ყვავი და წესისამებრ ფიქრობს,
რასაც იგავი ამბობს, უნდა ასრულდეს ყველა.
მაგრამ, ეტყობა, მელას რალაც სხვა საქმე ჰქონდა,
საქმე კი არა, იქნებ, რალაც გეგმები მთელი,
სადღაც ელოდა ძეხვი, ერთი კი არა, შვიდი,
ანდა ყვინჩილა შტერი, ან უფრო დიდი ყველი...
ყვავს ჩაეძინა ხეზე, ყველი მინაზე გდია,
გამოირბინა კატამ, რომ არ კითხულობს წიგნებს,
არაფრად აგდებს იგავს, არაკებსა და ზღაპრებს,
ყველს თუ იპოვის, შეჭამს, გზას უწიგნებოდ იგნებს.

ესგა ონიანს

მხატვარო, შენი ღვინის ფერი მოედო ქალაქს,
აბორგებულმა შეაღწია უკვე გულებშიც.
ცხადია, ყველა მთრთოლვარე და აღტაცებულში
და სათავისოდ მიძინებულ-მინაბულეებშიც.

* * *

ასე მგონია, ლამაზია ესე ამბავი
და შენც, ძმაოსა, ნუ გგონია ამბავი შავი,
როცა ლამაზ ქალს ლეოპარდის ქურქი აცვია,
ცოტათი მაინც ლეოპარდი ჰგონია თავი.

* * *

შენ გამიღიმე და მიამბო იმ გაღიმებამ,
რომ მპირდებოდი, ნამიყვანდი ცის ლაჟვარდებში...
აღარ მიღიმო. ახლა ვწევარ მთლად დასისხლული
ეკლების გროვად გადაქცეულ გამხმარ ვარდებში.

* * *

მიჰყვება დედას პანანინა და საყვარელი...
და როგორც დიდ ქალს თავზე კოხტად შლაპა
ახურავს,
ასე შეჰღიმის დიდ გორაკზე ლამაზი სახლი
მისებრვე ლამაზს და კოპნიას თავის სახურავს.

ქმოზილაზი

ძმობილი მყავდა მე თუთიყუში
და ღვიძლ ძმასავით ძლიერ მიყვარდა...
მაგრამ ერთ დილით, მოულოდნელად,
რატომლაც ცხვირში ჩამინისკარტა.

ვერც კი გადმოგცემთ, რა მწარე იყო,
ცრემლი მომადგა, ისე მეტკინა,
მაგრამ მთავარი ის იყო, ძმებო,
მეტკინა, მაგრამ უფრო მეწყინა.

ვკითხე, რად ჩამცხე, ჩემო ქოჩორავ,
ძმაკაცს რომ მირტყამ, არა გრცხვენია?
შენ თუ ჩამარტყი, მეც უნდა ჩაგცხო,
სხვა გზა, მითხარი, რა დამრჩენია?

მითხრა, ბოდიში, ჩემო ძმობილო,
ხანდახან უცებ თავბრუ მეხვევა,
ამიჭრელდება მაშინ თვალები
და მეგობარი მტერში მერევა.

შედი თხილნარში, მოჭერი წკეპლა,
ჩემი საჯდომი წკეპლით ახურე,
არ მოგერიდოს, არ შემებრალო,
ეს მე ნამდვილად დავიმსახურე.

ვუთხარი, ძმაო, აბა, რას ამბობ,
შენ ხომ ჩემ ნაცვლად მტერსა ხედავდი,
მტერს კი, კეთილო, მე შენს ადგილას
ტყვიის სროლასაც გავუბედავდი.

არა, არ მინდა მე შენი დასჯა,
ნულარ გექნება თავბრუს ტრიალი,
თორემ ერთხელაც რომ შემოგაკვდე,
ხომ შეგძულდება თავი ტიალი.

მერე ორივემ ერთად ვიტირეთ,
იყო ცრემლები ჩვენი ალალი,
სიალალეზე უფრო ძვირფასი
ამ ქვეყანაზე რამე არ არი.

საბავშვო ლექსები

პონის ამბავი

მდინარისპირს იდგა პონი,
ვერ იპოვა პონმა ფონი,
იდგა სანწყლად, ვიდრე წყალმა
მოიტანა პატეფონი.
პატეფონმა რომ დაუკრა,
გახალისდა მაშინ პონი,
გაიარა მდინარეზე,
არ დასჭირდა მეტად ფონი.

შიო და ქათმები

მოხდა ამბავი საცრემლო,
ვისაც გული გაქვთ მგრძნობელი,
მეც ცრემლი დამდის, როდესაც
ამ ამბისა ვარ მთხრობელი.
შიოს დასდევდნენ ქათმები,
შიო აჭმევდა ნამცეცებს,
ტიროდა: როგორ დავკლავო,
ამ საყვარლუკებს და ცეცებს.

.....
აღარა ცხოვრობს აქ, შიო,
შიოს ქათმებო „აქში“-ო.

ორთქმავალი და ვაგონები

ორთქმავალს მისდევენ ვაგონები,
კარგი ბავშვებივით გამგონები,

ეჰ, ეჰ, ეე, იცინის ორთქმავალი,
მოხუცი და მაინც ონავარი.

ოხ, ოხ, ოხ, ოხრავენ ვაგონები,
მთებში და კლდე-ლრეში ნაგორები,

ორთქმავალს კარგი აქვს განზრახული
გვიმღერებს მუდმივი გაზაფხული.

ვაგონებს სულ მუდამ ეძინებათ,
ყველგან გაჩერება ესიზმრებათ.

ორთქმავალს არ უყვარს გაჩერება,
არა სურს სიბერის დაჯერება.

მიჰქრის და მიქმინავს ცეცხლის მყრელი,
თვალთა მუგუზლებით ბნელის მჭრელი.

ტირიან დაღლილი ვაგონები,
ნაზები და გულში საკონები.

სივრცეებს მიჰკვივის ორთქმავალი
შუქთა ელვარებით მომავალი.

მე და კენგურუმი

მე და კენგურუმი სკუპ-სკუპით
შემოვიარეთ ქალაქი.
ძალიან გვსურდა, გვეპოვა
ერთი ცნობილი დალაქი,

რომელიც, თუმცა, არასდროს
არსად თავის თავს არ იქებს,
ოსტატურად კი აკეთებს
თავის ხუჭუჭა პარიკებს.

ბოლოს... ვიპოვეთ ოსტატი,
არ დაგვამაძლა სალამი,
არ შეარცხვინა ნამდვილად,
მისი ხელობის ალამი...

გვაჩვენა, გადმოგვილაგა,
რაც გასაყიდად უნდოდა,
თან გვიყვებოდა რამეებს,
ხალისით, განა უნდოდა.

ორივე დიდხანს ვარჩევდით,
რა უფრო მოგვიხდებოდა,
კენგურუ სიამისაგან
სულ მაღლა-მაღლა ხტებოდა...

ბოლოს... ოსტატმა გვიჩნია
რათა შვიდ-შვიდი გვეყიდა,
ერთი გვექონოდა ყოველდღე,
ექვსი მინ ჩამოგვეკიდა.

რჩევა ჭკუაში დაგვიჯდა,
ოსტატს მაღლობა ვუთხარით,
გამოგვაცილა ღიმილით,
არ დარჩა სახით მნუხარით.

და... ამის შემდეგ ქალაქში
ორი ხუჭუჭა დავხტივართ,
თუ გინდათ, ორი „ახტი“ ვართ,
თუ გინდათ, ორი „დახტი“ ვართ.

ოღონდ ესაა, არასდროს,
როგორც წესია და რიგი,
ერთი ფერისა არა გვაქვს
ჩვენ ერთნაირი პარიკი.

დღეს მე წითელი თუ მხურავს,
ის დაიხურავს ყვითელსა,
ის დაიხურავს მწვანესა!
მე კი ვიხურავ წითელსა...

ნუ ფიქრობთ, განგებ ვცდილობდეთ,
არ დავამთხვიოთ ფერები,
რა ვქნათ! სხვადასხვა თუ მოგვწონს
ფერი, სურნელი, ბგერები.

და... თუმცა, ძმაკაცები ვართ,
და მეც მასავით დავხტივარ,
ის მაინც არის კენგურუ,
ხოლო მე მაინც კაცი ვარ.

პოეზია

გიორგი ხულორდავა

გიორგი ხულორდავა — მთარგმნელი, პოეტი. დაიბადა 1996 წლის 6 ნოემბერს მარტვილის რაიონში. 2015 წელს დაამთავრა ბესიკ ხულორდავას სახელობის სოფ. სალხინოს საჯარო სკოლა და სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, აღმოსავლეთმცოდნეობის განხრით, ირანული ფილოლოგიის კათედრაზე. ამავე წელს მხატვრული თარგმანის ნომინაციაში გადაეცა საყმაწვილო ლიტერატურული პრემია „ამირანი“. არის „მთარგმნელთა კლუბის“ წევრი. 2014 წელს გამოიცა მისი „რჩეული თარგმანები“. „მთარგმნელის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოსულ ფრანჩესკო პეტრარკას სონეტების პირველ ქართულენოვან გამოცემაში (შემდგენელი: ალექსანდრე ელერდაშვილი) შევიდა მის მიერ ნათარგმნი რამდენიმე სონეტი. მისი თანაავტორობით გამოსაცემად მზადდება მეგრული ლექსების კრებული „აგოთანა“.



ფრაგმენტები დღიურიდან

დღეთა სითეთრე, ფურცლის
სუნთქვა გამაჩნდა გვერდით
და შხამნადული სიმარტოვის
მწარე აურა,
შენ მოგონების ფერად ნოტებს სიფითრით წერდი,
დრომ რომ მომაგო,
იმ სიშორის ყრუ საზღაურად.
უსაყვარლესო! დღეს დუმილი, შენსავით მძაფრი,
ბაგიდან ჩუმად დაიღვრება,
შავ-თეთრ გამებად,
თუ ვინმე იყო, შენ იყავი ის ბოლო ძაფი
და ბოლო ლექსის
სევდიანი აკამკამება.
გმადლობ ათასწილ! თუ ამაზე მადლობა ითქმის,
როცა მზისაკენ მიიწევა

ბნელი ამაღა,
სიშორის ფერიც ჩაინავლა მზერაში თითქმის
და ცისკიდურზე
ერთხელაც ვერ შეიფრთამალა.
ტკივილს, იმედის ხელეზამდე პეშვით ატანილს,
კარგა ხანია, დაქანცული,
შევყურებ ცერად,
ყამიდან ყამზე ისე მხატავს ჩუმი მხატვარი,
როგორც პორტრეტზე
უსიცოცხლოდ დალექილ მზერას.
წერილს გუშინდელს შენი თავი დააკლდა თუნდაც,
ბოლო სიტყვებიც
უსიცოცხლო თარიღს მიება,
ესენინივით საკუთარ თავს შევპირდე უნდა,
რომ ზამთრის ბაღში
არ დავიწყებ ვარდის ძიებას.
„Коль нет цветов среди зимы,
Так и грустить о них не надо.“

* * *

*„მიდიხარ, ისე მიგაქვს წვალება“
გალაკტიონი*

მიდიხარ... ხვალე მიემგზავრები,
იხსნება ხსოვნის ფერადი ფარჩა,
ჩამოქცეული ბედის ყავრები,
მოგონებათა წვიმაში დარჩა.
ვით ბროწეულის წითელი ხსოვნა,
გაიხლიჩება ორად წარსული,
რომ თვით სიშორე - სიკვდილის თხოვნა,
მალამოდ იქცეს, გულზე წასმული.

* * *

მე კი არადა, შენც ხვდები, ალბათ,
ბოლო საკბილოს
რომ არ ვეშვები,
ფერადი ლელვის სამოსელს ვლამბავ,
დრომ რომ გამოჰკრა
ბევრჯერ ეშვები.
ახლა იმ დროის დაფჩენილ ხახას
კრძალვით ვუმზერ თუ
ფუყე დიდებით.
შენი თასიდან ლენცოფას ვხაპავ,
უკანასკნელი
გაბედიტებით.

შეხვედრა
შეგხვდება, როგორც ქარი თუ სიო,
ჩამდგარი ლელვის
ჩამქრალ ზმანებად
და ამოქოლავ იმ ბოლო ლიობს,
დღემდე რომ გიყვარს
და გენანება.
მიხვდები, მხარსაც ველარ აუბამ,
დროს მხარაქცევით
ტკივილი მიაქვს
და გაიხსენებ ბოლო ნაუბარს:
„ყვავილიც ჭკნება
ადრე თუ გვიან“.
და ამ ყველაფრის ავან-ჩავანი
(არ ჩამოიქცა
ზეცა და მეხი!):
-მერე რა მოხდა, - იტყვის მავანი,
-არც არაფერი. კიბესთან შევხვდით.

* * *

რაც ვარ, ისა ვარ,
ასეთი დაერჩი.
პირშავად ვჩანვარ, შენთან მართალი,
ძველი დღეების
ნაცნობი მარშით,
ძველი თევზივით, მარტო ფართხალით.
მივდივარ და იმ
ერთადერთ სისხამს,
ვიტოვებ ნატვრის ფერად გუნდებად,
იმ ბოლო სასჯელს
და ბოლო რისხვას,
წინ ნულარავინ გადაუდგება.
...და სიკვდილივით
მწარე ჭრილობას,
იმ სიყვარულის ადევს ფასი და
შენი სიცოცხლე
და შუქრდილობა,
ჰო, ესაღბუნოს, იქნებ, ყასიდად.

* * *

რომ მერამდენედ
გული კანკალებს,
ეკრძალვის, ცრემლი ვინაც ადინა,
ბოლო დღეების
ბოლო ნაკვალევს,
შენ წაშლი ახლა ჩემზე ადვილად.
მერე დაგვრჩება
სარკმელი ღია,
რომ იბოგინოს ქარმა აშკარად,
რომ შენც მიხვდები,
ადრე თუ გვიან,
ბოლო დღეებმა როგორ წამშალა.

* * *

გიყვები ცრემლებს (სისხლს რომ მიშრობენ),
როგორც ბავშვობის ნაცნობ არაკებს,
გათოშილ დღეთა ჩუმი სიშორე,
დღეს შენი პირით ილაპარაკებს.
და ისე მოვა დღე ხვალინდელი,
სევდა თუ ვნება, საქმე თუ დავა,
უშენოდ ფიქრი, თანაც იმდენი,
როგორ განვსაჯო, განსაჯე თავად.

* * *

ამ გულთან როცა წილი იყარე,
ღმერთია მოწმე, სიცოცხლე ღირდა,
იმაზე მეტად ვერ შეგიყვარე,
როგორც მიყვარდი პირველი დღიდან.
კიდევ ცოტაც და...ნახვალ ისევე,
ვინძლო, ერთმანეთს შვება ვაღირსოთ...
იმაზე მეტად ვერ გაგიხსენებ,
როგორც მახსოვხარ სამარადისოდ.

დურმიშხან ბერიძე, რუსეთი, მოსკოვი




რა კარგი ხარ, ჩიხორიშვილი!

თბილისიდან კვირაძალ სალამოს მობრუნდა გოგინა ვარძელიძე. ნისლს დაეფარა ღართისა და კოდიანის მთები. ასპინძის ციხეც ბურუსში იყო გახვეული. ღამის ბინდში ვერც კი იცნო მისმა საყვარელმა ქედანამ, ფეხზე წამოიჭრა ჭიშკრის ჭრიალზე, ყეფით გაქანდა შავი ლანდებისკენ. წკმუტუნით ხელები დაულოკა ერთი თვის წინ დაკარგულ პატრონს.

ძაღლის ყეფაზე ოდის კარები გამოალო მოხუცმა ნინომ, იცნო ბეჭებში ოდნავ მოხრილი შვილის სილუეტი, თვალცრემლიანი გადაეხვია. მერე ველარ შეიკავა ქვითინი. გოგინამ ცრემლები ამოუნმინდა და შუბლზე ეამბორა მოხუც მშობელს. მეციხოვნეები რიგრიგობით მოდიოდნენ ციხისთავის სანახავად. ყველას თბილისის ამბები აინტერესებდა: რას ფიქრობდა მეფე, როგორი მებრძოლია, ეშინია თუ არა მონღოლების, რას ფიქრობს მდაბიოთა მონყალე მესტუმრე ჯიქური. გოგინა კიდევ ერთხელ იმეორებდა ათასჯერ ნათქვამს, იმედს უღვივებდა მტერთან საბრძოლველად აშლილ მეომრებს: ცოტა კიდევ და ერთბაშად აღდგებაო მთელი საქართველო. რომის პაპს წიგნი მოუწერია მეფისთვის, მალე მთელ საქართველოს ავამხედრებ, ურჯულოების წინააღმდეგ ახალ ჯვაროსნულ ომს წამოვიწყებო. განთიადამდე თვალეზგაბრწყინებულნი უსმენდნენ თა-

ნამებძოლები ციხისთავს. ერთბაშად ირწმუნეს, სულ მალე თამარის დროშას გაშლიდა მისი ნაშიერი, საბრძოლო ყიჟინას დასცემდნენ ვერაგ მონღოლებს, ლიხს იქითა და ლიხს აქეთა საქართველო კვლავ ერთ სამეფოდ გაერთიანდება და რაც აქამდე დაუკლია მტრისათვის, ყველა ჯავრს ერთბაშად ამოიყრიდნენ ურჯულოებზე. მოხუცი ნინო წამდაუნუმ იწმენდა თვალებზე მომდგარ ცრემლებს, ლოცავდა კარგი ამბის მომტან შვილს, სჯეროდა, მტერს მამის სისხლს არ შეარჩენდა გოგინა და ამ ქვეყნიდან გულდამშვიდებით წაიღებდა ქმართან მონღოლთა დამარცხების ამბავს.



მხატვარი - ნანა ყორანაშვილი

როცა კოხტასთავის ქედზე მზე ამოისვეტა, მხოლოდ მაშინ დარჩა დედა-შვილი მარტო. ნინომ სასთუმალი გაუშალა მამისეულ ტახტზე. ერთხანს შავი თავსაფრით იწმენდა ცრემლებს, მერე გაუბედა სათქმელი:

- იმ წყეულებს ორი დღის წინათ ჩვენი ბიჭები დაუჭერიათ კოდიანის მთაზე.... გოგინა შეცბა. ტუჩებთან მიტანილი წყლით სავსე ჭიქა ძირს დაუშვა.

- არ მინდოდა, წელან გუნება წამეხდინა შენტვის, შვილო, ვერც ბიჭებმა შემოგბედეს.... ჩვენებიანთ კოტეს ბიჭი ქიტესა შედავებია: ვერ გაგატანთო პატრონის უკითხავად ცხვარს, მერე ქვრივ თებრონეს ბიჭი გოგია წამოშველებია. ქიტესა ჯერ ხმლით დაუკოდავთ, შემდეგ კი თოკით უთრევიათ ველზე, ხოლო გოგია ისე უცემიათ, მხოლოდ მეორე დღეს მოსულა გონზე. უწყალოდ დაჟეჟილი ტყავში გაუხვევიათ ბიჭებს და ძლივსლა ჩამოუყვანიათ მთიდან მანამინდაში მცხოვრებ მოყვრებამდე. ორას სულამდე ცხვარი წაუსხიათ იმ ძაღლის ლეკვებს. ღამე ყოფილა და ვერ შეუნიშნავთ ლენჭყის ხევში გადამალული ფარის ნახევარი... გოგინა გულისყურით უსმენდა მშობლის მონაყოლს, თან ტუჩებს იკვნეტდა სიბრაზისგან.

- როგორ გათამამდნენ, დედაჩემო, აღარაფერს დაგიდევენ ეგ ტილიჭამიები, თბილისში გავიგე: მეფის სამზარეულოშიც კი ხოჯა-აზიზს თავისი ხალხი ჰყოლია, ყოველ ხორაგს სათითაოდ აღრიცხავენ და მერე გადასახადში მიაქვთ ნახევარი. აკრეფილ ხარჯს თურმე თვითონ ითვისებენ... მეფე დავითს საჩივრის წიგნი მიუწერია დიდ ურდოში მანგუ-ყაენისათვის. ხოჯა-აზიზს იქაც ჰყოლია ხალხი ქრთამით შეკრული. წიგნი მანგუ-ყაენის დიდ ვეზირს ჯამალს ჩავარდნია ხელში. მალემსრბოლი იქვე აუკუნავთ, წიგნი კი მანგუ-ყაენის მალულად დაუნვავთ, აქედან დახმარებას ნუ ელითო. ასე შემოუთვლია მესტუმრე ჯიქურის მსტოვარს დიდი ურდოდან. ყოველივე ეს ერთმა სანდო პირმა მითხრა თბილისში.

- თუკი მეფეს ასე ექცევიან, შვილო, უბრალო ხალხს რაღას უზამენ ეგ წყეულები.... გამოდის, რომ აღარ ყოფილა ჩვენი საშველი.

- იქნება, დედაჩემო... მეფე დავითი, როგორც გავიგე, ჭოჭმანობს კიდეც, არ უნდა ახლავე შეეტაკოს მონღოლებს. მოკავშირეებს ეძებს, თავის გარშემო ხალხს იკრებს. რჩეულ მებრძოლთა ათასეულს მიუვალ მთებში წვრთნის. ყური მოგვკარი, წელს თუ არა, მომავალი წლის ამ დროს მაინც გაშლისო თამარის დროშას. ჩვენს

პატრონს - ციხისჯვრელ სარგის ჯაყელს კარგი რჩევა მიუცია მეფისთვის: ჯერ ხოზა-აზიზი მოვიშორეთ თავიდან, მერე გუნდ-გუნდად დავეცეთ სათარემოდ გამოსულ მონღოლებს. მესტუმრე ჯიქურსაც ამგვარივე გეგმა ჰქონია, მაგრამ მეფე ვერ ბედავს, მონღოლთა რისხვისა ეშინია.

- რატომღა ეშინია, მასზე უარეს დღეში ხომ არ ჩავცვივით, შვილო?!..


- დამცირების როდის ეშინია მეფეს! ასე უთქვამს, ირანის ილხანს ოქროს ურდოს ყაენიც რომ მიეშველოს, მაინც დავამარცხებო, მაგრამ....

- მაგრამ რაა, შვილო!...

- უძეობა გულს უკლავს, დედაჩემო, ტახტის მემკვიდრე არ შესძენია დედოფალს. მეფეც ასე ვარაუდობს: ვაითუ, ბრძოლაში დავეცე და მთელი ჩემი სამეფო ფეხქვეშ გათელონო. მემკვიდრე რომ ჰყავდეს, მამინ არაფრის დარდი არ ექნებოდა მეფეს. უფლისწულს მთებში გახიზნავს, თვითონ კი ლომივით დაერევა მონღოლებს. და თუ ბრძოლაში დაეცემა მეფე, საქართველოს ახალი მეფე მოეველინება, ხალხს წინ წარუძღვება და ობლობას არ აგრძნობინებს.

გოგინამ შეატყო, უძეობის ხსენება ეკალივით მოხვდა მოხუც მშობელს გულზე. ხელი მოხვია მხრებზე, ჭაღარა თმებზე ეამბორა.

- ალთქმა მქონდა დადებული: გვანცას შემდეგ არავის შევირთავ-მეთქი ცოლად, მაგრამ ღვთის წინაშე პირველად გამოვდივარ, დედაჩემო. ამ კვირას ფეხშიშველი ვეახლები ვარძიის ღვთისმშობელს, შენდობას შევთხოვ. განა ჩემი ბრალია, თუ პირობას ვტეხ? ვარძიის განგებამ მომივლინა ქორსატეველასთან წმინდა ანგელოზი, ძალა მომცა გვანცას ორეულის გადასარჩენად. საღვთოს შევწირავ, სულს გავინმენდ, მერე კი ელჩებს ვაახლებ ვარაზგულს, თამარის ხელსა ვთხოვ. იმედია, უარით არ გამომისტუმრებს ბასიანის ომის გმირი, მერე ქორწილის დღესაც დავთქვამთ.... ნუ გეშინია, ვარძელისძეთა გვარს უმემკვიდრეოდ არ დავტოვებ, დედაჩემო. სიხარულისგან თვალეზგაბრწყინებულმა წინომ შვილის ხელები გულში ჩაიკრა. დამჭკნარი თითებით ერთხელ კიდევ მოეფერა შევერცხლილ თმებზე და სიხარულით ავსილი გულით მოსასვენებლად მარტო დატოვა ერთი თვის წინ დაკარგული შვილი.



მხატვარი - ნანა ყორანაშვილი

სიხარული იყო ვარაზგულის ოჯახში. გოგინა ვარძელისძის მიერ გამოგზავნილი მაშვალნი სიხარულით მიიღეს. ვიდრე თამარისა და გოგინას ნიშნობაზე სიტყვა ჩამოვარდებოდა, ვარაზგულმა თავის დარბაზში მოატარა სტუმრები, შემდეგ ვეება ჭადრებზე შემოხვეულ მუხლისსიმსხო ვაზებთან მიიყვანა ისინი, არწმუნებდა: პაპაჩემმა დარგოო დარუბანდის ბრძოლის სამახსოვროდ. მოეწონა ანანიას ორმოცის ველზე გაშლილი ბალები, შეუქო მასპინძელს მარჯვენა. გაიცინა ვარაზგულმა. ერთ ვეება ტოტებგაშლილ თუთას შემოხვია ხელები. ბავშვივით ხარობდა, მერე თვალი ჩაუკრა გვერდზე მდგარ ქიტესას. - აბა, თუ გამოიცნობ, რანდენი წლისა იქნება ეს ხე, ანა-ნია! ახედ-დახედა ანანიამ ხეს. თითები გადაუსვა კანზე. გაოცდა.

- ამ ხეს, ბატონო ჩემო, სამი კაციც ვერ შემოაწვდენს ხელებს... ისე ამაყად და მხრებგაშლილი გასცქერის ხერთვისის ციხეს, ასე მგონია, ერთი იმდენს იცოცხლებს კიდეც, რამდენიც უცოცხლია აქამდე.

- ღმერთმა ქნას, ჩემო ანანია, იმდენ ხანს მდგარიყოს ფეხზე, ჩემი თამარის შვილიშვილებსაც ეგემოს მისი ნაყოფის სიტკბო, - თქვა ვარაზგულმა. მერე ხელი გადაუსვა თუთის დახეთქილ კანს:

- ამ ხეს ერთი რამით ვგავართ ადამიანები, ანანია!

- მაინც რით?

- იმით, ჩემო ანანია, რომ თუ გადაჰკაფე და წყალი არ მოაკელი, იმ წამსვე ამოიყრის ყლორტებს, ერთ წელშივე დაიმსხვილებს ტოტებს და ნაყოფსაც მოისხამს. ასე ვართ ჩვენც. რა გინდა მწვავედ არ დაგვიქციონ სახლ-კარი, სამშობლოს სიყვარული ყლორტებს მაინც ამოგვაცრევენებს, ხვალინდელ დღეზე მაინც დაგვაფიქრებს. ანანიას მოეწონა მოხუცის ბრძნული ნათქვამი. ხელი კვლავ გადაუსვა თუთის ხეს დახეთქილ ტანზე. მერე თვალი გაუსწორა ცის ლაყვარდში აჭრილ ხის ჰაეროვან ტოტებს, შეშურდა კიდეც მისი.... იმ საღამოს დიდმა სიხარულმა დაისადგურა ვარაზგულის ოჯახში. ანანიამ, ქიტესამ და თანდილამ წვევასაც არ დაუცადეს, თვითონვე შეავსეს ჭიქები. ვარაზგულის დიდი ოჯახი დალოცეს.

- მოვხუცდი, შვილო, - თქვა ვარაზგულმა, - რამდენიც არ უნდა ვეცადო, ახლა სიჭაბუკე მაინც არ დამიბრუნდება. ჩემი ბედნიერება ამჟამად ის არის, ჩემს შთამომავალთა ბედნიერება ვიხილო, - ვარაზგულს ხელი უკანკალებდა, აწეული ჭიქიდან წვეთ-წვეთად ეღვრებოდა ღვინო სუფრაზე, - ერთი წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა

ჩემს თავზე, შვილო, თორემ ცხოვრებაში ყველაფერი მინახავს. ახლა პატივისცემისათვის ხელისგულზე ერბოკვერცხიც რომ შემინვა და მომართვა, მაგითაც ვერ გამაკვირვებ. დიდი დარბაზი შეევსოთ სახელდახელოდ მოწვეულ სტუმრებს. ვარაზგულს არაფერი დაეშურა მათთვის. სადღეგრძელო თვითონ ვარაზგულმა წარმოთქვა. პირველს მეორე მოაყოლა და ასე თამადობაც თვითონვე იკისრა.

- რა ვქნა, სიჭაბუკიდანვე ძალაუფლების მოყვარული კაცი ვიყავიო, - დასძინა სიცილით. ანანია ხედავდა ვარაზგულის დიდ ოჯახს, გულით უხაროდა თამარისა და გოგინას ბედნიერება. როცა შეატყო, აუცილებელი სადღეგრძელოები მოათავა, ჭიქა გვერდზე მისწია, მასპინძელს მიუბრუნდა და უთხრა: დღევანდელი შეხვედრა იმას მანიშნებს, რომ ჩვენს საქმეს კარგი დარი უდგას. ამიტომ ჯობია, ახლავე დავთქვათ ქორწინების დღე. ანანიამ სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ დარბაზის კარები ორმა მეომარმა გამოალო. ზღურბლი თორაბჯარიანმა მეომარმა გადაკვეთა, მიმოიხედა ირგვლივ, მოუბოდიშა მოწვეულ სტუმრებს, მერე მზერა ვარაზგულზე გადაიტანა და მუხლი მოიყარა მის წინაშე.

- რაიმე ხომ არ მოხდა, მგელიკავ! - თქვა ვარაზგულმა და ფეხზე წამოდგა.

- ჩემი ბიჭები ფხიზლად იცავენ ყველა გზაჯვარედინს. მათ უკითხავად სულიერი ვერ გადმოლახავს ორმოცის ციხის საზღვარებს, მაგრამ... - მორჩილად თავი დახარა მოსულმა, - ბატონო ჩემო, თუ შეიძლება ერთი წუთით გადახედეთ ხერთვისის ციხისკენ საეჭვოდ მომავალ ცხენოსნებს. იქნებ, არც ღირდა მათ მოძრაობაზე ყურადღების შეჩერება, მაგრამ, ვშიშობ, მონღოლთა ნაშიერნი არ იყვნენ სადმე ჩასაფრებულნი.

* * *

ვარაზგული სუფრიდან წამოდგა, დაამშვიდა სტუმრები:

- ჩემს დარბაზებს ისეთი სქელი კედლები იცავენ, თვით ჩინგის ხანიც კი ვერ დალაშქრავდაო თავისი რჩეული მხედრობით, - მერე ანანიას გადახედა:

- მე მაინც ვაპირებდი ჰაერზე გასვლას, იქნება, თქვენც გსურდეთ მცირე ხნით სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა.

ანანიამ გადახედა სტუმრებს. ხელით ანიშნა ქიტესას და თანდილას, - თქვენ დარჩითო აქ.

სუფთა ჰაერი ესამოვნა ნალვინევ ჭაბუკს, ახედა ცაზე მოკიაფე ვარსკვლევებს. მთვარის შუქზე განაბულიყო ხეობა მხოლოდ მტკვრის დუღუნი არღვევდა მყუდროებას. საროს ქარაფებზე ჰკიოდა ჭოტი.

ვარაზგული და მგელიკა ხერთვისისაკენ მომავალ გზას გაჰყურებდნენ. დაბალი ხმით რალაცას უმტკიცებდა მგელიკა პატრონს. ხელი ჩაიქნია ვარაზგულმა, გვერდით ჩაუარა ანანიას:

- რალაც ჩრდილები აფრთხობს ამხელა კაცს. მონლოლთა ამბავი კარგად ვიცი, მელიასაც კი გაეჯიბრებიან სიეშმაკეში. არც მე ვარ მაგათზე ნაკლები. ორიოდე დღის წინ ჩვენს ბიჭებს მგლის ხაფანგები მოვანყობინე ციხის გარშემო. თუ გაბედეს და ამ ღამით მოუახლოვდნენ ჩემს დარბაზებს, ხვალ დილით კარგი საყურებლები იქნებიან ისინი. არ ღირს, ჩემო ანანია, მათი გულისათვის ტკბილი ლუკმის ჩამწარება.

ანანიამ ერთხელ კიდეც გადახედა მთვარის შუქით განათებულ მტკვრის ხეობას, შეისწორა მოვერცხლილი სატევარი. ნელი ნაბიჯით აჰყვა ქონგურიდან დარბაზისაკენ მიმავალ კიბეებს.

- ერთი წუთით, ნუ აჩქარდებით, ბატონო! - მოესმა ზურგს უკან. შედგა, მოხედა ჩრდილში მდგარ თორ-აბაჯარიანს ანანიამ.

- მე მეუბნები?

- დიახ, თქვენ! იმედია, არ გამიწყრებით, თუ მცირე ჟამს დაგაკარგვინებთ, თან გულში ჩაიჭედავთ ჩემს ნათქვამს და გოგინას გარდა ამას არავინ გადასცემთ!

ანანია წუთით გაფიქრდა, ვერ გადაენწყვიტა, რა ეპასუხა თორაბჯარიანისთვის, ან რა ჰქონდა სათქმელი ვარაზგულის მსახურს ასპინძის ციხის პატრონისათვის.

- მაინც რა გადავცე ჩემს პატრონს? - ისე თქვა ანანიამ, რომ თვალი არ მოუშორებია სიბნელეში მდგომისათვის.

- ის, რასაც ახლა გეტყვი!

- გისმენ, ბატონო!

- ასე უთხარი, ჩიხორიშელმა მგელიკამ შემოგითვალა, დაივიწყე ორმოცის ციხისკენ მიმავალი გზა, თორემ ვფიცავარ დედაჩემის წმინდა საფლავს, სამუდამოდ დავუბნელებ მზის სინათლეს.

ანანიამ იგრძნო, როგორ უნებურად გადექცა ხელი სატევრისაკენ და კედლისაკენ გადახტა სხარტად.

სინათლის შუქით განათებული დარბაზიდან სიცილ-კისკისით ვი-
ლაც ქალი გამოვიდა, წინ ჩაუარა ისე, რომ არ შეუნიშნავს სატევარ-
მომარჯვებელი სტუმარი, თან მწვადის საამო სუნი გაიყოლია.

- ნუ სულელობ, სტუმარო! - მოესმა გვერდიდან. ახლალა შენიშ-
ნა, შორიახლოს შუბმომარჯვებელი ორი მეომარი იდგა.

- ნუ სულელობ, სტუმარო! - კვლავ მოესმა ჩუმი, დაბალი, გამყი-
ნავი ხმა, - ნუ სულელობ, თორემ ამ შუბზე მწვადივით აგაგებ.

- ჩააგე ეგ სატევარი და რაც გითხარი, ის გადაეცი შენს პა-
ტრონს. მგელიკამ შემოგიტვალა, ძმასავით მიყვარხარ, მაგრამ
ცოცხალი თავით თამარს არ დაგანებებ-თქო. გაიგე? ხოლო თუ
ჭკუით არ იქნები, თავისი მონღოლი მოთარეშეებით ასპინძის ციხეს
ნაცარტუტად აქცევს და ორმოცის ციხესაც ზედ მიაყოლებსო...
უთხარი. უფრო დიდი სანთლები დაანთოს ვარძიაში. უფალს შესწი-
როს მადლობა, რომ თამარის გულისათვის აქამდე არავისთვის დამი-
შავებია რამე... შენც ჭკუით იყავი, იცოდე, ნიშნობაზე ენა არ დაას-
ველო, თორემ...

- თორემ რა!

- თორემ ის, რომ ცოცხლად მარტო შენ კი არა, აქედან ვერავინ
გააღწევს!

- მაშინებ, კიდევ?!

- როგორ გეკადრება, ბატონო, მხოლოდ გაფრთხილებ!

თორ-აბჯრიანები ჩუმად გასცილდნენ იქაურობას. ანანიამ
იგრძნო, როგორ დაჰკარგოდა ფერი. ღრმად ჩაისუნთქა სუფთა ჰაე-
რი, ამოწვდილი სატევარი ქარქაშში ჩააგო, ხელები ჩამოისვა სახ-
ეზე, ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა, რა უნდოდათ ამ თორ-
აბჯრიანებს მისგან.

ერთხანს გარინდებული იდგა, მერე სწრაფად ჩაიარა კიბეები და
დარბაზში შევიდა. ვარაზგული მამულის სადღეგრძელოს ამბობდა.
ყველა ფეხზე იდგა და სულგანაბულები უსმენდნენ მხცოვანი თამა-
დის სიტყვას. სადღეგრძელო სულმოუთქმელად გამოცალა ყველამ.

ანანიამ ცოტა ხანს დაჰყო სუფრასთან, მერე ვარაზგულს მოუ-
ბოდიშა: შეუძლოდ ვარო და გაცეცალა ლხინს.

ვარაზგული ფეხდაფეხ გამოჰყვა სტუმარს.

ანანიამ დაიმარტოხელა მასპინძელი.

- კეთილ საქმეზე მოვსულვარ თქვენთან, ბატონო, ამიტომ მინდა
ყველაფერს დასასრული ჰქონდეს. მონღოლთა გაუთავებელმა თა-
რეშმა შეგვიბლალა ყველანმინდაი, ამიტომაცაა, რომ ნაკლებ ყურა-

დღებას ვაქცევთ ადათს. იმედია, მომიტყევებთ, თუ ჩემი პატრონის აზრს გეტყვი: ასპინძის ციხის პატრონს სურს, თუ თქვენი დიდი ოჯახის ნებაც იქნება, თოვლის მოსვლამდე დაინეროს ჯვარი. ქორწილის დღეს პატრონის უკითხავად ვერ დავთქვამთ, სანდო კაცის პირით შემოგითვლით ამ დღეებში ყოველივეს წვრილად, - თქვა ანანიამ, - მერე ერთხელ კიდევ გაიმეორა ათასჯერ ნათქვამი, - გოგინა სულმოუთქმელად მომელის, ამიტომ ირიყრაყებს თუ არა, თქვენი ციხე-დარბაზების მიტოვება მაქვს განზრახული.

ვარაზგულმა შეატყო, რალაც ცეცხლი ტრიალებდა ანანიას გულში. აღარ დააძალა სტუმარს, ძილი ნებისა უსურვა და თან ეჭვებით სავსე მზერა გაიყოლა.

* * *

ორმოცის ციხეში მომხდარი ამბავი დანვრილებით აუწყა ანანიამ პატრონს, თან ისიც დაუმატა, ამის შესახებ ვარაზგულსა და თამარს არაფერი შეუტყვიათო. გოგინა ერთხანს გაოგნებული მიმოდიოდა ოთახში, მერე კარადასთან შეჩერდა, დაგრაგნილი უსტარი ამოიღო.

- თქვენი წასვლის შემდეგ მომიტანა მალემსრობლმა ეს წიგნი... მესტუმრე ჯიქური სასწრაფოდ ხლებას მიბრძანებს თბილისში. როგორ მოვიქცე, არ ვიცი, ანანია. ცოლის შერთვა სახვალიოდ რომ გადავდო, ვფიქრობ, სამუდამოდ დავკარგავ მას. არ იფიქრო, მგელიკა მაშინებდეს თავისი მოთარეშეებით... მე იმისა მეშინია, თამარს არ აუტეხონ რაიმე. შენ კარგად იცი, ჩემი კეთილი სამსახური არავისთვის დამიმადლებია, ანანია. არც ვარაზგულის დიდ ოჯახს დავაყვედრებდი, უარით რომ გამოესტუმრებინეთ, მაგრამ გვანცას ორეულს მგელიკას კი არა, მაღალი ღმერთიც რომ შემედავოს, მასაც კი არ დავუთმობ ნებით...

შენ კარგად იცი, ფიცი მქონდა დადებული - გვანცას შემდეგ არავის შევირთავ-მეთქი ცოლად... მაგრამ, თვითონ თამარმა გადამადგმევინა ეს ნაბიჯი, სანდო პირით შემომითვალა: შენთვის ვლოცულობ დღედაღამ, მოდი და მიპატრონე, თორემ უცრემლოდ მოვკვდებო შენი თამარი...

ანანიამ მხრებზე ხელი მოუცაცუნა პატრონს, სამფეხა სკამი მოიჩოჩა გვერდით. ჩამოჯექიო, - სთხოვა მორიდებით

არასოდეს ენახა გოგინას თვალებზე ცრემლი.

მზერა მოარიდა პატრონს.

- მე ვფიქრობ, დაყოვნება კარგს არ მოგვიტანს. ამიტომ სჯობია, ხვალვე ვესტუმროთ ვარაზგულს საქორწილოდ.

- ხვალ არა, ანანია! სჯობია, ახლავე დავიჭიროთ თადარიგი, რადგან მესტუმრე ჯიქურს არ უყვარს, როცა მის ბრძანებას უგულოდ ეკიდებიან. გული მიგრძნობს, რაღაც უჩვეულო უნდა მოხდეს ჩემს ცხოვრებაში...

არასოდეს მეშინია ბედისა, მაგრამ, ვშიშობ, ვაითუ, ბედმა ისე მიგვერდოს, სამუდამოდ წავიდე სამართლიანობისათვის მებრძოლი, ცხოვრებაში გაუხარელი.

ათიოდე მოლაშქრე ვიახლოთ თან. ქიტესასა და თანდილას საიდუმლოდ გაანდე ასპინძის ციხიდან ჩვენი გასვლის შემდეგ დაიჭირონ საქორწილო თადარიგი.

აბა, შენ იცი, თუ ოდესმე გყვარებია შენი პატრონი, ახლა უნდა დაუმტკიცო ეს სიყვარული...

ანანიამ შეატყო, კიდეც რაღაცის თქმას აპირებდა გოგინა, აღარ დაუტადა სათქმელს, სწრაფად მოტრიალდა კარისკენ. ეზოში გამოსულმა მეჯინიბეს უხმო. ცხენების სწრაფად შეკაზმვა უბრძანა. შემდეგ თანდილა გაიხმო გვერდზე და ჩურჩულთ გაანდო პატრონის ნააზრევი.

საბრძოლო აბჯრებზე საზეიმო ჩოხები გადაიცვეს ბიჭებმა. ცხენები გამოაჯირითეს მოედანზე. ლაგამს ხრავდნენ მუხლმაგარი ნასუქი ულაყები. დორბლიანი ლაშებით ცდილობდნენ, აღვირი წარეტაცათ მხედრებისათვის.

მცირე ხანში გამოვიდა გოგინა ვერსალისძეც, სიხარულის ნაპერწკლები ელავდნენ მის მუქ ღრმა თვალებში. დაკოჟრილი ხელები მოუთათუნა მრავალ ბრძოლაში დაკეჭნილ „მერცხალას“. მერე სწრაფად მოექცა უნაგირზე, პირფვარი გადაინერა.

- რაც არის, არის, ანანია! გწამდეთ, ღმერთი ჩვენთანაა, რადგან მისი სახელით ვებრძვით უღმერთობას.

მერე, გამეტებით სტკიცა მათრახი ლაჯებში მომწყვდეულ მერანს, - მომყევითო! - დაიძახა და ნახევრად ღია კარიდან ისარივით გაიჭრა შარაზე.

* * *

ვარაზგულმა ხელები გამალა გოცებისაგან, სასწრაფოდ შეყარა ტაძრეული.

გოგინამ ერთხელ კიდევ ნაიკითხა მესტუმრე ჯიქურის მიერ გამოგზავნილი წვევის წიგნი:

- სასწრაფოდ ხლებას მთხოვსო თბილისში, რომ არ წავიდე, ღალატს დამწამებენო, სამშობლოსა და მეფის წინაშე. წასვლის შემთხვევაში კი, ვინ იცის, ეგების რამდენიმე თვე მომიწიოსო თბილისში ყოფნა.

ვარაზგული ატყობდა, რალაც ცეცხლი ტრიალებდა გოგინას გულში. ხალხის თანდასწრებით ვერც ჭმუნვის მიზეზი გამოჰკითხა, ვერც აჩქარების. არადა, ასე ნაუცბათევეად ქალის გატანება იმას ნიშნავდა, რომ სახელი გაეტეხა ხალხის თვალში.

- უპურმარილოდ მაინც ვერ გაგიშვებ, ჩემო გოგინა, მამა-პაპათა ამ წმინდა ადათზე ნუ დამადგმევიანებ ფეხს. ასე ადვილად ვერ შეველეოდი თამარს, მაგრამ მისი სიცოცხლე შენ გეკუთვნის. გაუფრთხილდი და შენი ერთგული იქნება მრავალჟამს... ოღონდ თქვენ მეყოლეთ კარგად და ეშმაკსაც ნაულია ჩემი ბებერი სული. ოღონდ თქვენზე გავიგო კარგი და იმ ქვეყანაშიც კი თქვენზე ვილოცებ მუდამ, შვილებო!... - მერე თვალეებზე მომდგარი ცრემლები ამოიწმინდა მოხუცმა, გადახედა შორიანლო მდგარ ქალებს, ახალგაზრდულად დაუტატანა, - რას მომჩერებინართ, ჩქარა გაშალეთ ღბინის სუფრაო!

დატრიალდა დიდი და პატარა. ბუხარში გაჩაღდა ცეცხლი, აბლავლდა საკლავი, აკრიახდნენ ქათმები, რიყეზე აცეკვდნენ ორაგულები...

ძლივს მოძებნა გოგინამ თუთის ძირში განმარტოებით მჯდარი თამარი, გვერდით მიედგა ჩაყვითლებული მსხლით სავსე კალათა. ჩაფიქრებული იჯდა და მტკვრის მოლივლივე ტალღებს მისჩერებოდა ღამაზი, შავი თვალებით.

- რამდენი ხანია, დაგეძებ. შენ კი, აი, თურმე, სად მემალეები! - თქვა გოგინამ.

შეკრთა ქალწული, სწრაფად წამოდგა ფეხზე, მიმოიხედა, ძლივს დაიოკა მოძალეებული სუნთქვა.

- ვინც დაეძებს, ყოველთვის იპოვისო, - ასე მითხრა პაპა ვარაზგულმა, მერე მზერა გაუსწორა ჭაბუკს, - ასე აჩქარება კარგს არას მოასწავებს. ალბათ, მოხდა რაიმე და სათქმელს მიმალავ.

- რა უნდა მომხდარიყო ისეთი, მესტუმრე ჯიქურის წიგნმა დამაჩქარა, დედაჩემი მეცოდება, ამდენი ხანი რძლის მოლოდინში ათე-

ნებს და ალამებს საბრალო ქალი. შიშობს, ვაი, თუ კიდევ არ მეღირ-
სოსო შენი ბედნიერება.

გაილიმა თამარმა. მსხლით საესე კალათა მიაწოდა გოგინას.

- თან მიირთვი, თანაც წამომალებინე, თორემ აქ რო ვინმემ დაგ-
ვინახოს, რას იტყვის ხალხი.

გაიცინა გოგინამ.

- დაე, იეჭვიანონ, სხვასთან ხომ არ ვარ. ჩემს საცოლესთან ერ-
თად ვკრეფ მნიფე მსხალს.

- აბა, ჩქარა მოუსვით აქედან თორე... - იცინოდა თამარი თან
ციხისაკენ ეწეოდა გოგინას.

- თორემ რა, ჩემო ვარდო.

- თორემ, ისა, რომ მეშინია, არ დაგვარგო დღევანდელი ბედ-
ნიერება.

- მერე ვინ უნდა წაგვართვას იგი?

- აბა, რა ვიცი, ქვეყანაზე განა ცოტააა გულბოროტი ადამიანი?

- გულბოროტებისა გულსუსტებს ეშინიათ, ჩემო ვარდო, შენს
თავს კი ცოცხალი თავით არ დავუთმობ არავის...

იცინოდა თამარი.

- ცოცხალი თავით არ დავთმობ, განა?!

- არ გჯერა?

შედგა გოგინა, კალათი ძირს დაუშვა მერე გვერდზე მდგარ კაკ-
ლის ხეს შემოხვია ხელები.

- ასე მგონია, რომ მოვინდომო, ამ ხესაც კი ფესვებიანად
მოვთხრი.

- აბა, ჰე ... ტარიელმა ქაჯეთის ციხე დაღენა, შენ კიდევ ამ
კაკლის ხის მოთხრით დამიმტკიცე სიყვარული, მზად ვარ, გიერთ-
გულო, - ისევე აკისკისდა თამარი...

მეთევზეებმა პირდაპირ გადმოჭრეს გზა. მძიმე კალათები შეედ-
გათ მხრებზე, გოგინამ შეატყო, თუ არ გაეცლებოდნენ, თავს წა-
მოადგებოდნენ ფეხებდაკაპინებულნი. სწრაფად წამოავლო კალათას
ხელი, ილღიაში ამოიჩარა, ორიოდე ნაბიჯით დაენია წინ წასულ თა-
მარს. კალათი წუთით დადგა ძირს. ხელი მოხვია ქალწულს, გადაუ-
წია კისერზე შემოხვეული მანდილი და ყვრიმალზე აკოცა. მერე უშ-
ვა ხელი ნაბიჯი უკან წადგა და თითქმის ჩურჩულით თქვა:

- პაპა ვარაზგულს გადაეცი, დღეს დაღამებამდე უნდა დავ-
ბრუნდე ასპინძის ციხეში. ხათრს ვერ გაგიტეხს მოხუცი, რადგან
შენი სიტყვა მასთან ყველაზე მეტად ჭრის.

- კარგიო, - თავის დაქნევით თქვა ქალმა, მერე სწრაფად გადაეწო ქვის ლობეს და გოგინაც ციხის ეზოში გაიყოლია.

* * *

სადარბაზოში შესვლისას ანანია შემოეყარა პატრონს, გვერდზე გაიხმო:

- მთელი ციხე-სიმაგრე ფეხდაფეხ დავიარე ბიჭების თნხლებით, მგელიკას კვალს ვერ მივაგენი. ვარაზგულსაც ვკითხე მისი ასავალ-დასავალი. დილის შემდეგ არავის უნახავს იგი.

- რატომ დაეძებო? - მკითხა მოხუცმა, - ისე-მეთქი, ვიცრუე.

- ვფიქრობ, ავი განზრახვა უდევს გულში, თორემ ასე მელიასავით არ გაიპარებოდა ორმოცის ციხიდან. სჯობია ვარაზგულს საიდუმლოდ გავანდოთ ეს ამბავი, თან გავაფრთხილოთ, ჩვენი წასვლის შემდეგ არაფერი აუტყვოს მის ციხე-სიმაგრეს მგელიკამ.

- კარგი, - თქვა გოგინამ, - მე მოვასხენებ ვარაზგულს. დაე, იცოდეს რა სულის პატრონია მგელიკა. ისე, ჩემი ბრალიცაა, ერთხელ გზაზე გადამეღობა და ვაპატიე თავხედობა მხოლოდ იმისათვის, რომ ერთად ვებრძოდით ჯალალედინის ურდოებს გარნისის მიდამოებში.

შემოდგომის მიმქალი მზე დამზერდა თავს ორმოცის ციხეს. სა-როს ფერდობებზე შეფენილი ცხვრის ბლავილი მოისმოდა შორიდან. მტკვრის ტალღების ჩხრიალში იკარგებოდა მოქეიფეთა სუფრული. ხარობდა მრავალჭირგამოვლილი ვარაზგულის ოჯახი.

* * *

მექორნილეები ხვილიშის ხევს ასცდნენ და სოფლის ეკლესიას გაუსწორდნენ. ღამის მყუდროებას ძაღლების ყეფა არღვევდა. თავანუელი „მერცხალა“ უთქმელად მიიკვლევდა გზას.

გოგინას მხარდამხარ მიჰყვებოდა მტრედივით თეთრ ქაკზე მჯდარი თამარი.

მექორნილეები ჟინჟილებით ანათებდნენ გზას, მხიარულობდნენ, უხაროდათ პატრონის ბედნიერება.

ლალობდა გოგინა. გზადაგზა ათასგვარ ამბებს მოუთხრობდა თამარს თავის ხიფათით სავსე ცხოვრებიდან:

- ეს ეკლესია ერთ-ერთი უძველესი ეკლესიაა სამცხეში, ვინმე დაყუდებულ ბერს — გიორგის, აუშენებია მეშვიდე საუკუნის დამდეგს, ჩემო ვარდო!

ქრისტეს მსახურნი ოდითგანვე მწირ ადგილებს ეტანებოდნენ ეკლესიათა მშენებლობისას. მაგრამ დღემდე ვერ გავრკვეულვარ, ამ გზათა შესაყარზე რად აღაშენეს ეს ეკლესია.

თვითონ ფეხდაფეხ მაქვს დავლილი ახჩიის, ალანძიის, ზედა ვარძიისა და წუნდის ეკლესიები. თითოეული მათგანი ტყუპის ცალივით გვანან ხვილიშას. ადვილი შესაძლებელია, კობტას ხევის გამოქვაბულებში დაყუდებულ ბერს ქვა-კარკლების სიახლოვემ შთააგონა იმ ადგილას მისი მშენებლობა.

რამდენიმე წუთის წინ ჩიხორიშის ხევი გამოვიარეთ, ალბათ, შენიშნე კიდეც, ხევში ჩაკარგული სოფელი.

- მგელიკას სოფელია, არა?! - წყნარად თქვა თამარმა.

- დიახ, ჩემო ვარდო, მგელიკას სოფელია ჩიხორიში. ათიოდე წლის წინ მონღოლებმა დალაშქრეს იგი. რის წაღებაც შეძლეს, წაიღეს, რისაც არა და ცეცხლს მისცეს ყოველივე...

ორმოცამდე ოჯახი ასპინძის ციხეში შემოიხიზნა მაშინ. შემდეგ ხელახლა დასახლდნენ სოფელში, არავინ ისურვა მამა-პაპათა უძველესი კერიის გაციება...

აღფ-ასლანის დროსაც დაულაშქრავთ სამცხის სოფლები თურქ-სელჯუკებს. მეფე ბაგრატი ამ მიდამოებში დახვედრია მტერს, მაგრამ ვერას გამხდარა.

თურქ-სელჯუკებს სხვა სოფლებთან ერთად ჩიხორიშიც გაუძარცვავთ და დაუნვათ. მთელი სოფლის მოსახლეობა შეუპყრიათ. მოხუცები დაუხოცავთ. ახალგაზრდები კი ახალქალაქის ციხეში მდგარ აღფ-ასლანისათვის მიუგვრიათ. მათ შორის ყოფილა თექვსმეტი წლის ასული თამთა...

ულამაზესი ყოფილა თამთა, მის რძისფერ სახეს, შავ თვალებსა და მსხვილ ნაწნავებს ვერვინ აღუდგებოდა წინ.

გაოცებულ აღფ-ასლანს მუხლი მოუყრია მის წინაშე და ვით არამინიერ, ზეციდან მოვლინებულ არსებაზე, ისე ულოცია.

გვერდიდან არ იშორებდა თურმე მრისხანე მბრძანებელი თამთას, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მისი სილამაზე ედგა თვანლინ.

ვერც ოქრომ და ვერცხლმა, ვერც აღმოსავლეთ მბრძანებელთა აურაცხელმა სიმდიდრემ და ფუფუნებამ ვერ მოხიბლა თამთა, სამშობლოზე ფიქრით დამდნარა სანყალი ქალი.

არავისთვის გაუმხელია ჭმუნვის მიზეზი. გულში ჩაუკლავს დარდი და ვინც არ უნდა მისულიყო მის სანახავად, დასტაქარი თუ დავრიში, ყველას მშობლიური სოფლის ამბავს ეკითხებოდა, თურმე.

დადარდიანებულა ალფ-ასლანიც. დასტაქრებისათვის წვრილად გამოუკითხავს თამთას სწეულებათა მიზეზი... ისიც გაუგია - ძველი ბერძნები ამ სწეულებას „ნოსტალგიას“ უწოდებენო თავიანთ ენაზე, რასაც ჩვენებურად „სამშობლოს სევდა“ ჰქვია, ჩემო ვარდო...

გულისყურით უსმენდა თამარი გოგინას მონათხრობს. თამთას ბედმა დაალონა, თავის ცხენი გოგინას ცხენს მიაკრა ისე, რომ გოგინას სუნთქვაც კი ესმოდა ლამის წყვიდადში.

- თამთას ბედმა ხომ არ შეგაშინა, ჩემო ვარდო! - თქვა გოგინამ და აღვირი მიუწია „მერცხალას“.

- შენთან არც ჯოჯოხეთში შემეშინდებოდა, - თქვა თამარმა, მერე აღვირი მიუშვა ცხენს, ოდნავ წინ გაუსწრო გოგინას.

- მერე, მერე რა დაემართა თამთას! - იკითხა ცნობისმოყვარედ.

- სამშობლოზე ფიქრით დასწეულებულიყო თამთა... რა მოგარჩენსო, - ეკითხა ალფ-ასლანს.

- რა და ჩემი სოფლის წყალიო, - უთქვამს თვალცრემლიან თამთას.

- შენი სოფლის წყალიო?! - გაცებით უკითხავს ალფ-ასლანს, - ნუთუ ისეთია, სწეულებას რომ კურნავს იგი.

- უბრალო როდია, სოფლის წყალი, წამალიაო სამშობლოდაკარგულისათვის, - უთქვამს თამთას. იმავე დღეს გამოუგზავნია ალფ-ასლანს მალემსრბოლი საქართველოში, დღედაღამე უვლიათ. მიუღწევიათ ჩიხორიშამდე, გაუვსიათ თუნგები, სწრაფად შემსხდარან ცხენებზე. ამ ადგილებში რომ მოსულან, მალემსრბოლს უფიქრია, რა წყალია ნეტავი ისეთი, სწეულებას რომ კურნავსო.

რამდენიმე ყლუპი მოუსვამს თუნგიდან, მერე შეშინებია ნაკლული თუნგი როგორ მივუტანო პატრონსო და ხვილიშის წყლით შეუვსია...

სწრაფად გადაუვლია მთები და ველები, დროზე შეუსრულებია თურქ-სელჯუკთა სარდლის ბრძანება.

საკუთარი ხელით მიურთმევია წყლით სავსე თუნგი თამთასათვის ალფ-ასლანს...

ღონემიხდილ თამთას ძლივს წამოუწევია სარეცელზე, სიხარულით მოუსვამს წყალი, მერე პირფვარი გადაუწერია: „რა კარგი ხარ,

ჩიხორიშო, ხვილიშა რომ არ გერიოსო“... - უთქვამს და იქვე განუტევებია სული.

დამნუხრებულ ალფ-ასლანს დიდხანს უგლოვია თამთა, მერე უბრძანებია: - თამთას ნემტი წაიღეთ და მის მშობლიურ სოფელში დაკრძალეთ.

სოფლის შესასვლელთან ერთ პატარა ბორცვზე დაუკრძალავთ გაუხარელი ასული.

ამბობენ თურმე: სალამოს მოფრინდებაო თამთას სული ამ საფლავთან, ესალბუნებაო ჩიხორიშის წყალს. განთიადისას კი ერთ პეშვ მინას უბეში ჩაიყრის და ისევ მიფრინავსო უცხო ქვეყნებში სახეტიალოდ.

ბევრჯერ უცდიათ ჩიხორიშელებს ამ სულის დაჭერა, მახეც კი დაუგეს საფლავის სიახლოვეს, მაგრამ გრძნეული ყოფილა თამთას სული, წინდანინ გრძნობსო მოახლოებულ ხიფათს და დროულად გაეცლებაო ჩასაფრებულებს.

გოგინამ შეატყო, სიბნელეში იცრემლებოდა თამარი.

- ნუ, ნუ ტირი, ჩემო ვარდო, თორემ არასოდეს აღარ მოგიტხრობ ასეთ მწუხარე ისტორიას.

გაიცინა თამარმა, ცხენს მათრახი გადაუჭირა, წინ გაიჭრა სიბნელეში. ფეხდაფეხ მიჰყვა გოგინა. - მომყევითო, - გასძახა მაცერიონს.

- დღეს ჩვენი ბედნიერებაა, ჯობდა უფრო მხიარული ამბები გაგვეხსენებინა, - მოესმა გოგინას თამარის ხმა.

- მხიარული ამბებიც ვიცი, ჩემო ვარდო, - გასძახა გოგინამ, - გინდა, მოგიტხრო, როგორ დამაფრთხო კოდიანის მთაზე კურდღლის ბაჭიამ?!

- ეგ მერე იყოს, ახლა ის მითხარი, რომელია ცისკრის ვარსკვლავი ცაზე.

- აი, პირდაპირ, ღრუბლებში რომ გამოანათებს ხოლმე, მთვარესთან ერთად.

- პაპა ვარაზგულმა მითხრა, ერთ დაყუდებულ ბერს გაუვლიაო ცაზე. ბზე მიჰქონდა გოდრით, თან უპნევია გზადაგზა. ამიტომაც ვარსკვლავთა ზოლი რომ გადაჰყვება ცას ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე.

ასპინძის ციხე გამოჩნდა თრიალეთის მთათა სწორად. თოვლიან მწერვლებს ესალებოდა შორიდან. მეციხოვნეები ჟინჯილით ანათებდნენ ციხის მიდამოებს.

- მახარობლად ვინ გავაგზავნო, ჩემო ვარდო!

თამარმა შეაჩერა ცხენი, დაელოდა, როდის მიუახლოვდებოდა გოგინა.

- ვინ და...

სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, დაფრთხა ცხენი, ალვირი წარსტაცა პატრონს, მკერდით შეეჭიდა ბინდს და საურმე გზიდან გადაიჭრა ქალაში.

- მიშველეთ! - მოესმა თამარის კვილი მაყრიონს.

ცხენს გამეტებით სტკიცა მათრახი გოგინამ და ფეხდაფეხ მიჰყვა თამარს. რამდენიმე ცხენოსანი აესვეტა წინ, გზა უყელეს და ლოდებთან მიიმწყვდიეს „მერცხალა“. უცხო ენაზე უხმობდნენ ერთმანეთს. გაშიშვლებული ხმლები ეკავათ ხელში. უთავბოლოდ იქნევდნენ აქეთ-იქით. გოგინასა და მაყრიონის შეკავებას ცდილობდნენ დამხვდურნი.

- ვინა ხართ, რა გინდათ! - დაუყვირა შემოფეთებულებს გოგინამ. ხმა არ გაიღეს უცნობებმა. აღმართული ხმლებით მიეტევნენ ზედ, ალაფს მიტანებული ტურებივით აკივლდნენ ირგვლივ.

ანანია წამოეწია პატრონს.

- ჰკა, მაგათ! - დასძახა ხმამალა. ყალყზე შეაყენა დაოთხილი ცხენი შიშისმომგვრელ დამხვდურებს, მერე შემოჩეხილთ მკერდით ატაკა ცხენი, გამეტებით გადაჰკრა ხმალი, ლოდებთან ჩასჩარა ცხენიანად მხედარი. მერმე უზანგებზე გასწორდა წელში.

- მომყევითო! - გასძახა წამონეულ მაყრიონს.

დაფრთხნენ უცნობები, პირი იბრუნეს და თავქვე დაეშვნენ ქალაში.

გაშლილ ველზე მისდევდნენ ტანმორჩილ ცხენებზე მსხდომი ბეჭებბრტყელი მეომრები თამარს. „მერცხალას“ სადავე ბოლომდე მიუშვა გოგინამ, გავაზე სიბრტყით გადაჰკრა ხმალი. ამას ელოდა თითქოს ცხენი. ელვასავით გააპო ჰაერი და ისარივით გადაიჭრა წინ.

მკერდით ატაკა ცხენი შემოჩეხილ მონლოლს გოგინამ, მერე გამეტებით გადაჰყრა გაშიშვლებული ხმალი. რკინაზე გაინკრიალა ნაწრთობმა ჯავარდენმა, სწრაფადვე მოუნაცვლა დარტყმა, ჯავშანიანმა გაჰკვეთა დამხვდური.

ყურებში უწიოდა თამარის ძახილი. გრძნობდა, როგორც იქ, ვარძის მიდამოებში მტკვრის მღვრიე ტალღები ხელიდან გლეჯდნენ გვანცას, ახლაც, ამ ბინდში, ასპინძის ციხის სიახლოვეს ეცილებოდ-

ნენ მას სიბნელიდან ასვეტილი შავი მაჯლაჯუნები გვანცას ორეულს.

- თამარ! - უმისამართოდ იძახდა ველზე, თითქოს თვალებში ბინდი ედგა, ვერაფერს ხედავდა გარდა წინ მქროლავი თამარისა.

- აუუ! - ჰკიოდა სხვისი ხმით.

მტკვრის ნაპირზე აღმართულ ძეწნებთან გამოჩნდა ხუთიოდე მხედარი, რომლებიც მანდილაფრიალებული ქალის მომწყვდევეს ცდილობდნენ შუაში.

წამოწინდნენ უცნობები, თამარს ლაგამი ნაჰგლიჯეს ხელიდან და კაკაველის ფონისაკენ იბრუნეს პირი.

გზა გადაუჭრა მაყრიონმა ცხენოსნებს, ქვა-კარკლებთან მიიმწყვდიეს ცხენოსანი თავდამსხმელები. მხოლოდ ყიყინი ისმოდა ირგვლივ. ხმლების წკრიალს მეომართა გმინვა და ყვირილი უერთდებოდა მთვარის შუქზე. ხელჩართულმა ბრძოლამ ერთ საათს გასტანა, როცა ასპინძის ციხიდან ჩამოეშველნენ მაყრიონს, მათ ბრძოლა უკვე მოგებული ჰქონდათ.

* * *

დიდხანს ეძებეს მექორწინებმა თამარი, მტკვრის ნაპირზე კლდეკარულას შესართავთან რიყეზე ესვენა დედოფალი. თეთრი ცხენი თავზე ადგა გულწასულს და წამდაუნუმ ფრუტუნებდა ობლად დარჩენილივით, ცივი წყალი ასხურა სახეზე გოგინამ. თუთის არაყით დაუზილა საფეთქლები, ძლივს გაახილა თვალები თამარმა: - სად ვარო, - იკითხა შეშფოთებით. შემდეგ მზერა გაუსწორა გოგინას. მტრედვიით მიეკრა მძლავრ მკერდზე, მერმე ცრემლები წასკდა მის შავ თვალებს და ხმამალა ატირდა.


თვალები ამოუმშრალა გოგინამ, თითებით გადაუვარცხნა სახეზე ჩამოშლილი თმა. მკერდზე მიიკრა მოცახცაზე ასული, თან თავისთვის ბუტბუტებდა ხმამალა: - ნუ, ნუ ტირი, ჩემო ვარდო. ვიდრე სული მიდგია, ვერავინ წამართმევს შენს თავს.

იცრემლებოდნენ გარშემოხვეულნი, გულით ინაწილებდნენ პატრონის ბედნიერებას.

ბავშვივით აიყვანა ხელში გოგინამ თამარი და ქალიდან საურმე გზაზე გამოვიდა:

- ნუ მოგიწყენიათო! - გასძახა მაყრიონს. კვლავ სიხარულით აენტო მისი გული...

კეთილი იყოს შენი ფეხი ჩემს ოჯახში, ჩემო ვარდო! - ჩუმად, თითქოს ყურში წასჩურჩულა მკერდზე მინაბულ თამარს. მერე მსუბუქად წამოაყენა ფეხზე ამაყად მიმოიხედა ირგვლივ და ...
- მრავალჟამიერო! - გასძახა მაყრიონს.



მხატვარი - ნანა ყორანაშვილი

ემიგრანტული პოეზია

ნანა მეფარიშვილი, ამერიკა



ჩვენ ავხდით ფარდას სიყვარულის საიდუმლო შესასვლელს და როცა ფერადფოთლიანი ბილიკის წინ ერთად შევდგებით, მე გეტყვი, რომ ახლა შემოდგომის სიყვითლეშია ჩემი გაზაფხული...

გეტყვი, რომ შენ აპრილიდან მოსულს არ ჰგავხარ სულაც, რადგან თეთრია აპრილი... შენ კი იმდენი ფერი გახლავს, გარჩევა მიჭირს, რომელია ძალიან ჩემი...

თუ ოქტომბერიც აირევა, წინ კიდევაა შემოდგომის ერთი დამატება თვე - ნოემბერი...

მეტსაც გეტყვი...

თუ გინდა, გავცდეთ ამ ფერად თვეებს, ზამთრის ფანტელებს შევერიოთ და იანვრის ღამეს დავდგათ თაფლობის კარავი, სადმე ჩვენი სურვილების უსასრულობაში...

გაზაფხულთან კი აღარაფერი გვექნება სათხოვარი... რადგან მაშინ უკვე ერთნი ვიქნებით...

ჩაისახება გულში გძნობა,
რაც ნატვრად წერე,
სამყარო ღმერთის ხელებივით
შეკრავს იარებს,
ამოიკვნესებს გული დიდი
ტკივილის მერე
და სააპრილოდ
სიყვარულზე იმშობიარებს!..

მეც ღვთის გლახა ვარ

მეც ღვთის გლახა ვარ,
გულ-განვდილი წყალობას ველი,
ნამცეცი სიტბო მომიტეხეთ
ქრისტესმიერი,
თავს არ იშუშებს ჭრილობები
ესოდენ ძველი,
გულდაგულ დამაქვს სიყვარული,
დარდით ხნიერი.
შემომეძონდა სამოსივით
ნატვრა, ის ერთი,
მახსოვს, ვიხდენდი კაბას ოდნავ
მუხლს რომ ფარავდა,
გამომშრალ ღანვებს სადარდელი
შერჩათ ისეთი,
დღეს ჩემი კაბით თავს
ინონებს ძველი კარადა.

მიდი, მეარღნევ

დაატრიალე ეგ არღანი შეშლილ ლამესთან,
ვიდრე ალიონს მოედება ღვინის სურნელი,
მერე ავუყვით, მთანმინდაზე დავსხდეთ მთვარესთან
და ვაგუგუნოთ პოეტური, განუკურნელი.
ავუხმაუროთ თბილის ქალაქს ქუჩები ძველი,
მოდი, მეარღნევ, შემოგხვიო მთვრალი ხელები,
ვინ იცის, ახლა უკანასკნელ სიმღერას ვმღერი,
ჰოდა, ერთხელაც ლოთიანად მოგეფერები.
მოდი, მეარღნევ, მტკვრის ნაპირთან შევხვდეთ ალიონს,
ცეცხლმოდებული სასმისები ერთად დავცალოთ,
ვიდრე სიფხიზლემ სიყვარულის თასი დალიოს,
მერე კი ბახუსს ბოლო სუნთქვა ამოაცალოს.
შენც, მედუდუკევ, ჩააკვნესე სული ეული,
თორემ გავიდა ეს საწუთრო ასე გოდებით,
ვიდრე დავდივარ სიყვარულით შეშლილ-გრძნეული,
მტკვარზე, უძილო მეტივესთან დაგელოდები.
ერთსაც ვიმღერებ, სულერთია, დამათრო ღამემ,
სტვენით მოვიხმოთ ფაიტონი თეთრი ცხენებით,
მიდი, მეარღნევ, ლოთიანი მიმღერე რამე,
შემოვუაროთ თბილის ქალაქს ჭენებ-ჭენებით.
სული ვუხსენოთ, აქ მხატვარი ცხოვრობდა, ჰოდა,
მისი ფერებით მოვუხატოთ თბილისს ქუჩები,
ნავსაყუდელად კიბის ქვეშ ალაგი ჰქონდა,
ღვთის სადიდებლად, ხის უბრალო ძველი ფუნჯები.
დღეს ყველა გამვლელს ვჩუქნი ღვინით ავსებულ თვალებს,
იქნებ სიკვდილშიც სიყვარულის გაჩნდეს წყურვილი,
მუხლზე ვუდგები მეტიჩარა თბილისელ ქალებს,
რომ მთვრალი მზერით ავანყვიტო მკერდზე სურვილი.
დამიტრიალდი სულის ძაფზე, ძველო არღანო,
ამოვუხეთქოთ ყარაჩოღლებს საფლავის ქვები,
ვერ დაიკვეხნი, უბედობავ, ისე დამღალო,
უსიყვარულოც, სიყვარულის მეხოტბე ვრჩები.
მეფაიტონევ, გადაჰკარი ბედაურს სახრე,
ამოაყოლე სადარდელი შენს ძველ ყალიონს,
მერე მოდით და ორთაჭალის ბაღებში ნახეთ,

როგორ ხვდებიან პოეტები შეშლილ ალიონს.
ჰვი, მგოსნებო, ამოაცვით რითმა მძივებზე,
რომ გათენებას ჩაფიქრებულ ნატვრად ავუხდეთ,
დაატრიალე ეგ არლანი და ძველ ტივებზე,
მიქელ-გაბრიელს ავსებული თასით დავუხვდეთ.

მუსიკა, დუმილის ნოტები,
ბგერები, დაღვრილი ბგერები,
ხეებზე უფოთლო ტოტები,
სხეულზე გამხდარი ხელები.
შავ-თეთრი კლავისის ცდუნება,
თითები სულ მოუსვენარი,
ფერებად დაღვრილი ბუნება,
ჰანგები სიამის მფენარი.
კლასიკა, ნარსულის დლიური,
ვალსიდან ვნებების ანთება,
მუსიკა, ჰანგები ღვთიური,
თითებში კოცონის დანთება.
მუსიკა, მთვარე და ლანდები,
ხეებზე მთვლემარე ჭოტები,
კლავისზე დაყრილი ვარდები,
ვარდებზე ცრემლი და ნოტები.

ბოლო იმედი

შეფარული დამაქვს უბეში,
სველ ნამნამებზე შევაკიდებ
სირცხვილის რიდეს,
მეც ღვთის გლახა ვარ,
ვზივარ ქუჩის ნაცნობ კუთხეში,
ნინ ჩემი გული
გაცვეთილი ქუდივით მიდევს.

სიცოცხლევ, ჩემო

სიცოცხლევ ჩემო,
ხედავ, ჩემი სულის იარებს,
ფიქრებო ჩემო,
სავსე მთვარის სადარო მნათევ,
არ ვიცი, დღემდე
სად ვიყავი, ან სად ვიარე
და არც ის, ჩემო,
ბნელ ღამეებს რარიგად ვათევ.
სიცოცხლევ ჩემო,
ნანი-ნანატრ ოცნების ტოლო,
შენ, ჩემო სუნთქვავ,
უცნაურად მჩქეფარე სისხლო,
ქარტეხილივით მოვარდნილო
გულისა სწორო,
ხელუხლებ მთებზე
მოხვეულო იმედის ნისლო.

ვერ გავაგონე
აქამომდე სიმღერა ვერვის,
ვერც ერთ სხეულში ვერ შევხსენი
კარი გულისა,
ახლა კი ვხედავ,
სხვა ფერებად აღვიქვამ მერმისს,
როს პირმცინარე სახეს ვუმზერ
სიყვარულისა.
დღეს ჩემი გული
დათქორილი გზებზევით გმინავს,
შენი მზერიდან
მონათებულ გრძნობებზე ვმდერი,
ჩვენ, ალბათ, მალე
მზის ქულებზე დავიდებთ ბინას
და შენ გახდები
ახდენილი ოცნება ჩემი.

- 40 -

სხვანაირად მიხდებოდა მამაჩემი

სხვანაირად მიხდებოდა მამაჩემი,
კაცი მაინც სხვანაირი არის ძალა,
მისი ნასვლა იყო უფლის განაჩენი,
წავიდა და გულში რაღაც დაიცალა.
სხვანაირად ვეყრდნობოდი ბაბუს ტორებს
და მის სიტყვას მთის კაცისას, ნამუსიანს,
ახლა კედელს აღარავინ დამატოლებს,
გავიზარდე, სევდას სული აუვსია.
სხვანაირი ძალა მქონდა, კაცის ძალა,
დიდ ხელებში ჩადებული ციცქნა თათი,
ან გარდასულ წლებზე სევდა მომეძალა,
რასაც გაჰყვა ის მზერა და ათინათი.
სხვანაირად მიხდებოდა ძმის თვალები,
ის უმცროსი, მაგრამ მაინც ჩემზე დიდი,
თითქოს გზები გავიარე ნათვალევი,
ყველა სათქმელს ტკივილიან გულში ვცლიდი.
სახლს სხვაგვარად უხდებოდა კაცის სახე,
მამის მკერდზე პანანინა მუშტებს ვცემდი,
ალბათ, უფალს თუ უნდოდა, დავენახე,
მარტო მყოფი როგორ ვიდედაკაცები.
ნასვლა არის ამა სოფლის განაჩენი,
(წუთი, ღმერთო, მართლა ძალზედ მცირედია...)
სხვანაირად მიხდებოდა მამაჩემი,
კაცი მაინც სხვანაირი იმედია.

ბაგრატოვანი დააბიჯებს
ერში გლეხივით,
სულით მაღალი, თავმდაბალი,
როგორც ნათება,
მალე სიმართლის ხმა იქუხებს
ცაზე მეხივით
და მზის გულმკერდზე
ტახტრევანი აღიმართება!

ირმის ძახილზე შეგატოვებ
სურვილს ვნებიანს,
სუნთქვით დავარწმუნებ
მთებზე ნისლის ფერმკრთალ ჰამაკებს,
ბეჭებს შევახებ მინდორს
ცინცხალ გვირილებიანს
და ავლექსდები,
ვიდრე მუზა მალაპარაკებს.
მზის ამოსვლისას გაგექცევი,
დაგტოვებ მიძინარს,
რომ ჩემს თვალებში
სამაისო ცეცხლი ავანთო,
მთებზე დავხვდები
მზესთან ერთად ანთებულ დილას,
მოვიკრებ სხივებს,
რომ მოვიდე და კვლავ გაგათბო.
წვიმის ხმაურზე შეგატოვებ
ვნებიან თვალებს,
ცის სარტყელებთან რომ გავშალო
ფერთა ხუნდები,
დავკოცნი იებს, მინდვრის ციცქნა,
პატარა ხალებს,
წარვტაცებ სურნელს
და სხვა ჟინით დაგიბრუნდები.

ჩემო ქართულო

რა ხნის ხარ ნეტავ, რა ფესვი გაქვს ასეთი ძველი,
მირონი თუ ხარ, შუბლზე პირჯვრად მსახველი საცხი,
შენს საიდუმლოს აფარია ღვთისმშობლის ხელი,
ბოროტმა იმად ვერასოდეს განვნია მარცხი.
საიდან მოსჩქრებ, წყაროვ სიბრძნის და სიცოცხლისა,
სხვა რომ არ გქონდეს, „იავნანა“ გაგხდიდა დამძლევს,
ჩემო ქართულო, იქნებ თავად სამყაროს ხნისა,
შენი ასაკი გადარჩენის წყალობას გვაძლევს.
ვინ გადმოგწერა სამღერად და საგალობელად,
თუ მამა ღმერთმა ცამდე ვალი აგატანინა,
ლოცვის, ტკივილის, სიხარულთა მოსახმობელად
იქნებ ყრმა ძესაც ზრდიდა შენი ტკბილი ნანინა.
სისხლით და ცრემლით მოტანილო აქამდე ციმციმ,
სულის სინათლევ, გზის საკვლევად მუდამ ჩართულო,
დადგება ჟამი, გააოცებ სამყაროს, ვიცი,
ცის კართან ლოცვით მისატანო ჩემო ქართულო.


ემიგრანტული პოეზია

მარინა თოფურია-გახოკიძე, იტალია

დაიბადა 1956 წლის 17 აგვისტოს მარტვილში. პროფესიით არის ეკონომისტი. მისი ოჯახი ცხოვრობს წყალტუბოში, სოფელ გვიშტიბში.

9 წელია, იმყოფება ემიგრაციაში, იტალიაში, კერძოდ, ბარში. ლექსებს წერს 14 წლიდან.

მისი ლექსები დაბეჭდილია ემიგრანტ პოეტთა ლექსების კრებულში. ასევე, კრებულებში „მზიანი გვირილები“ და „ბათუმი“.



დედაო ღვთისავ!

ჟამთა ყოველთა ვარამი, დარდი,
სამშობლოს ურვით ჭმუნხვა შუბლისა
...გვეფარავდეს მადლი, მაგ შენი ქართის,
გვაძლიერებდეს რწმენა უფლისა.
დედაო ღვთისავ! შენ გვედრი, იხსენ
გიორგე შენი სამკვიდრებელი,
ურთიერთ ნდობას შეათილისმე,
გააძლიერე ქართველი ერი..!
ქანცი გაუწყდა ჩემს ტურფა მამულს,
მოჩეხილ კიდურს მარილს აყრიან,
დღეს ქართველობას რა დამართნია,
სიყვარული და რწმენა აკლია...

.....
დედაო ღვთისავ! შენი წილხვედრი
ჩვენი მამული იხსენ შენ გვედრი!

ვაი! სიმწრისაგან სული ვერ მოვითქევი,
კარი ვერ გიპოვე გულთან მისასვლელი,
ახლა ველარ ვსაზღვრავ, მაშინ რაზედ ვიშვი,
თუ უშენობაა ჩემი განაჩენი.
ღრუბლის ქლიმანდები მიმზერს თანაგრძნობით,
ულვთოდ დასდენია თვალებს ცრემლის თქეში,
უნწყლო თევზის დარად ქანცმილეულ თრთოლვით
სული ჩემი ახლა უშენობას ებრძვის.
ცეცხლი წაეკიდა უპასუხო გრძნობას,
მოძალეულ სევდას უკვე ვერას ვშველი,
მართლა, ვერა ვსაზღვრავ ქვეყნად რაზედ ვიშვი,
თუ მარტოობაა ჩემი განაჩენი...

შენ

ცისკართან კრძალვით წარვდგები,
ღამის ნაბორგები და ნაფერმკრთალები,
სანთლის ციალში ბინდბუნდობს ხატი,
წამომალანდა შენი თვალები.
სანთლის ნალვენთმა ისევ მანანა,
ვნებად ანთებულ ღამის მირაჟი,
თვალებჩახრილი მამორცხვებს, თანაც
ალარც დათმენის არ მაქვს ილაჯი.
...ხელი ოცნება შესწვდა კაბადონს,
ნისლის-ფერებში ბაცდება დილა...
ასე თუ ვინმე მწვავდა, არ მახსოვს,
სხვას, ალბათ, შენი წადილი ჩრდილავს.

ძირნაყარ ფოთლებს
მწველი ეშხი კვლავ შერჩენია,
მაგრამ მისია დაუკარგავს, რაც მას ეკისრა,
თუ ის ფოთოლი მცხუნვარე მზეს
ჩრდილად ჰფენია,

ახლა მინაზედ დაშვებულა
დროთა ნებისად.
ახლა ფერხთა ქვეშ მოქცეულა და უცილობელ
ჩათელავს იგი,
ვისაც ჩრდილით ჰფარავდა ადრე.
ჩანა, ღირსია გათელვისა?
არა, იღბალი
ასე ყოფილა,
მადლსაც, თურმე, მაინც განანებს...!
.....
თუმც ძირს ფორთხვაშიც
ღირსებაც, ხიბლიც კვლავ შერჩენია
მაინც გასრისეს....
ეს უკვე ბედის განაჩენია!

გთხოვ, ცისკრის ზარებს
შემაყოლე,
შევაბამ რითმებს,
მზის უწყვეტ სხივზე
ავკინძავდი
მარცვალთ მარგალიტს,
ამ გულის დარდი
რადგან ახლა
მხოლოდ შენა ხარ,
მთვარის არილიც
ამ გულამდე
ტკივილად დადის...
და დღე ცდუნების,
თუ დროებით
დარდს მიადვილებს,
გაუსაძლის დარდს
ლამე - ბალიშს
ცრემლებად აღვრის..
და მე შენამდე,
და მე შენამდე,

ღმერთს გეფიცები,
სულ არ ვიცოდი
რა იყო სევდა -
უდარდელს ვგავდი.

.....
მახვეწარ გულს თუ
სიყვარული
ხმას აუთრთოლებს,
მალული ცრემლი
თუ უსველებს
დარდჩამდგარ თოლებს,
მაგ გულის ცემას,
მის გულის ფეთქვას
შენც შენონე ბედნიერებას
და გულცივობით
ნუ განიშორებ !

საქართველო!

არ ვარ მოსურნე დიბა ფარჩის, არც ოქრო ვერცხლის,
არ ვარ მეხოტბე, მახავერდონ ფუჭი დიდებით,
გულში საფიცარ საქართველოს ვერარა შეცვლის,
არც არანაირ დაპირებებზე არ ვიყიდები...

ქართველობაა უპირველესი ჩემი ღირსება,
სჯული, ენა და მამულია ჩვენი სიმტკიცე,
წარსულის ფესვზე ამოყრილა დღეის დიდება,
საქართველოო! სათაყვანო, შენს მზეს ვიფიცებ.
ბედნიერება სად არსებობს უსაქართველოდ!
მამული ტურფა! აი, ჩემი ბედნიერება
სამშობლოს გარეთ - მზე არ ათბობს,

რთველი არ რთველობს

ქართული ეშხით გულს უცხო ცის ქვეშ არ ემღერება.
საქართველოო! სანუკვარო მე შენი მიწის,
შენი მთების და ახოების ნატვრით ვხელდები,
ნეტარება თუ ბედნიერება, მანდ, შენთან მიცდის,
აქ უცხო ცის ქვეშ თვით სიკვდილსაც არ დავნებდები!

ბედნიერებამ აქ ვიყავიო..!

ექებს და ექებს ბედნიერებას,
დასაბამიდან ექებს ყოველი,
ჩიტის გალობაც სევდამ მოლალა,
ან ბედნიერი ვინ სჩანს, რომელი?
მაფშალიაც და სევდის ჰანგს კვნესის
ვარდსაც ეკალი რაზედ ასხია,
წუთისოფლისა, იქნებ, არც გვესმის ?
- ბედნიერება მონაჩმახია?!
- ქარიც ავმარობს ბედდაკარგული,
ცა გალურჯდა და ცრემლებად თქორავს,
მინასაც აზის ბრაზის ბზარები,
წვიმას ცოტათი ამოუქოლავს,
მზის ფერებაში გაოცებული,
დასკდება მინა კვლავ ბზარს დაიჩენს,
... ბედნიერების ძებნა-ძებნაში
წუთის სოფელი წამში გაიფრენს,
კვლავ გასივდება დარდისგან ზეცა,
მთა ნისლს შეიყრის შუბლთან კოპებად,
... ბედნიერებამ აქ ვიყავიო,
რად ვერ მხედავთო და გაოცდება.

ემიგრანტის ანდერძი

(ნაადრევი)

არა! მცდელობა მე სუიციდის
არანაირად არ მაბადია!
ოცნებებია მუდამყამ ფლიდი,
ასრულებას დრო მუდამ აკლია.
და თუ დროებამ ჩარხ-უკულმართმა
დროში ვერაფრით ვერ ჩამიტია,
ქართულ მინაზედ ვერ შევძლო გავლა,
მკაცრმა სიკვდილმა აქ თუ მიწია...

...რამეთუ ჟამი ყოვლის მპყრობელი
შექნილა საჭედ უძღურ გონების
ქართულ ტაძარში(!) მე ვარ მთხოვნელი
პარაკლისების, სულის ცხოვნების...
არდაბრუნების დანაშაული
ჩათვალეთ, როგორც - წესი ბუნების,
ცხადია, ვიცით, სად დავიბადეთ...
არ ვიცით, თუ სად აღვესრულებით!

უფლის ნებისად!..

წლები მიქრიან... ორომტრიალით
ტრიალებს ჩარხი წუთისოფლისა...
დრომ უცილობელ ყოფის რიალში
დედებს ტვირთი და დარდი მოგვიზღა...
ვზივარ და გულში მონატრების ცეცხლს
გადაუხრუკავს შვების ნაპირი,
თუ დღეის ყოფა წლების ხვედრია,
...არც მაქვს უფლება და არცა ვტირი...
ვითმენ და ვიცდი... ამ მწარ გათვლაში
ტრიალებს ჩარხი უფლის ნებისად...
ქართველის დედებს ხომ ჟამთა ათვლაში
დროება მშვიდი ჯერ არ ეღირსათ.
მე მოთმინების დიდი ნიჭი მაქვს,
ჭირთა დათმენის მომდევს უნარი,
მე საუკუნეს არ გავმიჯვნივარ,
დედა ვარ, მარად გაუხუნარი

.....
და კალმის წვერის პანა ბურთულაკს,
ჩემსავით დარდი თუმც არ ასვენებს,
უთეთრეს ფურცლებს იმედით ბურავს,
დილის ცისკარის სხივით აჯერებს.
და გულის - გულში დარდთან ჭიდილში,
საუკუნეთა ვითვლი ნაბიჯებს,
მჯერა მომავლის!.. ჩემი სამშობლო
ბრწყინვალეებაში გადააბიჯებს!..

დედა

დე, მენატრები... ცრემლები წვიმს ჩემთვის ზეციდან,
თუმცა მზიანი ბული ასდის ახლა მიდამოს,
არ მიგატოვებ! შენთან მოსვლა თუ კი მეღირსა,
დე! რატომ შემქმენ?! მუდამ რაღაც რომ ავიტანო?

აკვანი

აი, ერის გადარჩენის დვრიტა,
ამ აკვნიდან აფრენილი სული,
დედა პირმშოს ძუძუთი რომ ზრდიდა,
ვაამაყოთ უნდა ის წარსული!
აი, ჩვენი გადარჩენის სვეტი
ველ-მინდვრები, სათიბი და ყანა,
აი, რითიც გვაძლიერებს ღმერთი –
რწმენა, რჯული, მოძმეთა გატანა!
საქართველოს ძლიერებას ვნატრობთ,
წინსვლისთვის ხომ სურვილი არ კმარა,
სოფლებს მივცეთ ნართმეული ფერი,
ვაშრილოთ ვაზია თუ ყანა.
ოდოია... ოროველა... ნანა...
ვაგუგუნოთ ომახიან ხმითა,
უმთავრესი სიმრავლეა ყრმათა,
აი, ერის გადარჩენის დვრიტა!

იღვანე ისე,
ბენწვის ხიდზე თამამად შედგე
და სიმსუბუქე უცოდველობის
გემგ ზავრებოდეს,
ნაფეხურები ეწინამძღვროს
შენს მოძმეს შემდეგს,
კუთვნილ სასრულთან
მისვლა რომ არ გეზარებოდეს.

ვისაგზლებ დარდს და გაგერიდები,
შენგან გამმიჯნავს ჩემი გრძნობები,
ვიგრძენი, უკვე რომ მეფლიდები,
ვარჩიე წასლა და მე გშორდები...
„შემიყვარდაო“, დამთვრალს წამოგცდა,
ვეჭვობ... შენ ტრფობა გულს არ გადვია,
რა სიყვარული, შენს სულში უფალს,
როცა დემონი დაუბადია.

.....

თუმც ქარაშოტი ამოვარდნილი,
ზურგში მეხლება, შენკენ მიბიძგებს,
სჯობს, ჯავრი მღრნიდეს, გულს ჩავარდნილი,
მძაფრი ტკივილით სულს შევიღვიძებ.

ჩამს მამულში

მსურს გავიჭრა სატრფიალოდ,
ხმა ყიჟნით ჩავიხამო,
ზვარი ვნურო საფიალოდ,
გავითენო, დავილამო.
სურნელება ჩავისუნთქო,
ტყის და ველურ ყვავილების,
ბარში ვაზი მინდა ვფურჩნო,
უმცდარ ალლოს დამიზნებით.
დიდრონ ხეებს შემოვაჭლო
მკლავნი მკერდში ჩასაკრავად,
გრძნობა სიყვარულით ვანართო
სიამეთა ჩასანთქავად.
ყური ვაპყრო ფრინველების
სანეტარო ხმით გალობას,
ტერფი შესწვდეს ველ-მინდვრების
უნიკალურ ნაჩითობას.

კლდიდან მჩქეფი ჩანჩქერის ხმა
შევახამო ლამაზ ნოტთან,
ვალაღანო ეს გულის ხმა
უფლისადმი ლამაზ ლოცვად.
და იქნება ვინმე ქვეყნად,
ამგვარ გრძნობით მოლაღანე,
წალკოტია საქართველო,
მატრფიალებს ჩემი მხარე!

ლეჩხი ლეჩხისტვის

როგორც გაზაფხულს ტყემლის ყვავილის
დაგკრავს სურნელი,
ლოყებს ანაზებს ატმის კვირტთა ფერი საამო,
ტუჩთან ბობოქრობს ვნება ტრფობით შესამუსვრელი,
შენი ხიბლი და სურნელება ვის არ დაათრობს.
თმების შრიალი ნაზი სიოს ჩურჩულს მაგონებს,
ყურის ბიბილოს ჩრდილში მინდა სულის ჩაქარგვა,
ნდომა ერთია, მაგრამ კრთომა თითქოს მაორებს,
საწყენ არ გექმნეს, რადგან, არ მსურს შენი დაკარგვა.
შემოგიჩვიე, როგორც იქნა გულწრფელ ღიმილით,
გრძნობამ მაცდურმა მაინც ჟინით ვნება ახელა,
მნადს, შენ გაცდუნო სიყვარულის ჯადო-თილისმით,
მაგრამ არ მინდა ახლა შენთან ამის გამხელა.

და თუ მარტო ხარ

თუ მარტოსულობ, მაშ, მოდი ჩემთან,
რომ ამ ჩემს სულში შემოგასახლო,
უხილავ გრძნობის მალული ვნებით
ჯერ აღგაგზნო და მერმე დაგატკბო.
მოგიალერსო, შეგაგრძნობინო
სულში ფერების ამო ტრფიალი,

შერჩენილ დროში სრულად შეგამცნო,
თუ რისთვის იშვა ადამიანი.
მე გაგიქარვებ მაგ მარტოობას
ჩემს ერთგულ სულთან ჩაგაზიარებ,
ყველა სატკივარს გადაგავინწყებ
და სიყვარულად აგატრფიალებ!

გადაყვარება ვერ შევიძიელ,
ამ გულს სტკიოდი,
მოხვალ... არ მოხვალ..
ვჭოჭმანობდი,
გულს შევჩიოდი.
ვირწმუნე, ნახველ,
კვლავ ჯიუტად
რატომ გელოდი?
რატომ ამტკივდი?
ჩემს სატკივარს
თუ ვერ შეველოდი.
მე უბრალო ვარ,
შემიყვარდი რადგან უცაბედ,
...პირველ წამიდან
სასჯელი ხარ ბოლო ნუთამდე.

ნობათად ვგზავნი გულიდან რითმებს,
წინარე დროის გადაძახილთან,
სიყვარულს თქვენსას ჩემს შუქს შევმატებ,
ალალ გრძნობათა გარიჟრაჟიდან,
გულ-ფიქრად ვცდილობ, სიკვდილის შემდგომ
შევეხმიანო ექოდ სამყაროს,
ვხვდები, ცხოვრება დღეს ეკლად მერგო,
გზა მართალს მერმე რომ შემიყვარონ!

მინისკვრამდე 8 საათით აღრე ჩემი თვალით დანახული იტალიის ცა

ცას ზოლებად დაუწითლდა გუგები,
ბაცი წითელს ზოლა-ზოლა შერწყმია,
თითქოს ცაა შოლტით ნამათრახალი,
რალაც ამგვარს მიმანიშნებს მესია.
და ბუნება უცნაური მისანი,
ცვალებადობს წინ-წინ მისნურ ელფერით,
...კატებიც კი უსიამოდ კნავიან,
ბინდ-ბუნდის პირს აიშალნენ მერცხლები.
შემაცბუნა ახლა მერცხლის ჟღურტულმა,
...ბუნებაა უცნაური მისანი,
მჩხრეკმა თვალმა ზეცას დიდხანს უყურა,
ვერ განვსაზღვრე მოვლენათა მიზანი.

ფოტოები

მოწყენილი საუბრობენ ფოტოები,
შავ-თეთრ წლების დარდნარევი ჩრდილიდან,
ძველ ფოტოებს ჩაჟინებით ვეუბრები,
უჰასაკო წლების ხსოვნის ჭრილიდან...
მოგონებებს ნაბიჯ-ნაბიჯ, გულშეფარვით,
გულზე ტლანქად დაუდგიათ ნაბიჯი,
კვლავ მრისხანებს ნაფერმკრთალებ ფიქრთა ჯარი,
სურათებზე წლებს კვლავ უბრად აითვლის,
გაიელვა ნასურათალ წლების ელვამ,
სურათს მაინც სევდიანი ჩავცქერი,
აბობოქრდა სურათებზე დროთა დელგმა,
გულს აბორგებს უბარ ხსოვნის ჩანჩქერი.

ქარებს გასდია სიჭაბუკემ, ქარებს გასდია,
გული კვლავ შემრჩა საგულეში დანაცვებლარი,
წლებმა დამტვირთა, მომახურა მკრთალი მანტია,
ბრძნული დუმილით მელოდება კარი ვერსალის,
სარკეთა დარბაზს მივებლები უწინარესად,
ზედ ავაელვო სიჭაბუკის ახავერდება.
მერმე ავჩხრიკო, ნაოჭებმა რისთვის დამმეწყრა,
ან ცოდვა-მადლად რა მიმითვალეს წმინდა ხატებმა.
...ქარებს გასდია სიჭაბუკემ, ქარებს გასდია,
ხანაც ცოდვას და ხან მადლს წლები ზედ შეახვია.

ცის სილურჯეში შევაფარფატე
თეთრი ფერია,
ჩემი სამყაროს ორბიტიდან
ვარჩეფე ფრთები...
უვალი გზები,
ბილიკები,
ეს შედეგია,
ახლა ვზივარ და
ამ შედეგით სიამით ვტკბები,
მორჩილ სხეულში
არც არასდროს არ მიცხოვრია,
არც მოწყალეა
არავისთვის არ მითხოვია.

**„ზღვისფარი გაქვს თვალები და“
- პროზის ლომი**

მაგ შენს თვალებში ლაზისტანის ზღვა
ღელავს ლურჯად,
ველარ შევბედავ რომ შევცურო -
ფონიც დამახრჩობს,
ახლა იმედებს შენთან მოსვლის
პირი არ უჩანს,
სიყვარულიდან ხელნაკრავი
მოვთქვამ ამაოდ...
გამოვიტირე ოცნებების ამაოება
და მაგ თვალების გაელვება
ზვირთთა საფერი...
შენი მშვენება გულს უძლეველ
დარდად მოება
და ზედ ტკივილად ამოტვიფრა
შენი სახელი.

ემიგრანტული პოეზია

თათოზ რუხელი¹, რუსეთი, როსტოვი

დავობადე ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში 1960 წელს. სკოლა დავამთავრე წარმატებით. 1980 წლიდან რუსეთში ვცხოვრობ. დავამთავრე ქ. როსტოვის დონის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი. მყავს მეუღლე და ორი შვილი. ხშირად დავდივარ საქართველოში, რადგან გულით არასდროს არ მოვწყვეტილვარ მშობლიურ მიწას.



არც მდიდარი ვარ და არც ღარიბი,
არც ძველი ბიჭი და არც არიფი.
ვარ კეთილი და არ ვარ ბოროტი.
მუდამ მინდოდა, კეთილს - კეთილი
საქმით და გულით რომ ავყოლოდი.
უბრალოება აღარ მაკლია...
მთლად აღარა ვარ „ჰარი ჰარალე“.
მამული მიყვარს! მუდამ უფალს ვთხოვ,
დამიცავი და ის გამიხარე.
არ ვარ ორგული, ერთი გული მაქვს,
დედით და მამით მე ვარ ობოლი,
ო, როგორ მინდა, ჭირმა წაიღოს...
მტერი, ვითარცა... სპარსი... მონღოლი...
მიყვარს ყოველი ერი, უკლებლივ, –
„პაპუასებიც“ ჩემთვის ერია.
არ მიყვარს, როცა ათი ერთს ურტყამს,
ან თუ აჭარბებს, რომ ძლიერია.

¹ თათოზ რუხელი ფსევდონიმია გია ფუტყარაძისა.

ცოლი მიყვარს და მიყვარს ქალები...
მაშინ დამიფსეთ ცოდო თვალები!
თუ ვინმე მეძებს, კარი ღია მაქვს,
არცერთს მხდალივით არ ვემალები.
მიყვარს ბავშვები, ჩემი და სხვისი,
არ მინდა, ნახონ ომი რას ჰქვია.
არ ვურიგდები, თუ ვინმეს სახლში,
შესაშინებლად ზუზუნებს ტყვია.
მინდა, რომ ვთესო, სიკეთის თესლი,
ბოროტს რომ სძლიოს მუდამ კეთილმა.
ო, როგორ მინდა იმარადუამოს
ვარძიამ, კლდეში გამოკვეთილმა.
მე სხვა რა მინდა, მინდა, რომ ვიყო!–
ვიყო კაცი და მქონდეს სახელი...
სანამდის ვცოცხლობ, მიღიმოდნენ და
მერე დანალვლდეს ქვაზე მნახველი.
ო, როგორ მინდა... იქ წაიკითხო
სევდა, ამ დღეთა გამომსახველი!

მღერის გულგული

როგორ გშვენით ეგ ღიმილი, ქალბატონო!
ღმერთს დიდება! მოვესწარი, რომ მენახა.
განგებამაც მოისმინა ჩემი თხოვნა,
ზეციური საოცრება დამენახა.
თქვენს ღიმილში უტურფესი ფერებია,
წლებს ვხედავ, რომ წამითაც არ შეუცვლიხართ.
რაზე ვფიქრობ ახლა, იცით, ქალბატონო?
რაც იყავით... ის სიტურფე შეგინახავთ!
იკისკისეთ ქალბატონო! ესეც გშვენით, -
მახსენდება ტუჩნითელა ბროწეული...
იცით, ახლა თავს სად ვხედავ, ქალბატონო?-
სილამაზის ალღუმზე ვარ მოწვეული.
შენ გიყურებ და თვალებსაც არ ვუჯერებ, -
გულში ცეცხლი აგიზგიზდა, ქალბატონო!
დაგიპყრიათ... ალბათ ბევრი რაინდები,

მე გნებდებით, მსურს, ჩემს გულზე იბატონოთ!
მაგ ღიმილით დამატყვევეთ, ქალბატონო!
არაქათი გამელია... ტყვედ გნებდები.
საუკუნე, რკინის ჯაჭვი მედოს ფეხზე,
მაგ ღიმილის ტყვეობაში დავბერდები.
ნუ გამწირავთ, ო, როგორ მსურს, როგორ მინდა,
თქვენ მოგმართავთ, უნაზესო, ქალბატონო!
მიყვარხარო! ერთხელ მაინც გაიმეტოთ,
მაგ ლამაზი ტურებიდან გამაგონოთ.

წინიკოს!

დღეს დღე არის... ბედნიერი
ზეცაც გარინდებულა.
თვალკოკორა, ტურფა ვარდი,
ბაღში დაბრძანებულა.
დღეს დღე არის... ნაზი ვარდის,
თვალით სხივებს ანათებს;
მტრედებს მოაქვს და კითხულობს
მოსალოც ამანათებს.
გარს ეხვევა ყვავილთ გუნდი,
ცეკვაც აურჩევიათ...
და ბულბულიც საგალობლად
ბაღში მოუნვევიათ.
ცეკვავს ვარდი, ხარობს ბაღი,
ისმის ტკბილი ჰანგები.
წრე შეუკრავთ ვარდის ირგვლივ
ხარობენ გოგონები...
ენძელა და ყოჩივარდი,
იაც ბალერინა...
ეს ვინაა?! -არ იკითხოთ-
ეს ანცი გვირილაა;
კისკისებენ შროშანები,
ყაყაჩოთა ცეცხლია...
აელვარდა ვარდის სახე,
თვით დეკაც რომ ეწვია.
ქრიზანთემა გლადიოლუსს

თვალითა მზერით აჩვენებს -
ბულბული რომ ვარდთან მივა,
ვარდს სიმორცხვე ამშვენებს;
მიჯნურს ვინღა შეაჩერებს,
უსტვენს ომახიანად...
ყველა ნოტი ვარდს ეკუთვნის
გულიც მისი, მთლიანად.

*„როცა ჩემს გვერდით მავალი,
ან მარჯვნივ უხვევს, ან მარცხნივ,
მაინც წინ მინდა ვიარო,
უნდა მივადგე ღვთის ტაძარს...
თხოვნა... რომ გავუზიარო“ ./თ.რ./*

ძეო, ღვთისაო, უფალო ჩვენო,
მხსნელო, ყოველი ცოდვილისაო!
შენ ხარ მეუფე, სიკეთის სხივი,
ერთ-ერთი ძალა ჩვენი ხსნისაო;
ჩამბარებელი მომსვლელისა და
გამცილებელი წამსვლელისაო.
ძეო, ღვთისაო! მცველო ცისაო!
ძალის მიმცემო ზღვასა, წყლისაო,
მანათობელო ჩვენთვის მზისაო,
მაცოცხლებელო სულდგმულისაო;
მცველო აქ მიწის, იქ - ზეცისაო;
შთამგონებელო ზე, მთვარისაო;
გულის მალამო ტანჯულისაო;
იმედო კაცის, ბედკრულისაო;
დედის ვედრება პატიმრისაო,
დამბრუნებელო, სახლ-კარს მისაო;
აღის მიმცემი ლამპარისაო;
მქადაგებელო სიკეთისაო;
მამხილებელო ბოროტისა და
ლონის გამცლელი დამპყრობისაო;
ძალის მიმცემო, ჩაგრულისაო;

მეკვლე, ნანატრი, ახალ წლისაო,
სვე და ბარაქა, სიუხვისაო.
ძეო, ღვთისაო! მნამს თქმულისაო -
ნაშობიაო ქალწულისაო...
განა შეეძლო, სხვას რომ ეტვირთა
ამდენი ცოდვა, ცოდვილნისაო. ...
უფალო! მოველ, შენს საყდარში ვარ,
შენსა ფეხთაქვეშ მიწას გართხმული...
გემუდარები, მიეც მშვიდობა,
გაამთლიანე... სული ქართული!

თვალის თვალო!

ნ. ნ.

თვალის თვალო, თვალნათელო...
თვალო, თვალით სათვალთვალო!
როგორ მინდა, მოგეფერო...
თვალთ წამნამი დაგითვალო...
მოფერებით, თვალთ აღერსით,
ავ თვალისგან დაგიფარო.
ჩაგეფლობი ორთავ თვალში,
გუგის ნაზი, თოთო თრთოლვით...
გაგრძნობინო, თუ რა ხდება,
მზისგან სხივის გამოსროლვით.
მინდა, მუდამ შენს თვალიდან
მზერა მწვავდეს, წამიერი...
ყურს ათრობდეს შენი ბაგით
სიტყვა - არამანკიერი.
ოლონც ვიგრძნო, ამ წამისგან,
თავადაც ხარ ბედნიერი.
სულსაც დავთმობ, უსიტყვოდაც
გული იყოს მაღლიერი...

*„ვარსკვლავს ვარსკვლავი ხედავ, რომ სწყდება...
ქრება სევდა და ჩნდება იმედი.“ /თ.რ./*

თავს არ მოგანყენ, არ აგაღელვებ...
სიმშვიდე ყველას, ყველაფერს შველის.
თუ სითბოდ გულში ჩამიბუდებდი,
მეც გავიხარებ, ვით ნუკრი, შველის.
თვალმარგალიტის შესადარი ხარ
და მოციმციმე ზეცის ცქრიალი.
შენმა სიტურფემ მე ამაღელვა,
სულში ბინადრობს ორომტრიალი.
მე შენით ვსუნთქავ, გამოგიტყდები,
არ ვიცი, ამჩნევ შენ ჩემს ამ სუნთქვას?!
ო, როგორ მინდა, რომ ჩამჩურჩულო:
ასე არავის, არასდროს უთქვამს.
ჩვენ სიყვარული გვარგუნა ღმერთმა,
ციურ სხეულებს მივანდოთ სევდა.
ხომ გინახია, სევდის ვარსკლავი
ვით შურდულიდან ნასროლ ქვას სდევდა.
იფერფლებოდა ზეცის სიღრმეში,
აუარება, სევდის ნარჩენი...
ამ ქვეყანაზე თუ გვსურს სიცოცხლე,
სიყვარულია გადასარჩენი.

ოთარ გამყრელიძე – ღვანღმოსილი მეცნიერი და კვლავობი

ოთარ გამყრელიძე დაიბადა 1932 წლის 14 თებერვალს ქიათუ-რის რაიონის სოფელ ზოდში. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1963 წლიდან მუშაობს თინათინ წერეთლის სახელობის სახელმ-წიფოსა და სამართლის ინსტიტუტში. ამ პერიოდიდან იკვებება მისი ინტერესი არა მარტო რუსული, არამედ, გერმანული მეცნიერები-სადმიც. ინტერესი გერმანული სამართლის მიმართ მას პროფესორ-მა თინათინ წერეთელმა გაუღვიძა, რომელიც იმჟამად ინსტიტუტის სისხლის სამართლის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. პირველ ეტაპზე, ცნობილი რუსი მეცნიერის ნ. ტაგანცევის ნაშრომების პა-რალელურად, ოთარ გამყრელიძე ეცნობა გამოჩენილი გერმანელი კრიმინოლოგის - ფ. ლისტის ნაშრომებს, 1968 წელს წერს ნაშრომს: „დანაშაული და ადმინისტრაციული გადაცდომა“. ნაშრომში გამოკ-ვლეულია განსხვავება დანაშაულსა და ადმინისტრაციულ გადაცდო-მას შორის, რომლის ფარგლებშიც რუსი მეცნიერების გვერდით, ოთარ გამყრელიძე ეცნობა გერმანელი მეცნიერების, ა. ფოიერბახ-ის, ა. მერკელის, კ. ბინდნგის, ა. ი. მაიერის, ფრანკისა და გოლდშმიდტის შეხედულებებს. ოთარ გამყრელიძემ გაიზიარა გერ-მანელი მეცნიერის, კ. ბინდნგის შეხედულება, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართალი არ ქმნის ახალ ქცევის წესს. ნორმა, რომელ-საც დამნაშავე არღვევს, სისხლის სამართლის კანონს გარეთ არის. რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამართალს, კანონმდებელი აქ ნორ-მას პირველად აწესებს. ადმინისტრაციული სამართალი აწესრიგებს მანამდე მოუწესრიგებელ ფაქტობრივ გარემოებას.

1972 წელს ოთარ გამყრელიძემ დაწერა ახალი ნაშრომი „დანა-შაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა“. აღ-ნიშნული შრომა გამოქვეყნდა 1974 წელს. 1973 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის სამეცნიერო

საბჭოს სხდომაზე დაიცვა მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი თემაზე - „დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა“. აღნიშნულ ნაშრომში ოთარ გამყრელიძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიას, რომელიც იმ დროისთვის, ზოგიერთი მეცნიერის მხრიდან კიდევ სადაოდ იყო მიჩნეული. ოთარ გამყრელიძემ თავის ნაშრომში დაასაბუთა თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება და ამაზე ააგო შუალობითი ამსრულებლობის ცნება.

1975-76 წლებში ოთარ გამყრელიძემ დაწერა ნაშრომი „პროფესიული ფუნქციის შესრულება, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება“. დასახელებული ნაშრომი სამი თავისგან შედგება. პირველ თავში გამოკვლეულია მართლწინააღმდეგობის პრობლემა გერმანულ მეცნიერებაში. პროფესიული ფუნქციის შესრულება ისევე, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ზოგიერთი სხვა გარემოება მართლზომიერად ითვლება. ამიტომ აუცილებელია, იმ საკითხის გარკვევა, თუ რის საფუძველზე ითვლება ეს გარემოებები მართლზომიერად, რა ნიშნები ახასიათებს მათ ისეთი, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ქმედებათა სარგებლიანობას საზოგადოებისთვის. პროფესიულ მოვალეობათა მართლზომიერება რომ განესაზღვროთ, ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ვიცოდეთ, რა არის ქმედების მართლწინააღმდეგობა. სამართალი და უმართლობა, შეიძლება ითქვას, რომ ერთი მედლის ორი მხარეა. სისხლის სამართლის მეცნიერებაში ამ საკითხზე დიდი ლიტერატურა არსებობს. განსაკუთრებით საყურადღებოა გერმანულ მეცნიერთა ნააზრევი. მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის სისხლის სამართლებრივი უმართლობა ჯერ კიდევ წმინდა ობიექტურ კატეგორიად იყო მიჩნეული. ასევე ობიექტური ნიშნები განსაზღვრავდნენ დანაშაულის შემადგენლობას. რაც შეეხება სუბიექტურ ნიშნებს, ისინი ბრალის ცნებას აფუძნებდნენ. ეს იყო კლასიკური სისტემა, რომელშიც ყველა ნიშანს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. მე-20 საუკუნის ოციანი წლებიდან გერმანელმა მეცნიერმა ე. მეცგერმა თანდათანობით ჩამოაყალიბა თავისი თეორია, რომლის მიხედვითაც გამიზვნით დელიქტებში და დანაშაულის მცდელობის დროს, სუბიექტურ ელემენტებს (სხვისი ნივთის მითვისების მიზანი ქურდობის დროს, მკვლელობის მიზანი მცდელობის დროს და ა. შ) ობიექტური მნიშვნელობა ეძლევა სხეულებრივ მოძრაობასთან ერთად. რაც შეეხება დასრულებულ დელიქტებს (მაგ. მკვლელობა), აქ მიზანი კარგავს

ობიექტურ მნიშვნელობას და ის ბრალის ელემენტად იქცევა. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში გერმანიაში აღმოცენდა კიდევ ერთი მიმართულება, რომელიც ფინალური თეორიის სახელით არის ცნობილი. ამ თეორიის ავტორია ჰ. ველცელი. ფინალურმა თეორიამ სუბიექტური ელემენტები მთლიანად უმართლობის ცნებაში გადაიტანა. ოთარ გამყრელიძემ დასახელებულ ნაშრომში ორივე ეს თეორია კრიტიკულად შეაფასა. მისი აზრით, ე. მეცგერმა ხელოვნურად დააკნინა სუბიექტური ელემენტების მნიშვნელობა ობიექტური უმართლობის დასაბუთებისთვის. ჰ. ველცელმა, პირიქით, ხელოვნურად განავრცო და გადაჭარბებული მნიშვნელობა მიანიჭა სუბიექტურ ელემენტებს, ე. მეცგერისგან განსხვავებით, ერთიანი უხარვეზო სისტემის ასაგებად. ჰ. ველცელის სისტემის მიხედვით, სუბიექტურ ელემენტებს მნიშვნელობა ეძლევა ობიექტური უმართლობის დასაბუთებისთვის, რაც ოთარ გამყრელიძისთვის, სრულიად მიუღებელი დებულებაა. ამ ორი თეორიის კრიტიკულად განალიზების საფუძველზე, ოთარ გამყრელიძემ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება, რომელიც, ე. მეცგერისგან განსხვავებით, ერთის მხრივ, უფრო აფართოებს უმართლობის სუბიექტური ელემენტების სფეროს სისხლის სამართალში, მეორეს მხრივ, ეს შეხედულება არ მიდის ისე შორს და არ მოიცავს გაუფრთხილებლობის სფეროს, როგორც ამას ვხვდებით ჰ. ველცელის სისტემაში. ოთარ გამყრელიძის აზრით, ე. მეცგერის ნაკლი ის არის, რომ მცდელობის სტადიაზე ის მიზანს ობიექტურ მნიშვნელობას ანიჭებს და მას უმართლობის ელემენტად მიიჩნევს, რადგან მცდელობა არ შეიძლება გაუფრთხილებლობით. დანაშაულის დამთავრების დროს ეს მიზანი ბრალის ელემენტად იქცევა, რადგან, მაგალითისთვის, მკვლელობა შეიძლება, როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. ოთარ გამყრელიძის შეხედულებით, დანაშაულის ჩადენის მიზანს ყოველთვის აქვს ობიექტური მნიშვნელობა, სულ ერთია, დანაშაულის ჩადენის რომელ სტადიასთან გვაქვს საქმე, მცდელობასთან თუ დამთავრებულ დანაშაულთან. მიზნის ასეთი გაგება, სრულიად დაუსაბუთებელია. თუ მიზანს რაღაც ეტაპზე აქვს ობიექტური მნიშვნელობა, ეს მნიშვნელობა მან არ შეიძლება დანაშაულის დამთავრების დროს დაკარგოს. ამის კლასიკური საბუთია „გამართლების სუბიექტური ელემენტების“ თეორია. პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების დროს, როცა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედებები გამართლებულად ითვლება, როცა მართლნი-

ნააღმდეგობა გამოორიცხულია, ქმედების გამართლება, ესე იგი მართლწინააღმდეგობის გამოორიცხვა სუბიექტური ელემენტის მიზნის გარეშე შეუძლებელია. მაგალითად, აუცილებელი მოგერიების დროს, მოგერიების მიზანი ქმედების მართლზომიერებას ასაბუთებს. მკვლელობა, ესე იგი თავდამსხმელის სიცოცხლის მოსპობა, ამ დროს დასრულებულია. ამიტომ, თუ დასრულებული მოგერიების დროს, მიზანს ობიექტური მნიშვნელობა ეძლევა და გამოორიცხავს მართლწინააღმდეგობას, რატომ არ შეიძლება ამ მიზანს ობიექტური მნიშვნელობა მიენიჭოს, როცა ჩადენილია დამთავრებული მკვლელობა? მასასადამე, მიზანს ობიექტური მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, მიუხედავად იმისა, დანაშაული მცდელობის სტადიაზე შეჩერდა თუ დასრულდა. რაც შეეხება ჰ. ველცელის ფინალური მოქმედების თეორიას, ის, როგორც უკვე ვთქვით, უსაფუძვლოდ აფართოვებს სუბიექტური ელემენტების ობიექტური მნიშვნელობის სფეროს, რაც სრულიად მიუღებელია. ერთი სიტყვით, ოთარ გამყრელიძემ ჩამოაყალიბა თავისი თეორია, რომლის მიხედვით, სუბიექტურ ელემენტებს ობიექტური მნიშვნელობა ენიჭებათ და ქმედების მართლწინააღმდეგობას თუ მართლზომიერებას განსაზღვრავენ მხოლოდ პირდაპირი განზრახვით დელიქტებში (მაგალითად, განზრახვი მკვლელობა და სხვ).

1977 წელს ოთარ გამყრელიძემ გამოაქვეყნა სამეცნიერო ნაშრომი სათაურით „თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი“, სადაც განხილულია თანამონაწილეობის დასჯადობის შვეიცარული მოძღვრება. ამ ნაშრომში კრიტიკულად არის განხილული თანამონაწილეობის შვეიცარული მოძღვრება, რომელიც ბრალეული თანამონაწილეობის საფუძველზეა აგებული. ოთარ გამყრელიძე კრიტიკულად განიხილავს შვეიცარელი მეცნიერის ს. ტრეხსელის წიგნს „der Strafgrund der Teilnahme“. ოთარ გამყრელიძე ს. ტრეხსელის წიგნის კრიტიკული განხილვის საფუძველზე აყალიბებს დანაშაულის პროვოკაციის საკუთარ გაგებას, რომლის მიხედვით პროვოკატორი და პროვოცირებული სხვადასხვა უმართლობას სჩადიან. ამის დასაბუთება კი ხდება უმართლობის სუბიექტური ელემენტების საფუძველზე, რომელიც ოთარ გამყრელიძემ შეიმუშავა ზემოთ დასახელებულ წიგნში „პროფესიული ფუნქციის განხორციელება, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება.“ პროვოკატორის მიზანია, პროვოცირებულის გასამართლება და ციხეში ჩადება, ხოლო პროვოცირებული კი მოტყუებულია და მისი მიზანია, პრო-

ვოკატორის მიერ მითითებული დანაშაულის ჩადენა. ეს იდეა ამჟამად გაბატონებულად ითვლება ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. უფრო მეტიც, დანაშაულის პროვოკაციის ასეთი გაგება უკვე დამკვიდრდა საქართველოს კანონმდებლობაშიც. საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლით გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკაციისათვის. ამ მუხლის შინაარსი ასეთია: „დანაშაულის პროვოკაცია, ესე იგი სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად, მისი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებაში მისაცემად“. ამ მუხლის მიხედვით დანაშაულის პროვოკაცია ნათლად არის გამიჯნული დანაშაულში თანამონაწილეობისაგან. 1982 წელი მნიშვნელოვან თარიღად უნდა მივიჩნიოთ ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის. ამ წელს გაიმართა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის საერთაშორისო კოლოქვიუმი სისხლის სამართლის საკითხებზე. მოსკოვმა გადაწყვიტა, რომ ეს საერთაშორისო ღონისძიება თბილისში გამართულიყო. ეს შემთხვევითი მოვლენა არ იყო. ქართული სისხლის სამართლის მეცნიერების სკოლა, რომლის სათავეში იდგნენ პროფესორი თ. წერეთელი და ვ. მაყაშვილი ცნობილი იყო მთელ საბჭოთა სივრცეში. დასავლეთ გერმანიის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ცნობილი გერმანელი იურისტი, პროფესორი ჰანს-ჰაინრიხ იეშეკი, რომელმაც დიდი კმაყოფილება გამოხატა ქართველი მეცნიერების მოხსენებების გამო. ამ კოლოქვიუმზე ო. გამყრელიძემ წაიკითხა მოხსენება „უმართლობის სუბიექტური ნიშნების საკითხისათვის“. ეს პრობლემა საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის მაშინ სრულიად უცხო იყო. ოთარ გამყრელიძე საკითხს ამ მოხსენებაში უახლეს გერმანულ ლიტერატურაზე დაყრდნობით აშუქებდა.

1978-79 წლებში ოთარ გამყრელიძემ დაწერა გამოკვლევა „ბუნების დაცვის სისხლის სამართლებრივი საკითხები“. ამ ნაშრომში მეცნიერულად არის შენავლილი საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც სასჯელი იყო დაწესებული ბუნების სხვადასხვა ობიექტის დანაშაულებრივი ხელყოფისათვის.

1982 წელს ოთარ გამყრელიძემ დაწერა ამ თემასთან დაკავშირებული ახალი ნაშრომი - „ბუნების დაცვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საკითხები“. 1986-87 წლებში ახალ წიგნზე მუშაობით იყო დაკავებული. ეს წიგნი, რომლის სათაურია „სისხლის სა-

მართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი“, 1989 წელს დაიბეჭდა.

1989 წელს ოთარ გამყრელიძემ გამოსცა კიდევ ერთი ნაშრომი სათაურით - „სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი.“ 1994 წელს იგი იცავს დისერტაციას და ენიჭება იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

პროფესორ ოთარ გამყრელიძეს დაწერილი აქვს სამასამდე სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომი, მათ შორის ათამდე მონოგრაფია. მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ოთარ გამყრელიძე ახალგაზრდობიდანვე დაინტერესებული იყო გერმანული სისხლის სამართლის მეცნიერების შესწავლით. ამაში მას ხელს უწყობდა მისი სამეცნიერო ხელმძღვანელიც, პროფესორი თინათინ წერეთელი, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც, სისხლის სამართლის მეცნიერების საუკეთესო მკოდნედ იყო აღიარებული.

ოთარ გამყრელიძეს გერმანული სისხლის სამართლის მეცნიერების მიღწევების დაუფლებაში განსაკუთრებით ხელს უშლიდა საბჭოთა იდეოლოგია, რომელიც გერმანულ სამართლებრივ აზროვნებას ბურჟუაზიული აზროვნების ნაცოფად მიიჩნევდა და მასზე დაყრდნობით სამეცნიერო მუშაობა აკრძალული იყო. გერმანული ლიტერატურის გამოყენება მხოლოდ კრიტიკული მოსაზრებებით იყო ნებადართული. ამ მოტივით გერმანულენოვანი ლიტერატურა საბჭოთა კავშირში პრაქტიკულად არც შემოდიოდა.

ამ მხრივ მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა მე-20 საუკუნის სამოციანი წლების შუა პერიოდიდან, როცა მოსკოვმა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო დაწესებულებებს უფლება მისცა, სახელმწიფო ხარჯზე შეესყიდათ სამეცნიერო ლიტერატურა დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. ეს უფლება კარგად გამოიყენეს ქართველმა მეცნიერებმა, რომელთა შორისაც იყო პროფესორი ოთარ გამყრელიძეც. საქართველოში შემოვიდა უახლესი გერმანული სამართლებრივი ლიტერატურა, რამაც წინ წასწია ქართული სისხლის სამართლებრივი აზროვნება.

1982 წელს თბილისში გაიმართა გერმანია-საბჭოთა კავშირის საერთაშორისო კოლოქიუმი სისხლის სამართლის პრობლემებზე. გერმანიის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ცნობილი გერმანელი

მეცნიერი, პროფესორი ჰ.ჰ. იეშეკი. ამ კოლოქვიუმში საქართველოს მხრიდან ოთარ გამყრელიძე აქტიურად იყო ჩართული.

1994 - 1995 წლებში პროფესორი ოთარ გამყრელიძე სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ფრაიბურგის სისხლის სამართლის, საერთაშორისო სისხლის სამართლისა და უცხოური სისხლის სამართლის მაქს-პლანკის სახელობის ინსტიტუტში.

1999 წელს ფრაიბურგში მონაწილეობდა სისხლის სამართლის საერთაშორისო კონფერენციაში, სადაც წარმოადგინა ვრცელი მოხსენება თემაზე: „სისხლის სამართლებრივი წარსულის შეფასება საქართველოში პოლიტიკური სისტემის ცვლელებისას (Strafrechtliche Vergangenheitsaufarbeitung nach politischen Systemwechsel in Georgien)“.

პროფესორი ოთარ გამყრელიძე 2002 წელს მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ფრაიბურგის მაქს-პლანკის სისხლის სამართლის, საერთაშორისო სისხლის სამართლისა და უცხოური სისხლის სამართლის ინსტიტუტის ეგიდით ჩატარდა ბავარიაში ტეგერზეზე (Tegernsee). კონფერენციაში პროფესორი გამყრელიძე წარდგა მოხსენებით: „შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართლში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა“ (Zurechnungsproblem im Strafrecht und versuchen begründet normativen Schuldbegriff), რომელიც შემოკლებული ვერსიით გერმანიაშიც გამოქვეყნდა. მოხსენებაში განხილულია გაუფრთხილებლობის ცნება და მისი ადგილი დანაშაულის ცნების სტრუქტურაში. აქვე მოცემულია ქმედების ცნების ავტორისეული გაგება.

ოთარ გამყრელიძე იყო საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის შემდგენელი სამთავრობო კომისიის წევრი და საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარე.

1974 წლიდან 1991 წლამდე იგი მუშაობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მეცნიერ-კონსულტანტად, სისხლის სამართლის მიმართულეებით.

კითხულობდა ლექციებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე. კითხულობდა და დღემდე განაგრძობს ლექციების კითხვას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გერმანიაში, ერთ-ერთი სამეცნიერო მივლინების ფარგლებში, ოთარ გამყრელიძემ დაწერა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ალტერნატიული პროექტი, რომელიც მოგვიანებით მოწო-

ნებულ იქნა ჰოლანდიაში ევროპელი და ქართველი სპეციალისტების მიერ. აღნიშნული პროექტი საფუძვლად დაედო დღეს საქართველოში მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსს.

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაზე დაყრდნობით, ოთარ გამყრელიძემ ქართულ სისხლის სამართალში შემოიტანა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების ორკვალიანი სისტემა, რომელიც აისახა 1999 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.

პროფესორი ოთარ გამყრელიძე ერთ-ერთი მათგანია, რომელიც სამართლებრივი მოვლენების ასახსნელად ედმუნდ ჰუსერლის ფილოსოფიას ეყრდნობა. იგი სამართლის ფენომენოლოგიური სკოლის წარმომადგენელია, რაც არ გულისხმობს სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის სრულ უარყოფას სამართლის მეცნიერებაში. ამ მეთოდებს ოთარ გამყრელიძე იყენებს სამართლის იდეის ფარგლებში.

ოთარ გამყრელიძე, ე. მეცგერისა და ჰ. ველცერის შეხედულებების კვლევის შემდგომ აყალიბებს თავის შეხედულებებს სისხლისსამართლებრივი უმართლობის თემაზე. მისი აზრით, პირდაპირი განზრახვის დროს მიზანი, ყველა შემთხვევაში, უმართლობას ასაბუთებს, ხოლო მოტივი ბრალის ნიშანია.

პროფესორი ოთარ გამყრელიძე დღესაც აგრძელებს პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

ბატონ ოთარს 2017 წლის 14 თებერვალს 85 წელი უსრულდება. გვინდა ვუსურვოთ ჯანმრთელობა და წარმატებები შემოქმედებით საქმიანობაში. დიახ, ის გახლავთ ღვანლმოსილი მეცნიერი, სამშობლოზე შეყვარებული კაცი, არაერთი მეცნიერის აღმზრდელი და პედაგოგი. მიუხედავად ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობისა, ვმეგობრობთ და დიდ პატივისცემას გამოვხატავთ მის მიმართ.

ბატონი ოთარი სიჭაბუკეში ენეოდა მთარგმნელობით საქმიანობას.

თარგმანი

მიხეილ ლერმონტოვი

დაიბადა 1814 წლის 3 ოქტომბერს მოსკოვში, სამეფო ოჯახში.

ლექსების წერა 1832 წელს დაიწყო, გამოქვეყნება კი 1837 წლიდან. ამავე წელს დაწერილმა ლექსმა: „პოეტის სიკვდილი“, რომელიც მიუძღვნა პუშკინის დაღუპვას, ლერმონტოვს დიდი პოპულარობა და, ასევე, ხელისუფლების რისხვა მოუტანა, ის საქართველოში გადაასახლეს. საქართველომ და მისმა ბუნებამ პოეტზე წარუშლელი კვალი დატოვა, რაც აისახა მის შემოქმედებაში.

პოეტი დაიღუპა 1841 წლის 27 ივლისს, მაიორ მარტინოვთან დუელში.



პითანება

დაე, დადალოს ბრბომ მძულვარებით,
გამოუცნობი კავშირი ჩვენნი,
დაე, შენ კაცთა ბოროტ ზრახვებით,
ვერ გახდე ღირსი ოჯახურ ლხენის.
მაგრამ ამ ქვეყნის კერპთა წინაშე,
არ ვიყრი მე მუხლს შეშინებული;
როგორც შენ, ვერ ვჭვრეტ საგანს მეც მასში,
ვერც მძლავრ სიამის, ვერც სიყვარულის.
როგორც შენ, ვბრუნავ მხიარულ წრეში,
ვარ ყველასადმი განურჩეველი:
სულელსაც, ბრძენსაც ერთგვარად შევეტრფი,
მევე ვარ ჩემი გულისმრჩეველი.
მიწიერ ლხენას ჩვენ არად ვაგდებთ,
ადამიანებს ვაფასებთ მეტად;
ჩვენ თავს არასდროს არ ვუღალატებთ,
სხვაც ღალატს ვერვინ ვერ გაგვიბედავს.
ბრბოში ერთმანეთს ჩვენ გავეცანით,
შევხვდით და გაგყრის ბედი ტიალი;
უსიხარულო იყო ტრფიალი,
გაყრას შევხვდებით უკაემანოდ.

საკაერო სომალდი

ოკეანის ლურჯ ტალღებზე,
ვარკვლავების ნაზ ციალში, –
მარტოდ-მარტო გემი მიჰქრის,
მიჰქრის ყველა აფრებაშლით.
არც ჩქამია ფლუგერების,
იხრებიან არც ანძები,
მხოლოდ ღია სარკმელებში
სჩანან თუჯის ზარბაზნები.
არც კაპიტნის ხმა არ ისმის,
ვერც მეზღვაურს ხედავს თვალი,
მაგრამ ხომალდს ვერას აკლებს
ვერც კლდე-ლრე და ვერც გრიგალი.
შუა ზღვაში უდაბური
კუნძულია პანანინა,
იმ კუნძულზე საფლავია,
იმპერატორს მასში სძინავს.
ჩაფლულია ის ქვიშაში,
საძულველი მტრების მიერ,
ზედ ქვა ადევს, რომ ვერ შეძლოს
წამოდგომა მან ამიერ.
... და სიკვდილის მწარე საათს,
შუალამე როცა დგება,
წლის დასასრულს მაღალ ნაპირს
გემი წყნარად მიადგება.
მაშინ უცებ იმპერატორს
ელვიძება, სიმხნე ავსებს.
რუხ სალაშქრო ქურთუკშია,
სამკუთხოვან ქუდით თავზე.
გულზე მძლავრ ხელდაჭდომილი,
თავდახრილი გვიან ღამეს
მიდის, საჭეს მიუჯდება
და გემს სწრაფად მიაქანებს.
მიჰქრის ძვირფას საფრანგეთში,
იქ დიდება, ტახტი ელის,
იქ მემკვიდრე ვაჟი მისი

და გვარდია დარჩა ძველი.
და როგორც კი მშობელ მინას
მოჰკრავს ბნელში თვალს ადრევე,
მის გულს ისევ ძრწოლვა იპყრობს
და თვალეზი ცეცხლს აფრქვევენ.
ხმელზე მძლავრად და ამყად
ის პირდაპირ მიაბიჯებს,
უხმობს მარშლებს მრისხანე ხმით
და უყვირის ერთგულ ბიჭებს.
მაგრამ სძინავთ გრენადერებს,
ველზე, სადაც ელბა ბორგავს,
ზოგს ეგვიპტის ცხელი ქვიშა –
ცივ რუსეთის თოვლი ბორკავს.
და მარშლებსაც ხმა არ ესმით:
ბევრი ბრძოლის ველზე დარჩა,
სხვებმა იმას უღალატეს
და გაყიდეს თავის დაშნა.
და, დაკრავს რა ფეხს მინაზე,
მშვიდ ნაპირზე გაბრაზებით,
წინ და უკან დამავალი
კვლავ იძახის მთელი გზნებით.
უხმობს თავის საყვარელ ვაჟს,
უერთგულესს მუხთალ ბედში;
მას მსოფლიოს ორად უყოფს,
თვით იმეფებს საფრანგეთში.
მაგრამ სავსე იმედებით
ჩაქრა ვაჟი მეფის დარი
და დიდხანს იმპერატორი
ელის იმას მარტოდ მდგარი.
დგას და მძიმედ ოხრავს, ვიდრე
განთიადი არ იელვებს,
და გადმოღვრის თვალეზიდან
ცივ ქვიშაზე მწარე ცრემლებს.
მერე თავის ჯადო გემზე
თავდახრილი მიდის, ჯდება;
ხელს ჩაიქნევს უიმედოდ
და კვლავ ძველ გზას გაუდგება.

მომისმინე, შეიძლება, როცა წავალთ უფლის ნებით
ამ ქვეყნიდან საუკუნოდ, სადაც სულით ვიყინებით;
იმ მხარეში, სად სიცრუეს არ უხდება არვინ მონად,
შენ იქნები ანგელოზი, გადვიქცევი მე დემონად! –
დაიფიცე, საოცნებოვ, დაიფიცე მაშინ შენა,
ძველ მეგობრის გულისათვის, რომ სამოთხის დასთმობ ლხენას!
დე, პირქუში განდევნილი, ბედისაგან მსჯავრდებული,
მე სამოთხე ვიყო შენი, შენ სამყარო – ჩემთვის სრული!

ლერნამი

ზის მეთევზე მხიარული
ლურჯ მდინარის პირას
და იმის წინ ქარი არხევს
ლერნამთა ჯარს სშირად.
მოსჭრა ხმელი მან ლერნამი
და გახვრიტა ბევრგან,
ერთ მხარეზე თავს დაუცო –
მეორეს ჩაჰბერა.
უცებ, ვითომ გაცოცხლდაო,
ხმა მოისმა ლერნმის,
ისე, თითქოს კაცის ნათქვამს
ქარის ხმები ერწყმის.
და კვნესოდა სევდიანად:
„გთხოვ, გამიშვა მალე!
მებადურო, სხივმოსულო,
აბა, რად მანვალებ!
ერთ დროს ვიყავ მეც ქალწული
მზეთუნახავს ვგავდი,
დედინაცვლის ბნელ საკანში
ვყვაოდი ვით ვარდი.
და უბრალოდ, უცოდველად
ცხარე ცრემლებს ვღვრიდი,

და ვუხმობდი დღე-ღამ უღვთოდ
მე უდროოდ სიკვდილს.
ჰყავდა ვაჟი დედინაცვალს
და უყვარდა ძლიერ:
მატყუარა ქალწულების -
ხალხის მოძულიე.
ერთ საღამოს ჩვენ წავედით
ციცაბო ნაპირას,
რომ გვეცქირა ტალღებისთვის-
მწუხრისთვის გვეცქირა.
ჩემს სიყვარულს მთხოვდა იგი,
მე ვადექი უარს,
მერე ფული შემადღია-
ვერც მით მომატყუა.
და დამლუპა უბედური-
გულს დამადო დანა,
და აქ ჩაფლა ჩემი ტანი,
ამ ფრიალოსთანა.
გაიზარდა ჩემს საფლავზე
ეს ლერწამი მაღლა.
მასში ცოცხლობს ჩემი სულის
მწუხარება ახლა.
დაანებე თავი ლერწამს,
მებადურო, კარგო,
ტირილს არ ხარ შენ ჩვეული,
სხვა რა უნდა მარგო.

პალესტინის რტო

მითხარი, რტოო პალესტინისავ,
სად იზრდებოდი, ან სად ჰყვავდი,
რომელ გორების, რომელ მინდვრისა
შემამკობელი იყავი ტოტი?
იორდანისა უნმინდეს წყლებთან
იქნებ გკოცნიდა სხივი დილისა,

ან ღამით რისხვა გაკანკალებდა
ლიბანის მთებში ქარტეხილისა?
იქნებ ლოცვებით იყვნენ დაღლილნი,
ან თუ მღეროდნენ შორეულ ჰანგებს,
როცა სოლიმის სანყალნი შვილნი
მზრუნველ ხელებით შენს ფოთლებს წნავდნენ?
ნეტავ თუ ცოცხლობს ის პალმა კვლავაც?
როცა ზაფხულის ხვატია მწვავი,
კვლავ თუ იზიდავს ის გზად მიმავალს
ფართოფოთლოვან აქოჩრილ თავით?
თუ ისიც, შენებრ მარტოდ შთომილი,
დააჭკნო გაყრის მწარე სიობლემ,
და ახლა მტვერი წილადხვდომილი
ხარბად ასხდება მის ყვითელ ფოთლებს...
მითხარი: წმინდა ღვთისმოსავ ხელით
ვინ მოგიტანა შენ ამ მხარეში?
წუხდა ის შენზე ჩუმი ნალველით?
ინახავ შენ კვალს ცრემლთა თარეშის?
თუ ღვთიურ ლაშქრის გმირი მამაცი,
ნათელი შუბლი ამკობდა ვისაც,
შენსავით იგიც ღირს იყო ზეცის
წინაშე ხალხის და ღვთაებისა?
გადანახული ზრუნვით მალულით,
ოქროს ხატის წინ უჩინარადა
შენ, რტოო, ნეტარ იერუსალიმის
დგახარ სინმინდის ერთგულ დარაჯად.
მსუბუქი ბინდი, შუქი კანდელის,
წმინდა სიმბოლო, სახატე, ჯვარი...
სავსეა ყველა ნუგეშით, ლხენით,
შენ წინ, შენ ირგვლივ რაც კი რამ არის.

არ მინდა, ქვეყნად ყველამ იცოდეს
ჩემი მოთხრობა ეს იღუმალი;
როგორ მიყვარდა, რისთვის ვინოდი,
მას სჯის სინდისი და თვით უფალი!..

მას გული გრძნობებს მიანდობს წმინდას,
იმათ გამოსთხოვს ის შენანებას;
და მე კი, დაე, დამსაჯოს იმან,
ვინც მოიგონა ჩემი წამება;
კიცხვა უვიცთა, კიცხვა ხალხისა,
ამაყ სულს სულაც ის ვერ ადარდებს;
დე, იბობოქრონ ტალღებმა ზღვისა,
რას დააკლებენ გრანიტოვან კლდეს;
ღრუბლებში შუბლი რომ აღუმართავს,
ორი სტიქიის მიჯნაზე სახლობს,
და ქარიშხლის და ქუხილის გარდა
ის თავის ფიქრებს არავის ანდობს...

ტუსალი

გამომიღეთ საკნის კარი,
დღის მომეცით ბრწყინვალება,
ცხენი გიშრისფაფრიანი
და გოგონა შავთვალება.
ჯერ ნორჩ ასულს მწველს და მდაგველს
დაეუკოცნი ტკბილად ბაგეს,
მერე მერანს მოვახტები
და ქარივით გავფრინდები.
მაგრამ ციხე მაღალია,
ბოქლომნადებ მძიმე კარით;
შავთვალებსაც შორს ძალიან
თავის ზღაპრულ კოშკში არის.
მარდი ცხენი მარტო ველად
უაღვიროდ, უზრუნველად
დარბის ხტუნვით და თამაშით,
გაუშლია კუდი ქარში...
მე მარტო ვარ: – უნუგეშოდ
შიშველ კედლებს შუა მდგარი;
იფერფლება, როგორც ნემო;
მკრთალი შუქი მბჟუტავ კვარის.

მხოლოდ ისმის: დადინჯებით,
კართან ნელი ნაბიჯებით,
ლამე-ბნელში სევდის მგვრელი,
უხმოდ დადის კარის მცველი.

ჩვილის გაჩენას სიამით ვხვდები
და ვესალმები ლექსით გვიანით.
დე, მთელი ქვეყნის ანგელოზები
მას ენაცვალოს... იყოს სვიანი!
დე, იყოს მამის ღირსების მცველი,
დედის გამოჰყვეს ეშხი და მადლი;
დე, იყოს სულით აუმღვრეველი,
ვით ქერუბიმი მონა სიმართლის!
დე, არ სცნოს დრომდე ტრფობის წუხილი
და არც დიდება ფიქრების ხარბის;
ნუ გააკვირვებს, იყოს გულგრილი
ქვეყნის ხმაურის და ბრწყინვის ყალბის;
დე, ნუ დაეძებს მიზეზებს დიდად
თვისი ლხენის და სხვის ვნების მწველის,
და გამოვიდეს ქვეყნის ლაფიდან
სულით სპეტაკი და გულით მრთელი!

რუსულიდან თარგმნა ოთარ გამყრელიძემ

ნადირობა

ივანე ჯავახიძე



ორკვირიანი ნადირობის თავბადასავალი

ახალგორელი მეგობარი, ალბერტ მღებრიშვილი ჩამოვიდა ერთხელ ჩემთან სანადიროდ და თან თავისი საუკეთესო რუსული მდევარი, ჯულაც ჩამოიყვანა. ღორზე ნადირობას ვაპირებდით. მაგიდასთან ვსაუბრობდით, თან ღვინოს ვსვამდით, ძველ ამბებს ვიხსენებდით.

ერთხელ, ახალგორში ხელმოცარული ნადირობიდან დაბრუნებულეებს, ქალაქის განაპირა ტყეში, კარგად მოზრდილი, შინაური ტყის ღორი შემოგვაკვდა. სახლში არაფერი ეგულებოდა და სტუმრებს ხომ უნდა დაგვხვედროდა. ღორებიც ტყიდან ბრუნდებოდნენ ჩვენსავით და შორიახლოს ჩაგვიარეს. ალბერტმა თოფი მოიგდო და ერთი ღორი იქვე გააგორა. ცაში გაფრენილ მერცხალს ჰკლავდა. მანქანა იქვე, ტყის პირას გვყავდა დაყენებული, მოიყვანეს და ამ ჩვენი ნანადირევით დავბრუნდით მასთან სახლში. უკვე შებინდებული იყო, დავანთეთ ეზოში ცეცხლი, ცეცხლზე წყალი ავადუღეთ და დავინწყეთ ღორის გაფუფქვა-გასუფთავება. ალბერტს დედა არ ჰყავდა და მამიდას შეეკითხა, - მამა სად არისო, - შვილო, ერთი ღორი შინ არ დაბრუნებულა და ტყისკენ მოსაძებნად წავიდაო, — იყო პასუხი.

- ეს ხომ არ არის, მოდი, ნახეო, - უთხრა ალბერტმა მამიდას. მან შეხედა და აღმოჩნდა, რომ მას თავისი ღორი მოეკლა, თავად კი, იაფად ფიქრობდა მასპინძლობიდან გამოსვლას.

ალბერტი ჩემი მეგობარი იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან. ის სამთოზე სწავლობდა, მე კი ელექტრომექანიკურ ფაკულტეტზე.

ნადირობას გადაყოლილი, ინსტიტუტში სწავლას ათი წელი მოუნდა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, დაამთავრა და ნადირობაში გაცნობილი მაღალი წრის ნაცნობების დახმარებით, პირდაპირ ახალგორის საგზაოში გაუშვეს უბნის უფროსად. შესახებდავად კარგი ვაჟკაცი იყო. მრავალი ნაცნობ-მეგობარიც ჰყავდა. ყველას უყვარდა და აფასებდნენ კიდევც. კარგი, უღალატო, ერთგული მეგობრებისათვის ის ყოველთვის შემართული იყო თევზაობის, ნადირობისა, ქეიფობისა და ყველა კარგი საქმისათვის.

ოჯახში მატერიალურად უჭირდათ. ვატყობდი, თბილისში სწავლისათვის არავითარი სახსარი არ გააჩნდა. როგორც ბევრი მისნაირი, უფულოდ ცხოვრობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში. სწავლაში მოსწრება არ ჰქონდა და მცირე სტიპენდიასაც ვერ იღებდა. სამაგიეროდ, ნადირობაში პირველი იყო. კვირიდან კვირამდე ვიკარგებოდი ხოლმე საქართველოს სხვადასხვა მხარეში სანადიროდ. სტუდენტლექის საერთო საცხოვრებლის ახლოს ვცხოვრობდი დეიდასთან და სწავლისაგან მთელ თავისუფალ დროს ამხანაგებთან ვატარებდი. მამაჩემი სულ მუდამ ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა საგარეჯოში. დიდი ვენახებიც გვქონდა, საქონელიც და ეკონომიკურად არ გვიჭირდა. სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის სასადილოში ხშირად ვეპატიჟებოდი ამხანაგებს, განსაკუთრებით იმათ, ვისზეც ვიცოდი, რომ ხელმოკლე ოჯახიდან იყვნენ და უჭირდათ. არც საერთო საცხოვრებელში მოწყობილ „ტრაპეზებს“ ვერიდებოდი. მათ შორის, რა თქმა უნდა, ალბერტიც იყო. მადლიერების გამოხატვაც იცოდა. ერთხელ, საუბარში მითხრა: - შენ, ძმაო, დიდი ამაგი გაქვს ჩემზე. როგორც რომ წყლიდან ჭიანჭველა ამოიყვანო, ნაპირზე დასვა და უთხრა — წადი იცოცხლეო, ისე გყავარ ამ მიძიმე ცხოვრებიდან გამოყვანილიო. რამდენიმე დღის მშვიერიც რომ ყოფილიყო, სუფრაზე ვერ შეატყობდი, თავდაჭერილი საქციელი ჰქონდა. განსაკუთრებით უყვარდა საშემოდგომო-საგაზაფხულო ჯარში განწვევის პერიოდები, რომელიც თვეობით გრძელდებოდა. ამ დროს, ინსტიტუტში სიარულის ნაცვლად, ის მთლიანად დაკავებული იყო ნავთლულში, ჯარში გასწავლე პუნქტში, ახალგორის მხარის ნაცნობ-უცნობების გაცილების ცერემონილით. ჯარში წამსვლელ-გამცილებლები, რადგან ხშირად ღამის გასათევი ადგილიც არ ჰქონდათ, ალბერტს თავიანთ პურმარილიანად თავის სამკაცთან საცხოვრებელ ოთახში მოჰყავდა. იყო ერთი ამბავი, ჭიქების ტრიალი, ქეიფი, სადღეგრძელოები. სტუ-

მრებს ზოგს იატაკზე ათავსებდა, ზოგს გასაშლელ სანოლზე, ან მე-ზობელ ოთახში გადაანანილებდა. ერთხელაც მისი ოთახის კარებზე ხუმრობით წაენერათ: – „ახალგორის ჯარში გასანვევი პუნქტი“.

მახსოვს, ერთხელ პრორექტორი ატარებდა საერთო საცხოვრებელში უგრაფიკო შემოვლა-შემონმებას თანმხლები პირებით და კარებზე დააკაკუნეს. – მოდი, მოდიო და ისინიც შემოვიდნენ. შემოვიდნენ და ხელების დიდხანს ქნევა მოუწიათ, სიგარეტის ბოლს რომ არ დაეხრჩოთ. გაერჩიათ, დაენახათ, თუ ოთახში რა ხდებოდა. შეგუბებული კვამლი კი მიინევდა კარისაკენ და იქ მყოფი ლამის გარეთ გაეტანა. ერთმა ეშმაკობას მიმართა და სანამ ისინი სიტუაციაში გაერკვეოდნენ, გაშლილ სუფრაზე ხელში კონსპექტი მოიმარჯვა. ასეთი შემთხვევები სხვა დროსაც გვქონია.

ალბერტი არ უყვარდათ მხოლოდ ნადირთა დაცვის ინსპექტორებს და სამართალდამცავებს, რადგან, თბილისელ მაღალი თანამდებობის პირებს თავის მხარეში ანადირებდა. ერთხელაც, ეგერები და უბნის ინსპექტორები წამოგვენივნენ, ახალგორიდან ვბრუნდებით, ბიჭებს ახალგორის ცენტრში, ბირჟაზე ეგერებთან ეხუმრათ ჩვენზე, ვითომ ნანადირევი ირემი მოგვექონდა. ჩამოდევენებულებმა ნატახტართან გადაგვისწრეს, გაგვაჩერეს და მათი მანქანიდან გამოსულმა ეგერმა, ალბერტს დედა შეაგინა, - როდემდე უნდა ატარო ეს უცხო ხალხი აქაო. გამწარებულმა ალბერტმა კი ეგერს მუშტით წინა ორი კბილი ჩამოამტვრია. იყო ერთი ამბავი, „დამიჭირე-გამიშვი.“ ეს ამბავი ჩაიფარცხა, რადგან ჩვენ უბრალონი, მართალნი გამოვდექით. არანაირი ნანადირევი ჩვენ ვერ აღმოგვიჩინეს და დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მოგვაყენეს.

ჩვენ ჩანერილები ვიყავით საქართველოს მონადირეთა კავშირის სამმართველოსთან არსებულ ნაკრძალებში და სანადირო მეურნეობებში. მტაცებელთა გასანადგურებლად შექმნილ ჯგუფში. ეს სექცია აწარმოებდა ნამდვილად კეთილშობილურ საქმეს. ტურა-მელა აყენებს დაცულ ნადირ-ფრინველს უდიდეს ზიანს, რადგანაც, ხობობი და დურაჯი მიწაზე იკეთებს ბუდეს. მგლებზე ხომ აღარ ვლაპარაკობთ. ჩვენ მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გვიხდებოდა ნაკრძალებსა და სანადირო მეურნეობებში ღონისძიებების გატარება, რაც ითვალისწინებდა ჯგუფური ნადირობების მოწყობას და მტაცებლების განადგურებას, მორეკვა-ჩასაფრების ხერხით, მათზე საგანგებოდ განწვრთნილი მდევარი ძაღლების დახმარებით, რომელიც ამ დროს შეუცვლელია. იგი არ უნდა გაჰყვეს სხვა კვალს, გარდა

მტაცებლებისა. სარეკში სხვადასხვა ნადირ-ფრინველი გვხვდებოდა, სადღაც ღორი შემოაკვდებოდა ვინმეს და ნადირობები ხდებოდა დაუფინყარი და დასამახსოვრებელი.

საუკეთესო სანადირო და სამებადურო ადგილებია ახალგორის შემოგარენში, ქსნისა და მისი მარჯვენა შენაკადის, ჭუთას ხეობაში, რომელიც ერთვის ქსანს ლარგვისთან. ქსნის სათავე - ყელის ტბის სანახები ხომ ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში.

ახალგორში რომ ჩავდიოდი სანადიროდ, ალბერტისთან, ან სხვა ამხანაგებთან სახლში არ ვჩერდებოდი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხშირად მეც ამხანაგებით ვიყავი და მეორეც, იმიტომ, რომ იქ კარგი სასტუმრო იყო, დიდი და პატარა რესტორნებით და იქ მიყვარდა გაჩერება. სასტუმროები მაშინ სახელმწიფო დოტაციიზზე იყო და ძალიან მიზერული ფასები ღირდა. რესტორნის გამგე, ალიკა ინაური, ჩვენი მეგობარი და თვითონაც კარგი მონადირე იყო. ხშირად სამსახურისთვის თავი მიუწებებია და ჩვენთან წამოსულა სანადიროდ. და თუ ვერ წამოსულა, იტყოდა ხოლმე, ჩემი გული და გონება თქვენ მოგდევთ, აქ რალა რჩება, არც ვიციო. ჩემთანაც, საგარეჯოში ხშირად გამოუვლია ამხანაგებით და მეც კარგად მიმასპინძლია.

სასტუმროს ერთი დიდი ოთახი ჰქონდა, თორმეტადგილიანი. დავიკავებდი ამ ოთახს და იქ გროვდებოდა მთელი ჩვენი ამქარი. იქ იყო ჩვენი სამლოცველო. ერთი პატარა, ვედროიან არყის ტიკს დავატარებდი, როცა კი სანადიროდ ან სათევზაოდ დავდიოდით. ღვინოსაც დაბალი ფასები ჰქონდა, ბოთლი ერთ მანეთს ფასობდა. 70-იან წლებში ალჟირიდან შავი ღვინო შემოდიოდა, ის კი 60 კაპიკი ღირდა. მთაში კი სასმელს ლამის ოქროს ფასი ადევს.

იმ მხარის მონადირეებს ძალიან ახარებდათ ჩემი სტუმრობა, რომ იტყვიან, მზე ამოსდიოდათ ჩემზე. დოლ-გარმონის დასტა ხომ თავს არ გვანებებდა. ზოგჯერ ჩვენი ქეიფი გვიან ღამემდე გაგრძელებულა ისე, რომ მეორე დილით სანადიროდ წასვლა ხშირად დაგვიკვიანებია.

ჰოდა, ახლა, ეს ჩემი მეგობარი ალბერტი, ჩამოსული იყო ჩემთან სტუმრად კახეთში. ჩვენი გაგებით პატივისცემა მდგომარეობდა იმ-აში, რომ ერთმანეთი სანადიროდ, ან სათევზაოდ წაგვეყვანა. ისინი ჩემთან სტუმრობდნენ, მე - იმათთან.

იმ ხანად, საკავშირო მნიშვნელობის გიორგინმინდის 24 ათას სულიან მელორეობის კომპლექსში საკვების გამამდიდრებელი საამქროს უფროსად ვმუშაობდი სასუქ განყოფილებაში, სადაც 12 ათასი სული ღორი იდგა. მარტო სანიტარული საკლავი საამქრო ყოველ-

დღიურად რამდენიმე ათეულ გამოწუნებულ ღორს კლავდა. გოჭებისა და ბურვაკების გადამუშავებას ხომ ველარ აუდიოდნენ და გადაწყვიტეთ, ჩემი მექანიკოსის ცოლეულებში, ლაგოდების რაიონის სოფელ ცოდნისკარში ღორზე სანადიროდ წასვლა.

სწორედ იმ დროს, საკვებ საამქროში შემოტანილი მქონდა 50 ტონამდე ტაროიანი სიმინდი, შემდგომ დასამუშავებლად და კომბინირებული საკვების გასამდიდრებლად. როგორც შემდეგ გაირკვა, სიმინდი იყო დანესტიანებული, რადგან წვიმიან ამინდში მოუხდათ მისი ტრანსპორტირება ღია მანქანებით და ნონის მოსამატებლად დაეტოვებინათ წვიმაში მთელი დღე-ღამის განმავლობაში. დასველებულივე გვეყარა ერთ-ერთ საამქროში მაღალ ხროდ. მას სჭირდებოდა სასწრაფოდ გამოშრობა და გადამუშავება. მე კი ჩაკვეტე და წავედი სანადიროდ. კომბინირებული საკვების საამქროს ექსპლუატაცია ჩავაბარე ჩემს თანამშრომლებს.

მასხოვს, 70-იანი წლების 2 იანვარი იყო. შუა ზამთარი. გავემგზავრეთ ჩემი ნათლიმამის, ომარ სოხადის ახალთახალი 06 მარკის ავტომანქანა - „უიგულით“. ომარი, იმ დროს, თავდაცვის სამინისტროს მშენებლობის ავტოფარეხის გამგედ მსახურობდა. მათი მანქანები სხვადასხვა ობიექტზე, მთელ რესპუბლიკაში იყო მიმოფანტული. წავედით სოფელ ცოდნისკარში ოთხნი. ჩემი სტუმარი და სამნი საგარეჯოდან. ტიკით არაყი, სამი შემწვარი გოჭი, ერთი მოხარშული ბურვაკი და სხვა ხარჯი თან გავიყოლეთ.

წავედით ნაქეიფრები, იმ ვარაუდით, რომ აღრიან დილით იქ ვყოფილიყავით. ომარმა აიჩემა, - ჩემი მდევარი ძალღი თან წავიყვანოთ, ქვემო ქედში მყავს მიბარებული, ჩემი გარაყის მძლოლთანო. ჩვენც შევცვალეთ გეზი იქითკენ. ქვემოქედში ჩასულებს, შუალამისას, დაძახებაზე, მასპინძლის სახლიდან არავინ გამოგვეხმაურა. ვხედავთ დიდი სახლ-კარია, კარგი ოჯახი. ომარი შინაურულად შეგვიძღვა ეზოში. ვხედავთ, რამდენიმე ძალღი აბია, გვეყფენ, პირდაპირ ანგრევენ იქაურობას. ჩვენ, ასანთის სინათლეზე ვერ გაგვირჩევია, რომელი - რომელია. ომარი ხან ერთთან მიდის, ხან მეორესთან, ისინი კი შეშინებულები ძალღის ჯიხურში იმალებიან. ერთ-ერთს გამოათრევს გარეთ ჯაჭვით - არა, ეს არ არისო - და ახლა მეორისკენ მიემართება. არის ერთი გნიასი.

ომარს, რაღაც საოცარი ჰიპნოზი ჰქონდა. ჯაჭვზე დაბმულ ველურ, კაციჭამია ძალღს აუშვებდა სანაძლაოზე. რამდენიმე წამს თვალებში ჩაამტერდებოდა და შემდეგ, ჯიქურ დაიწყებდა მასზე

მისვლას. ძალღი გაავებუღი ყეფით, უკან და უკან იხევედა, ზედ მივარდნას ერიდებოდა. ზოგი ჯიხურში ემალეებოდა. მივიდოდა რა საბმურთან, აუშეებდა და პატრონს სუფრაზე ჯაჭვით შემოუყვანდა. კაციჭამია ძალღების ახსნით და მასპინძელთან სუფრაზე შემოყვანით, ბევრი ნიძლავი ჰქონდა მოგებუღი.

იმ ღამითაც, მხოლოდ ცოტა ხნით შეხედავდა, მერე კი, როგორც მისკენ ნაბიჯს გადადგამდა, გაავებუღი, გადარეუღი ძალღი ყეფაღრენით უკან იწყებდა დახევეს. მერე კი თანდათან წყნარდებოდა და ემალეებოდა. სამი გასინჯუღიდან თავისი არცერთი არ აღმოჩნდა.

თურმე სახლში მხოლოდ დიასახლისია. ჩვენს ძახილზე წამომდგარა, პიყამო მოუსხამს და უცხო ხალხის დანახვაზე შემკრთალი აღარ გამოგვეხმაურა. ვერ გაუგია, რა ხდება, ან ჩვენ რა გვინდა, ან ძალღებს რას ვერჩით. ბოლოს ომარი ეცნო ხმაზე და გამოვიდა ეზოში. გვითხრა: - სახლში არავინაა, ჩემი ქმარი მინგეჩაურზეა ღორზე სანადიროდ და შესაძლოა, თქვენი ძალღიც თანა ჰყავს წაყვანიღი გასანვრთნელადო. ისიც გვითხრა, სად და რომელი მწყემსის ბინაზე უნდა ყოფიღიყო. ამ მწყემსს მეც ვიცნობღი. გადაწყვიტეთ ჯერ მინგეჩაურზე წასვლა. ომარმა გააღვიდა იქვე, მეზობლად მცხოვრები. თავიანთი სამხედრო მშენებლობის გარაჟის სხვა მძღოღი. ჩვენი „ჟიგუღი“ დავტოვეთ მასთან და დიდი თვითმცღელი მანქანით დავეშვით ლეკის წელის ხეობით აზერბაიჯანისაკენ, მინგეჩაურზე.

ლეკისწყლის ხეობა საზღვრავს აღმოსავლეთიდან „ვაშღოვანის“ ნაკრძალს. თავისი მთაგორებით, კლდეღარტაფებით, უდაბნოს საოცარი ხეღმცენარეუღი საფარით და თითქოს, პირველყოფიღი ღანდშაფტის ველური მომხიბვლელიობით, ღამითაც კი, მთვარის შუექე ერთღერთი უღამაზესია.

მივიღვართ სიხარულით. ძარაზევე გავნანიღღით, რომ გზაში კურდღელზე გვენადირა და რამდენიმე მოვინადირეთ კიდეც. გათენებისას ქვემოქედელების ბინაზე, ჩვენი ხალხიც ვიპოვეთ. იმ დროს მივუსწარით, როცა უკვე სანადიროდ გასასვლელად ემზადებოდნენ.

გავესაუბრეთ, მოვიკითხეთ. აღმოჩნდა, რომ მინგეჩაურის წყალღსაცავის ნაპირას, ჭალაში ენადირათ. ღორი შეხვედროდათ და ვერ მოეკლათ. გადაწყვიტეთ, აღაზნის შესართავის საქართვეღლოს მხარის ჭალაღჩალიანებში გვენადირა. იმ დღეს ორი სარეკი გავაკეთეთ. ღორიც შეგვხვედა, მაგრამ ვერ მოვიხელთეთ მოსაკლავად.

ერთი სტუმარი ჰყავდათ იმათაც. სტუმარს ჯერ ტურა მოუკლეს, მერე მგელი. მან აიჩემა, - ტყავები კარგია, საწოლთან ფეხქვეშ დასაგებადო. გაუტყავეს ორივენი. ჩამოიკიდა თასმით შეკრული ტყავები ქამარზე. დაათრევს თან. ესახელება. მერე და მერე დაიწყო კისერზე ხელის ცემა. მკბენარი დაეხვია იმდენი, რომ ჩალასა ვცემით და ძლივს ვაყრევინებთ. რწყილი სულ აქეთ-იქით დაფრინავს. ბოლოს ეს ტყავები შორს მოისროლა. მეორე დღეს ალაზნის ცოტა ზევითა ჭალებისკენ ავიწიეთ, მაგრამ იქაც ვერა ვინადირეთ რა...

მესამე დღეს, ვაშლოვანის ნაკრძალში შეპარვა გადავწყვიტეთ. მასპინძელთაგან ერთ-ერთს, იქ ღორი ეგულებოდა და გათენებისას შევედით კიდეც, ლეკის ხეობიდან მარჯვნივ მდებარე ნაკრძალში. მივიღვართ უხმაუროდ. აქ წყალი არ არის და ზამთრის სეზონში საძოვარზე ცხვარი არ შემოდის. ამდენად, ბუნება და არემარე, ხელუხლებელი ველური მომხიბვლელობით გასაოცარია. იგი საქართველოში განუმეორებელია. სავარცხელივით დაკბილული კლდე-ღრეები და მთები, ზამთარ-ზაფხულ მწვანე ღვითა და ელდარის ფიჭვით მეჩხერად მოფენილი. ასევე მეჩხერი საქსალაჯის, აკაციის, საკმეველის და ბრონეულის ტყეებით, იშვიათად ლამაზი და თავისებურია.

ვიარეთ შეუჩერებლად. შუადღე გადავიდა. გვხვდება აუარება კაკაბი და კურდღელი, მაგრამ არ ვესვრით, ღორის ფარა რომ არ დავაფრთხოთ, შესაძლოა, ახლო-მახლოა. ის ტყიანი, დაბურული ხეობა კი, საითკენაც მიგვიძღვება ჩვენი წინამძღოლი, არადა არ ჩანს. შუადღე გადავიდა და ალბერტი მეუბნება: - იცოდე, ამან მგონი არ იცის, საით მივყევართო. მერე შევეკითხეთ და აღიარა, - აქედან იქ, მართლაც არა ვყოფილვარ, სხვა მხრიდანა ვარ ნამყოფი და მართალი გითხრათ, ვერაფერი მინიშნიაო. რომ არ დაგვღამებოდა, უკან გამოვბრუნდით. კაკაბი და კურდღელი მრავლად მოვინადირეთ, მაგრამ მსხვილფეხა ნადირი არსად არ შეგვხვებდრია.

მოუხელთებელი ნადირობის ამდენი აღწერა, მიგვანიშნებს ნადირზე ნადირობის განსაკუთრებულ თავისებურებებს. მიმაჩნია, რომ ფრინველზე ნადირობა უფრო აზარტულია, რადგან გინევს თოფის ხშირი ხმარება. თვალდათვალ შეიგრძნობ მეძებრის მანერას. ნაბულზე მისვლის, გაპარული ფრინველის მიდევნების, ხელახლა დანაბულების და ნაბულიდან ფრინველის ამოყვანის განსაკუთრებულ მომხიბვლელობას, რომელიც ნადირობის ერთ-ერთი უმშვენიერესი და უმთავრესი მომენტია. თავის გამოცდა და ზუსტი სროლით

გამონვეული თვითკმაყოფილების შეგრძნება, აქ მრავალფეროვანია, ნანადირევიც მრავალნაირი.

მახსოვს, ერთხელ ახალგაზრდობაში, საგარეჯოში, ივრის გაღმა სრულიად არასანადიროდ გასულმა, თუმცა მანქანაში მონადირე ძაღლი მყავდა გასატარებლად გამოყოლილი, „სააღლოს“ ვენახების ტერიტორიაზე, ორი მამალი ხოხობი მოვინადირე. გახალისებულმა გავანებე თავი ჩემს ხალხს და გოლგოთებზე გავაგრძელე მწყერზე ნადირობა იმ იმედით, რომ იქნებ გნოლიც შემხვედროდა. გნოლის ფარას გადავანყდი და 7 ცალი მოვინადირე. გადავყევი გველისწყაროსაკენ და ერთი კურდღლით, ერთი ცალი ღაღლით და ოციოდე მწყერით კიდევ გავამდიდრე ნანადირევი.

ქალაქში, საღამოს ამოსულმა, უბნის ბიჭების თავშესაყარზე ვაჩვენე ჩემი ნანადირევი და მანქანის უკანა დასაჯდომზე გადაშლილ ნანადირევისთვის თვალის მოცილება აღარ უნდოდათ. ხელში ატრიალებდნენ, უკვირდით და ერთმანეთს უჩვენებდნენ. ეს ყველაფერი კი, კარგი მონადირე ძაღლის, ტორიკას დამსახურება იყო. ნადირობაში მთავარ, გადამწყვეტ როლს, სწორედ რომ ძაღლი ასრულებს. მუდამ საუკეთესო ჯიშის, საუკეთესოდ განვრთნილი, მაღალი ღირსებების მქონე ძაღლები მყავდა. საქვეყნოდ განთქმულები. ვანადირებდი „ყორულის“ სახელმწიფო ნაკრძალში ჩამოსულ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, მათ სტუმრებს. კარგი ძაღლით შეიძლება ნანადირევი მოიპოვო იქ, სადაც სხვები ცარიელები გამოსულან. ეს განსაკუთრებით ითქმის ძნელად მოსაპოვებელ ფრინველზე, ხოხობსა და სხვაზე. რადგან მზის ამოსვლის შემდეგ, ის შედის გაუვალ ადგილებში. ეს ძაღლი იმდენად გონიერი იყო, რომ, ერთ დროს, ჩემს მონადირე ქორს, ის როგორც შინაურს, ახლობელს აღიქვამდა. ერთხელ მითხრეს, რომ ბაღნარში დაბმულ ქორს ინდაურები მისეოდნენ, თავისი უგონო მძვინვარებით. ტორიკა მივარდნოდა მათ და დაეფრინა. ასევე, რესპუბლიკის ხელმძღვანელების ყორულში ნადირობებისასაც. სხვებთან ერთად ჩემი ძაღლით ხდებოდა ნადირობა. დამჭერ ფრინველებთან ერთად ნადირობისას უცხო ძაღლი აფრთხობს დამჭერ ფრინველს და შეიძლება გადაიკარგოს. ტორიკას სულ რამდენიმე გაკვეთილი დასჭირდა იმისათვის, რომ ქორსა და მის მიერ დატყვევებულ ხოხობს ახლოს არ მიჰკარებოდა, ტყეში ან ბუჩქნარში მათი პოვნის შემდეგ. ამ დროს ქორი, ან სხვა დამჭერი ფრინველი, ფეხზე მიბმული ზანზალაკითაც განიშნებს ადგილს, ფრინველის ნენვა-გლეჯისას. მაგრამ სიცხეში,

ან თუ ის ხანგრძლივი ნადირობით გადალლილია, გაღეჭებული, ჩაფრენილი ისვენებს ნანადირეზე და ამ დროს, მათ აღმოსაჩენად ძალგაა საჭირო. მით უმეტეს, თუ ფრინველს შორს გადაედევნა. ხოლო ამ დროს, შორს გადაედევნებული თუ ვერ დაიჭირა, ყველაზე მეტი სიძნელე მაშინაა, რადგან ტყეში ან ბუჩქნარში იგი პატრონს აღარ უწყებს ძებნას და სადმე, მახლობელ ხეზე შემოჯდება. ამ დროს, მისი მოძებნა, თვალდათვალ, მისი გაფრენის მიმართულებით ხდება. მხოლოდ კარგად განვრთნილი დამჭერი ფრინველი ბრუნდება პატრონთან მინდორში, ან ხედვისთვის თავისუფალ ადგილებში.

ერთხელ, მამაჩემის ხელმძღვანელი, საგზაოს მინისტრი რობიტაშვილი ჩამოვიდა საგარეჯოში. ჩვენთან სტუმრად თავისი ხალხით, სეზონის გახსნაზე მწყერზე სანადიროდ. ჩამოიყვანეს მრავალი, სხვადასხვა ჯიშის საუკეთესო ექსტერიერის მქონე მეძებრები. ჩემი ახალგანვრთნილი ლეკვის, ტორიკას წაყვანა, მათთან ერთად საჭიროდ არ ჩავთვალე. „გველისწყაროში“ გავმართეთ ნადირობა ოციოდე მონადირემ, თორმეტი მეძებრით.

მზე რომ წამოიწია, უკვე აღარცერთი ძალლი აღარ ნადირობდა. ზოგი დაიღალა, ზოგი ვერ იყო განვრთნილი, ზოგი შორს გადიოდა, ზოგი აფრენილ მწყერს მისდევდა მოქანცვამდე. თვითნებობდა და ძახილზე არ ბრუნდებოდა. ერთს, მართლაც რომ კარგ მეძებარს, მინდორში გაუსვლელივით ბრჭყალები ისე გაზრდოდა, რომ ფეხს იტკიებდა და მაღალ ბალახებში ძლივს-ძლივობით მოძრაობდა. აღმოვჩნდით უძალლოდ დარჩენილები, ნადირობა გვეშლებოდა.

ამ დროს გამოჩნდა „გაზიკი“, რომელმაც ცხვარ-წყალ-პურმარილი გამოიტანა მინდორში. მამაჩემს ჩემი ძალლი შესცოდებოდა და ძარის წინა ძგიდეზე მიებმევიწებინა მძლოლისათვის თასმით. შორიდანვე შევნიშნე, მოახლოებულ მანქანაზე, გვერდითა ძგიდეზე წინა ფეხებით დაყრდნობილი, მოუთმენლად ცქმუტავდა. თოფის სროლაზე და ჩემს დანახვაზე ისკუპა და გადმოხტა მანქანიდან. რადგან გვერდზე ჩავლისას, გაუფრთხილებლობით, სახელი დავუძახე. მიწაზე დაცემული მაღლა ჩასმულმა თამასამ დაიჭირა და მიათრევს მანქანის უკანა ბორბლის წინ. ავტეხეთ ყვირილი, ვანიშნებთ მძლოლს, მაგრამ არ ესმის, ვერ ხვდება, რა ხდება. მანქანა გაჩერდა და თასმაც განყდა. იმ დღეს, ჩემმა ლეკვმა, რომელიც იმ დროს რვა თვის სრულდებოდა, მარტოკამ ეს ამდენი ხალხი გვანადირა გვიან საღამომდე. ათეულზე მეტ-ნაკლები მწყერი ლამის ყველა მონაწილეს მოაგროვებინა. იგი 20-კაციანი ჯაჭვის წინ ერთი

მხრიდან მეორემდე, ფეხებში გადი-გამოდიოდა. აკეთებდა მკვდარ, უტყუარ ნაბულს. ადგილზე გაკანკული, ყურადღებით აკვირდებოდა აფრენილს, ხოლო მისი ჩამოგდების შემთხვევაში პოულობდა და მოჭქონდა ნანადირევი მსროლელთან, თუ ახლო-მახლო მე ვერ მხედავდა. ჩამოგდებულის დაკარგვა გამორიცხული იყო. მიუხედავად ლეკვობისა, სეზონის დანყებამდე ისე მყავდა გავარჯიშებული, რომ რამდენიმე დღე შეეძლო გადაბმით ენადირა, იგი მოუღლეელი იყო. ამ დღეს მან დიდი მოწონება დაიმსახურა.

ნადირზე ნადირობისას კი, შეიძლება გავიდეს რამდენიმე წელიც, რომ ნადირს თოფი ვერ ესროლო. აქ ნადირობა გუნდურია და შეიძლება მოიპოვოთ ნადავლი, შენ კი ვერაფერი შეგხვდეს სასროლელად.

ნადირობისას დიდ როლს თამაშობს მონადირის იღბალიც, რადგან, არიან ისეთი მონადირეები, რომლებსაც ნადირ-ფრინველი უფრო ხშირად ხვდება.

სიბერეში დანერილ მოგონებებში, სხვადასხვა ნოველებში, შეიძლება შეგხვდეთ ამბების განმეორება, რადგან ისინი, სხვადასხვა ყურნალისათვის სხვადასხვა დროს არის დანერილი, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს ვუხედი.

* * *

ქვემოქედში მობრუნებულებმა, გავაგრძელეთ გზა სოფელ ცოდნისკარისაკენ, რომელიც მდებარეობს საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე, ლაგოდეხის რაიონში. იქ ჩემი მექანიკოსის, ძაგული მეკოკიშვილის ცოლეულებმა, მეორე დილით წაგვიყვანეს ღორზე სანადიროდ ცოდნისწყლის გაღმა, აზერბაიჯანის მხარეს, ბელაქნის ნაკრძალში, რომელიც შედარებით ნაკლებადაა დაცული.

ვიარეთ მთელი დღე მუხლამდე თოვლში, აღმა კავკასიონის მთავარი ქედისკენ. საქმე თურმე ის იყო, რომ უნდა ჩავსაფრებოდით ლაგოდეხის მკაცრად დაცული ნაკრძალიდან, ღამით, ბელაქნის ნაკრძალში, ცოდნისწყლის ხეობის გამოღმა საკვების მოსაპოვებლად გამოსულ გარეული ღორის კოლტებს, რომლებიც გათენებამდე უკან ბრუნდებოდნენ ლაგოდეხის ნაკრძალში.

უკვე დაღამდა, როცა ნომრებში ჩაყენებას მოვრჩით. მე მომინია ღამის ყველაზე მაღლა ჩასაფრება, რაკი კარგად შევძელი სიმაღლის დაძლევა. აქ უნდა გამეთია ღამე, ღამის კავკასიონზე ასულს, მუხლამდე თოვლში.

რა საოცარია, მაინც ეს სანადირო აზარტი, რომლისკენაც ადამიანი ასე მიისწრაფის და მას ამდენს აძლებინებს. რამდენ მილიონ წლებს უნდა ითვლიდეს ეს გენეტიკურად ჩამოყალიბებული ინსტიქტი, საარსებოდ, თავის გადასარჩენად, ნანადირევის მოპოვების უძველესი მისწრაფება, ყოველ სულდგმულში აუცილებლობად ჩამოყალიბებული.

ავილოთ თუნდაც მეგობრობა, ამხანაგობა, რაც გვაკავშირებს მამაკაცებს ასე თავისებურად ერთმანეთთან. ის სხვა არაფერია, თუ არა მრავალი მილიონი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული ინსტიქტი, გენეტიკური კოდი, რაც ახასიათებთ ცხოველთა და ადამიანის მსგავს მაიმუნთა მაღალგანვითარებულ, უმაღლეს სახეობებში, ხროვის პატრონი, უმძლავრესი მამრისაგან გაძევებულ ახალგაზრდა მამრებს. ველურ გარემოში მათთვის ერთადერთი და აუცილებელია მეგობრობისა და გუნდურობის პრინციპით, საერთო საქმისადმი თავგანწირვა, კოორდინაცია, რომ სიძლიერის მოპოვებამდე როგორმე თავი გაიტანონ, გადაირჩინონ, ნანადირევი როგორმე მოიგდონ ხელში. ცალ-ცალკე კი, ამის გაკეთებას ძნელად შეძლებდნენ და უმეტესად დასალუპავად იქნებოდნენ განწირულნი.

ჩვენ კი ჩასაფრება გამოგვივიდა ასეთი. რადგან მოუმზადებლები წავედით კავკასიონზე, დიდთოვლობისას, მკაცრ ყინვებში შალიფად ჩაცმულებს ღამისთევა ყველას ძალიან გაგვიჭირდა. ჩემკენ არაფერი გამოჩნდა და ნელ-ნელა, სიცივისაგან ატანილმა, უკვე ადგილზე ფეხის მონაცვლება გავახშირე. შუადღისას აქეთ-იქეთ დავდიოდი, გათენებისას კი მიმოვზროდი, რომ დილის მკაცრ ყინვას გავმკლავებოდი.

საკუთარ ქორწილში, საქართველოს საამაყო ფალავანი, „კაცი-ლეგენდა“ ჩემი ბიძაშვილის ქმარი, ლევან თედიაშვილი იყო ნათლიახელისმომკიდეთ და ქეიფსა და ღვინის სმას დილიდანვე შეყოლილებმა, ჯერ ჩვენთან, მერე პატარძლიაანთა, შემდეგ ჩვენთან ქორწილში, შეღონებულმა, სუფრას თავი მივავანებე და პატარძალს შევყევი საძინებელში, ქორწილი კი, მამაჩემსა და ლევანს შევატოვე ხელში. და აქ კი სადღაც კავკასიონზე, უმკაცრეს ყინვაში, ღამეს ვუთევდი გარეულ ღორებს, მათზე სანადიროდ დადარაჯებული.

დაბლა და დაბლა კი, სიცივით შეღონებულებს, ორგან ცეცხლიც დაენტოთ და რა უნდა მოგვენადირებინა. ქვემოთ ჩამოსვლისას კი აღმოჩნდა, რომ ღორის კოლტები სამ ადგილას გამოსულიყვნენ ცოდნისწყალზე, ჩვენ იმდამინდელი ყოფნის მხარეზე და ადრიანად

უკანვე შებრუნებულიყვნენ. ეტყობა, ნიავი ჩვენგან უბერავდა, სუნი შორიდანვე დაიყარეს და ჩვენს საფრებს მოერიდნენ.

მათი ნაკვალევის დანახვაზე გექმნება შთაბეჭდილება, რომ იქ გუთნიან ტრაქტორებს გაუვლიათ. რა უმდიდრესი საკვები ბაზა გააჩნია მაინც ჩვენს საუკუნეგამოვლილ ნიფლის ტყეთა მასივებს, მთის დაბალ სიმაღლეთა მუხათა აურაცხელ ტყის ტევრებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ. ოქტომბრიდან მთელი ზამთრის განმავლობაში, მარტამდე, სანამ მზესუმზირასავით ნოყიერი რკო და ნიფლის ნაყოფი, მინაში, თოვლში აღმოსაცენებლად გაღვივდება და დამწარდება, ლამის მთელი ნახევარი წლის განმავლობაში, ტყის ყველა ბინადარ ნადირ-ფრინველის თითქმის ერთად-ერთი საკვებია.

მიუძღვიან კოლტს წინ მძლავრი ტახები და ნიფლისა თუ სხვა საკვები ძირხვენებისა და ფესვების ძებნაში ეშვ-დინგებით მინაგრევენ თოვლ-ყინულის საფარს. რანაირი დიდთოვლობაც არ უნდა იყოს, ეს მათთვის არაფერია. უკან მიჰყვებიან დედა ღორები. ნეზვები თუ მომცრო ბურვაკები და მათ ნაჩიქნ-ნათხარზე თვით პატარებისთვისაც რჩება სულის მოსაბრუნებელი, რომ ზამთარს როგორმე თავი გამოარიდონ და არსებობა შეინარჩუნონ.

დაბლითა ტყეებში მუხნარები ასრულებენ ამ როლს და ზამთრის განმავლობაში, რკოთი ჰკვებავენ ტყის ბინადართ ისევე, როგორც მაღლითა ტყეებში ნიფლნარები.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ძველ დროში, მთა-ტყეში მცხოვრები თითოეული ოჯახი 200-დან 400 სულამდე ღორის კოლტის მფლობელი იყო და ეს დოვლათი დიდ ძალას მატებდა მესაქონლეობით მდიდარ ქვეყანას.

საქართველოს თითქმის მთელ მთიანეთში, ჯერ კიდევ ადვილად შეიმჩნევა კავკასიონის მთავარი ქედის ყველა განშტოების ყოველი განაყოფის შეერთებისა თუ გავაკების ადგილებში, ძველი საბინადრო ნამოსახლარები, რომლებიც უმეტესად ყორედ არის ნაგები. ასეთები ჩემი გათვლით ათასობითაა. ეს კი მიგვანიშნებს მხოლოდ იმაზე, რომ მთაში იმ დროს ხალხი ინტენსიურად იყო დასახლებული და მჩქეფარე ცხოვრება მიმდინარეობდა.

ახლა კი, ადგილები თავისი უმდიდრესი საკვები ბაზითა და ნყლით, ლამის მთლიანად დაცლილია. ხალხი ბარად არის ჩამოსახლებული. მხოლოდ ერთეულებიღა მისდევენ ამ საქმიანობას.

აღბათ სპეციალისტებიც დამეთანხმებიან, რომ საერთოდ საქართველოში მომგებიანია მიგდებითი მესაქონლეობა. ტყეში თუ

მინდორში, ცხვარ-ძროხა და ღორი უნდა მოვაშენოთ მხოლოდ გამოსადეგ ადგილებში, ძირითადად თავის პირზე. მხოლოდ იმდენი, რამდენსაც ეს მხარე თავისი საკვები ბაზით დაიტევს, შეინახავს და რასაც მინდვრად სარწყავი წყალი გასწვდება.

პირადად ვნახე, რომ მელორეობისა და მსხვილი მესაქონლეობის კომპლექსებმა ვერ გაამართლა, მომგებიანი არ გამოდგა, იმიტომ, რომ კომბინირებულ საკვებს სჭირდება მთლიანად შემოტანა. ადგილობრივი მარცვლეულის საკვები ბაზა 15 პროცენტითაც ვერ აკმაყოფილებდა საქართველოს მოთხოვნილებას, თვით 80-იან წლებშიც კი, როდესაც მთელი საქართველოს მინდვრები ათვისებული და დამუშავებული იყო.

* * *

მომდევნო დღეს უკვე სანადირო ძაღლებით აღმა ავყევით ბელაქანის ნაკრძალს, რადგან წინა დღეს შევნიშნეთ, რომ ერთი ღორის კოლტი, ლაგოდების ნაკრძალში თითქოს არ იყო შებრუნებული. გავაკეთეთ ორი სარეკი, მაგრამ ვერაფერი ვნახეთ, მხოლოდ ერთში, შველს სდიეს ძაღლებმა.

გადავწყვიტეთ ქალის ტყეებში გვენადირა, სადაც თოვლი ნაკლები იქნებოდა. ნავედით ბელაქანის რაიონის სოფელ ითითალაში, ჩემს ძველ ნაცნობ ინგილო აზრადანთან, რომელიც მთელ იმ მხარეში განთქმული ვაჟკაცი იყო.

ითითალა მდებარეობს ალაზნის გაღმა მხარეს, ყარაღაჯის ცნობილ ფონთან. მასზე ახლა მოწყობილია ბორანი, საიდანაც გზა გამოდის ჩვენს სოფელ ყარაღაჯში „ხორნაბუჯის“ განთქმულ ციხესთან, რომელიც აქ, საზღვრის დამცავ ბასტიონად, საქართველოს უდიდესი მეფის, ვახტანგ გორგასალის მიერ არის აშენებული.

ერთი დღე გამზადებასა და ჩასვლას მოვუწოდებ. ჩავედით ღამე. როგორც შემდეგ გავიგეთ, ჩვენი მასპინძელი, ამ დღეს მამის გარდაცვალებიდან ოცდაათს აღნიშნავდა (ჩვენს შემთხვევაში გარდაცვალებიდან მე-40 დღე). ეს ყველაფერი ნადირობიდან მობრუნების შემდეგ გახდა ჩვენთვის ცნობილი, არ შეგვატყობინეს, რომ უდროოდ როს მისვლით ჩვენვე არ შევწუხებულებოდა.

მასპინძელმა დილით ადრე მოგვიყვანა რამდენიმე ადგილობრივი მონადირე, მეძებარი ძაღლებით და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თვითონაც გამოგვეყვანა სანადიროდ. პირველი სარეკის შემდეგ

იგი ველარ შევნიშნე. თურმე, მალულად უკან გაბრუნებულიყო ოცდაათზე მომსვლელთა დასახვედრად.

საინგილო განუმეორებელია თავისი არემართა და ტყის მასივებით, რის გამოც, მას „კავკასიონის მარგალიტს“ უწოდებენ. აქ წარმოდგენილად მდიდარი ბუნებაა — მშრალი სუბტროპიკები, წყაროებითა და მდინარეებით მდიდარი ტყეები სავსეა თხილის, ნაბლის, კაკლის, ნუშის და სხვა ნაყოფისმომცემ ხეთა და მცენარეთა ჯიშებით, რომელთა მრავალფეროვნება თვალშისაცემია. აქაური შავმინა ნიადაგები ნოყიერია. უბრალო, გაზონის კლარჭა ბალახიც კი. აქ ლამის მეტრი სიმაღლის იზრდება. ბუნება წყნარია და უქარო. ჰავა რბილი და შეზავებული სურნელებით.

გარსშემორტყმული უძველესი იმპერიების ველური ურდოებისაგან რამდენი ასეთი, თითქმის საქართველოს დღევანდელი ტერიტორიის ტოლი, ძირძველი კუთხე აქვს ჩამოჭრილ-ჩამოგლეჯილი ჩვენს სისხლის მორევში ყელთამდე ჩაფლულ ნაბრძოლ და ნაომარ ქვეყანას.

სიტყვა „ველური“ ხომ ქართველი ხალხის ცნობიერებაში და ლექსიკაში, ველად მომთაბარე, მოთარეშეთა სინონიმად არის ალბათ წარმოშობილი, რომელთანაც ათასწლეულთა ქართველებში, მთელი თავისი იავარქმნილი ისტორიის მანძილზე, უთანასწორო ბრძოლა უხდებოდა შრომისა და ჯაფისაგან ჭირდათმენილ ივერიას.

ან როგორ უნდა ყოფილიყო მათთან ბრძოლა თანაბარი, როცა ველური ურდო სარგებლობდა იმ დროისათვის უძლიერესი საბრძოლო გადაადგილების, საკვების, სასმელის მარაგის თუ სხვა ისეთი შეუცვლელი საშუალებით, როგორც ტაიჯთა რემაა. ამხედრებული ურდო გადაადგილებისა და ლაშქრობებისას თან მიერეკებოდა ულაცთა, იაბოთა, კვიციან ფაშატთა სამარაგო ჯოგებს, რომელიც მათი სრული მატერიალური უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენდა და ბრძოლის ძირითადი იარაღიც იყო.

მეომარი ურდო ცხენს იყენებდა საბრძოლველად, მის ხორცს საკვებად, ფაშატის რძეს სასმელად. მათ ტყავებს კარვების ასაგებად, ძუისა და ძარღვებისაგან სწნავდნენ ლარს და თოქს და სხვა. უწყლო უდაბნოების გადალახვისას, ცხენის კისრის არტერიის მთავარ ძარღვს, კანის გადანვით დაჰკრავდნენ დანის წვერს და მისი სისხლით იკლავდნენ წყურვილს. დასიცხულ და შეღონებულ ცხენსაც უხდებოდა სისხლის გამოშვება. მოკლედ, რომ იტყვიან, იგი მას „სისხლსაც კი სწოვდა“ ეს ტერმინი, ჩემი აზრით, აქედან არის წარ-

მოშობილი. უწყლო უდაბნოები კი, მაშინ დაპყრობითი ომების მთავარ ხელისშემშლელს წარმოადგენდა.

ესე იგი, ტაიჭთა რემა, რომელსაც მუდამ თან დაატარებდნენ, ველურ ურდოს ბრძოლებისას უზრუნველყოფდა მთლიანად. ქართველს კი, ცხენი მიაჩნდა და დღემდე მიაჩნია ოჯახის წევრად, შვილად, ძმად, იმდენად წმინდად, რომ ის ცხენს სიკვდილისას მარხავდა.

ბრძოლის ხერხი კი, რაც ველური ურდოს უცვლელ წესს წარმოადგენდა, მდგომარეობდა შემდეგში: - უკიდურესად ერიდებოდნენ რა ხელჩართულ ომს, ცდილობდნენ საისრე მანძილის შენარჩუნებას, თვით შეტევასაც. თუ მოწინააღმდეგე ეცდებოდა მათ მიახლოებას, ისინი ინევდნენ უკან, ცდილობდნენ დისტანციის შენარჩუნებას და ცხენზე შემოტრიალებულნიც ასევე მარჯვედ ისროდნენ ისარს. შეწყვეტილი დევნას, ისინიც ჩერდებოდნენ და აგრძელებდნენ ისრის სროლას. თუ დაიხევდი, ან გაიქცეოდი, მოგდევდნენ და გესროდნენ ისევ და ისევ ისარს, რომელიც ვერ ამჩნევდა კარგ და ცუდ მეომარს, გულადსა და გულსუსტს. შემძლე ვაჟკაცი ვერ ახერხებდა მტერთან მიახლოებას, შებრძოლებას და ეცემოდა ვერაგულ ბრძოლასი.

* * *

აქ კი, ითათალაში აზრადანი მიგვიძღვებოდა სანადიროდ უკვე სხვა ქვეყანაში. ნადირობა სოფლის ბოლოშივე შეიძლებოდა. მრავლად გვხვდებოდა კურდღელი და ხოხობი. ტყე სავსე იყო ირანული ქედნითა და ტყის ქათმით, რომელიც თბილი ზამთრის შემთხვევაში ადგილზე რჩება. თოვლი არ იდო. გეგონებოდა, შემოდგომის ტყეში დადიოდი. ეს ირანული ქედანი შემოდის ზამთრობით, ალაზნის მიმდებარე ჭალებში და ველ-მინდვრებში. ლამის დედალი ხოხობის ხელაა. ისეთია, რომ მუხის რკოს ყლაპავს და ზამთრობით ჯეჯილთან ერთად მისითაც იკვებება.

ნადირობისას გავაკეთეთ სამი სარეკი, გაგვაოცა ერთმა მელიისნაირმა, პატარა ტანის, რუსული მდეურის ფინიაზე ნარევემა მეძებარმა, რომელიც ერთნაირად ნადირობდა ნადირ-ფრინველზე. სარეკის დამთავრებისასაც, დაძახებაზე ნადირის დევნას თავს ანებებდა და პატრონთან მოდიოდა. თითქმის სრულყოფილი ძალლი იყო. მთლიანად თავის თავზე იღებდა წინამძღოლობას. ეს ხომ ასეა, რომ ხროვას მიუძღვის ყველაზე ჭკვიანი, სხარტი, მაღალი ყნოსვისა და მონაცემების მქონე მდევარი, მაგრამ ეს რაღაც გამორჩეული იყო, თითქოს მელიის მსგავსი სიეშმაკეც ჰქონდა ისე, რომ თავისი მონა-

ცემებით თავს დაამახსოვრებდა კაცს. დანარჩენი ოთხი მღევარი თავანუელნი დადიოდნენ ტყეში, არაფერს არ ეძებდნენ და დაყურადებულნი მის ყეფას ელოდნენ, რომ დევნაში მიშველებოდნენ.

პირველ სარეკში ჯერ კურდღელს დაუნყეს დევნა, კურდღელი მოუკლეს, ახლა ტურას გადაეკიდნენ. ტყე ძალიან გაახმაურეს. ამის გამო მეორე სარეკში ვერაფერი ვნახეთ. გავაკეთეთ იმ ვაკე ტყეში მესამე სარეკი. რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. უკვე ღამდებოდა, რომ ჩემი ნომრიდან სულ ორმოცდაათიოდე მეტრში, ჩასაფრების საწინააღმდეგო მხარეს მდინარის ჩალიანებიდან, ამ პატარა ძაღლმა ღორების კოლტი გამოაფრთხო ჩვენკენ. ამ ნომრიდან კი ინგილო ჩემთან იყო გადმოსული პაპიროსის სათხოვნელად. ჩვენ მხოლოდ თვალი მოვკარით ტყის დაბურულ ღიქიანში, ვინრო ბილიკზე გადარბენილ ღორებს. ვესროლეთ ვარაუდითაც, მაგრამ უშედეგოდ. დაახლოებით 7-8 ცალი იქნებოდა.

ძაღლებმა მათ დევნას თავი აღარ დაანებეს და დავტოვეთ. სოფელში გვიან დაბრუნებულებს დაგვხვდა ქირისუფლის ხალხი დაძლილი. სუფრა გაეახლებინათ შუა ეზოში და შინაურები ჩვენს მისვლას ელოდნენ. მხოლოდ მაშინ გავიგეთ, თუ მათ თავს რა მომხდარიყო. მეორე დღეს აზრადანმა გადანყვიტა, ნავით ალაზანზე რამდენიმე მორევში დინამიტი ჩაგვეგდო. ცოტა თევზი მოვაგროვეთ, მაგრამ ბევრი არაფერი, რადგან ალაზანი მდიდარია თევზით გაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში, როცა მინგეჩაურის წყალსაცავიდან თევზი საქეირითოდ შემოდის და სხვადასხვა მიზეზის გამო მდინარეში რჩება. ზამთრობით კი, მსხვილი თევზი წყალსაცავის სიღრმეშია შეფარებული, რომ ცივ წყალს განერიდოს და ზამთარს გაუძლოს. ზამთრობით ანკესზე განყობილ მისატყუარასაც ნაკლებად ეტანება. მას კვების მოთხოვნილება შემცირებული აქვს.

თევზჭერის მრავალნაირ სახეობას ვარ მიყოლილი, რამაც ღამის ნადირობაზე მეტი გატაცება იცის. მრავალნაირი თევზიც მოგვიპოვებია, მაგრამ გამაოცა ივნისის თვეში გურჯაანის ბაზარში ერთხელ გასაყიდად გამოტანილმა ორი ლოქოს ზომამ, ასფალტზე გვერდიგვერდ დალაგებულები. ერთი – 5, მეორე 6 მეტრის სიგრძის მაინც იქნებოდა და თითოეული 400-500 კილოგრამს მაინც აინონიდა. კასპიის ზღვაში და მინგეჩაურზე ვიცი, რომ ტონაზე მეტი სიმძიმის ლოქოებიც არიან, მაგრამ ალაზანში შემოსულნი, ამ ზომისანი ერთხელ ვნახე.

თვითონ მდინარე იორში, ჩვენთან საგარეჯოს რაიონის აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელ კაზლარის ბოლოზე, იქ, სადაც იორი რიყის ქვის კალაპოტიდან გადის და ჭალაში გაჭრილ კალაპოტში მდორედ მიედინება, დამიჭერია 50-კილოგრამიანი ლოქო. ეს იყო სექტემბერში. იმ გვიან საღამოს ჩასულები, ღამის თევზაობისათვის იორში ვაგებდით გირებჩამობმულ მრავალანკესებს. ჩამოსადევი ადგილების ძებნაში წავანყდი დიდ მორევს. აქ, დაბურულ ტყიან ჭალაში, ივრის მცირე ტოტი ჩანჩქერად ჩაედინებოდა მთავარ კალაპოტში და რაღაც დასამახსოვრებელ სურათს ქმნიდა. ნაპირები იყო მიუდგომელი, ბარდნარით დაბურული და მრავალანკესის განყოფილება და გადაგდება მდინარეში ვერ ხერხდებოდა. მრავალანკესის ერთი მხარე გამოვაბი ტირიფის მოძრავ ტოტს, შვევედი მდინარეში, ვაგებდი რა ანკესზე მისატყუებლად ჭიაცყულებს, მივიწვედი თანდათან ჩანჩქერისაკენ. წყალი თანდათან დაღრმავდა და ბოლოს, ცურვით მივიტანე გირჩაბმული მრავალანკესის ბოლო ჩანჩქერიანი კლდის ძირში და ჩავაგდე. ჩამოსულმა ლარი ზომიერად გამოვჭიმე და ანკესების ჩამაგრება გავაგრძელე სხვა ადგილებისაკენ. ეს ჩანჩქერიანი მორევი იღბლიანი გამოდგა ჩვენთვის. თურმე, ნუ იტყვი, და აქ, ამ მორევი ცხოვრობს საკმაოდ მოზრდილი ლოქო, რომელიც ჩვენს ანკესზე წამოგებულა. თუ ლოქოს ანკესი ყბაში ან კბილებში გამოედო, ძალიან ძნელი ამოსაყვანია, დიდხანს იბრძვის წყალში. მძლავრი კუდის მოსმით გენინააღმდეგება და ნაპირზე დარტყმით შეიძლება წვრილი ლარი განყვიტოს, ან ანკესი გატეხოს, მაგრამ თუ მას ანკესი ღრმად აქვს გადაყლაპული, იგი როგორც მტაცებელი, უქერცლო, მაღალგანვითარებული თევზი, ტკივილისადმი მეტად მგრძობიარეა და თითქმის მოძრაობის გარეშე მოგყვება წყლიდან. მხოლოდ კუდი აქვს მოხრილი. ცხვირში რგოლგაყრილ ბუღასავით მორჩილია.

ჩვენს ლოქოს, შედარებით სუსტი ლარი და მცირე ზომის ანკესები წყლიდან ვერ გამოიყვანდა, მაგრამ თურმე ანკესგადაყლაპულს უბრძოლია, უბრუნვია იმ ღამით წყალში და ღამის მთელი თოთხმეტივე ანკესი ლარიანად დახვევია ტანზე. ტკივილით და ბრძოლით იმდენად დაღლილა, რომ გათანგულს, მოძრაობისათვის თავი დაუწებებია და ვერც ტირიფის მოძრავ ტოტზე გამობმული ლარი გაუწყვეტია.

პირველ ღამეს, ასე თორმეტი საათისათვის დავინწყეთ ანკესების შემოწმება. მივედით რა იმ მორევთან, პირველივე ლარის მოქაჩვი-

სას მომეჩვენა, რომ ანკესი მოსდებოდა რაღაც წყალში ჩაძირულ კუნძს. მაინც ვენეოდი და ნაპირისაკენ გამომქონდა, ვცდილობდი, არ გამწყდარიყო. ნაპირზე მოახლოებისას მაშხალის შუქზე. უცებ, რაღაც შეტოკდა და მივხვდი, რომ აქ სხვაგვარად იყო საქმე. ლარი ისევ ფრთხილად მივუშვით ღრმა წყლისაკენ. თევზს რომ დამშვიდებულად ეგრძნო თავი და მანქანიდან ბადე ამოვიტანეთ. იქნებ რამეში გამოგვდგომოდა.

ერთმა კაცმა რომ გამოვნიეთ, მეორემ ბადე გადააფარა, მესამე კი წყალში ჩასული, ვითომ ბადეს უკეცავდა, რომ არ გამსხლტარიყო და ბოლოს ორივე, ლოქო და კაცი ნაპირზე ამოვათრიეთ. გასართობი ის გამოდგა, რომ მდინარეში ჩასულს ერთ-ერთი ანკესი ყურში გამოსდებოდა და მკვნიტარათი დაგვჭირდა ანკესის ჩასაბმელის მოცილება, რომ წვერისკენ მოძრაობით გამოგვტანა იგი ყურის ხრტილიდან.

* * *

რაც შეეხება ჩვენს ითითალაში ოთხდღიან ნადირობას, ღორი ვერა და ვერ მოვინადირეთ, სხვადასხვა რამ კი ბლომად დავხოცეთ. ითითალიდან დავბრუნდით ცოდნისკარში. გავაგრძელეთ ნადირობა ბელაქნის ნაკრძალის ტერიტორიაზე რამდენიმე დღეს, მაგრამ, რაიმე ნადირი ვერა და ვერ მოვიგდეთ ხელში. მასპინძელი ოჯახი მცირე შესაძლებლობისა იყო. ჩვენც მიგვქონდა ხოლმე ხარჯი, მაგრამ ხან შეღამების გამო ვერ ვახერხებდით. თანაც სტუმარ-მასპინძელი იმდენი ვირეოდით, ყველაფერი შემოგველია. ჩასვლისას ორი ცხვრის ჭედლიდან ერთი დაგვიკლეს. მეორე შემოღობილ ბაღჩაში ჰყავდათ დღისით გაშვებული და ომარმა გასართობად თავისი ძალი მიუსია. მას აჰყვა სხვა მდევარიც. ეს ცხვარი შემოარბენინეს კუნტრუშით რამდენჯერმე ღობის შიგნით, ბაღჩის გარშემო. ძალიან სასაცილო იყო ამის ყურება და ამ ომარის მდევარმა, რომელიც გაუნვრთნელი, რაღაც უგონო იყო, ჭედილა ნააქცია და სადღაც კუთხეში, სხვებიც მიეშველნენ და დაუნყეს დახრჩობა. — დაახრჩესო! და ომარმა გამოუსვა დანა ყელში. სიცილ-ხარხარში და გართობაში, ასე ვიმასპინძლეთ მეორე რქიანი ჭედილაც. მასპინძლებიც ილიმებოდნენ, რაღას იზამდნენ.

ალბერტმა მითხრა ხუმრობით - ტახზე წამომიყვანე და ცხვარზე მანადირეო? — შე კაი კაცო, შენ არ იყავი, რომ დათვზე დამპატიჟე და თავებზე მანადირე-მეთქი, ვუთხარი და ეს სასეირო ამბავი გა-

ვისხენეთ. ერთ ზაფხულს, ალბერტი სოფელ ლარგვისის ახლო-მახლო სოფლებში არდადეგებზე ასულიყო ცეკვის მასწავლებლად. ცოტა ფულს გამოვრჩეო და თან ძაღლებიც წაეყვანა. იქ, ტყეში ხომ ყველაფერია, ქსნის ისტორიულ ხეობაში, ქართლის ძველი ერისთავების, ყანჩაველების სამემკვიდრეო სამოსახლოში, ყელის ტბისაკენ. ძაღლებს რამდენჯერმე, გაფოთლილ ტყეში დათვისათვის ედევნათ. ალბერტს დაებარებინა ამხანაგებისათვის, – ვანიკო ჯაფარიძეს შეატყობინეთ, ამოვიდეს, რას აკეთებს ამ სიცხეში საგარეჯოში, აქ დათვებზე ვანადირებო.

დიდი ვენახები და ბევრი საქონელი გვყავდა სულ მუდამ, ჩემს მამა-პაპას „ხარებაანთ“ ეძახდნენ, აუარება ღვინო-არაყი გვქონდა, ქვევრებში გვინყალდებოდა. მოვიცალე, ჩავასხი ტიკში ათი ლიტრი არაყი და ავედი მთაში ერთი კვირით. ალბერტს ბინა დაედო ცხვრის მატყლის დასამზადებელ, დიდი ხის გაქერქილ მორებისაგან გაკეთებულ უზარმაზარ სანყობში. ცეკვის სასწავლებელიც იქ ჰქონდა გახსნილი. ბავშვები მოდიოდნენ ახლომახლო სოფლებიდან ყოველდღე და იქ უტარებდა მეცადინეობებს.

დილა-სალამოს გავდიოდით ხოლმე სანადიროდ. ასე ძაღლები სულ მუდამ დასდევდნენ რალაცას. დათვები ალბათ გადაფრთხდნენ იმ არემარედან, თუნცა, ერთხელ ტყისმჭრელმა გვითხრა, ძაღლებმა ორწლიანი ბელი აატარესო. შველი ყველგან იყო, მაგრამ ტყე ამ დროს გაფოთლილია და ვერაფერი მოვიგდეთ მოსაკლავად. შემოდგომა-ზამთრის სანადირო სეზონშიც კი, როცა ტყე ფოთლისაგან გაცლილია და ხილვადობა თავისუფალი, ნადირის მორეკვა-ჩაკეტვას უნდა მრავალი მონადირე, ჩვენ ორნი კი, იმ შუა ზაფხულში რას ვანყობდით. რამდენჯერმე ქედნები დავხოცეთ და მდელიებზე-კურდღლები.

ჩვენს სამონადირეო სანყობში აუარება ტყის თავგი იყო თავშეფარებული, ღამღამობით გვალონებდნენ ძალიან. დაძინებულებს სულ თავ-პირზე დაგვარბოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემი მასპინძელი, ყოველ ღამე ჯამით უდგამდა საჭმლის ნარჩენებს კუთხეში, რომ გართობილიყვნენ, მაგრამ იმათ რა ნარჩენები ეყოფოდათ. დადგმისთანავე მოასუფთაებდნენ ხოლმე. მაღლა ჭერს ღამფა-ფიცარი არ ჰქონდა გაკრული და დიდ მასიურ კოჭებზე გამორბოდნენ, იყვნენ ერთ ამბავში. როცა შევზარხოშდებოდით ხოლმე, მიზანში ვესროდით საფანტიან ვაზნებს, ვეჯობრებოდით, ვინ უფრო

მეტს მოვკლავდით ერთი სროლით. ამით ვერთობოდით და ის ამბავი გავიხსენე.

ამ დროს ომარს გამოუჩნდა ნაცნობი ლაგოდების ნაკრძალში, შველზე განადირებთო, შემოგვთავაზა. ამაზე ალბერტიმ გვითხრა, – ჩემთან წავიდეთ ახალგორში, შველი დაბლა იქნება ჩამოსული, მაინც ხომ უნდა ამიყვანოთო.

დიდთოვლობას, შველი დაბლა ტყეში იწევს მაღალი მთიდან, რადგან ქვემოთ ნაკაფი ტყე-ბუჩქნარია, სადაც ღიჭა, მაცვალი და სხვადასხვა ბუჩქნარია მოდებული. მას ადვილად სწვდება და თავს ირჩენს. თან დაბლა შედარებით თბილა და თოვლიც დაბალია.

ცოდნისკარიდან რომ გამოვედით, ძველით ახალი წელი დგებოდა. გამოვიარეთ რუსებით დასახლებულ სოფელზე, რომელსაც ალექსეევკა ერქვა.

ძაგულიმ, ჩვენმა მასპინძელმა, რომელთანაც ვსტუმრობდით, გვითხრა: – აქ ერთი გოგო მყვანდა საყვარლად, ლუბა ერქვაო.

– ტყუილი იქნებაო, – უთხრა ომარმა.

– რათაო, – იწყინა ძაგულიმ. ომარმა მანქანა გააჩერა, მოაბრუნა და უთხრა:

– აბა, მოგვიყვანე, სადა ცხოვრობსო. ძაგულიმ მიგვიყვანა რომელიღაც სახლთან და გვიჩვენა. ომარმა გაბმული სიგნალი მისცა. ვილაცამ გამოიხედა და ომარმა გასძახა:

– ერთი ლუბას დაუძახეთ, საქმე გვაქვსო!

– არა, აქ ლუბა არავინ ცხოვრობსო, – იყო პასუხი. ალბათ შემეშალაო, – ჩაილაპარაკა ძაგულიმ, – შეშლაზე არა ვართ, უნდა ვნახოთ ლუბა აუცილებლადო, – ახლა სხვა სახლთან მიგვიყვანა, მაგრამ არც იქ აღმოჩნდა ლუბა. მოკლედ რომ ვთქვათ, ვერც ლუბა ვიპოვეთ და ვერც მისი სახლი. შევეყარეთ მთელი სოფელი.

სოფლის ახალგაზრდობამ ითაკილა ჩვენი ასეთი ქცევა და გამოიშალნენ ჯგუფ-ჯგუფად, აღარ იცინან, რა მოიმოქმედონ. 12 საათი სრულდებოდა, ომარმა გადმოიღო მანქანიდან სანადირო თოფი და დაიწყო ჰაერში სროლა. ცოტა გაგებული და შემძლე ბიჭები მოვიდნენ, ცდილობენ, საქმე გაარკვიონ, გაიგონ, რა გვინდა, რატომ არ ვანებებთ თავს იქაურობას.

ომარმა — ახალი წელი მოდის, ასე იცით ახალი წლის შეხვედრა, მოდით, ახალი წელი ვადღეგრძელოთ, მაგრამ სასამელი არა გვაქვს და გამოიტათ რამე, სტუმრების დახვედრა არსად გისწავლიათ, თუ არ გისწავლიათ, ეხლა ისწავლეთო. თითქოს ბიჭებს შერცხვათ, ამის

გაგონებაზე ზოგმა რა გამოიტანა, ზოგმა რა და უცბათ მანქანის ძრავის სახურავზე პატარა ნაუცბათევი „სუფრა“ გაიშალა. გაცნობ-გამოცნობაში ახალი წელი დაგვიდგა და ვადღეგრძელებთ, მაგრამ ომარმა არ მოიშალა და - სანამ ლუბას არ გვაჩვენებთ, აქედან ფეხს არ მოვიცვლითო. იმათაც გადახედ-გადმოხედეს ერთმანეთს, რალაცა ითათბირეს და მეზობელი სახლიდან ღრმად მოხუცებული ქალი გამოიყვანეს, რომელსაც აქეთ-იქით მხრებში შესდგომოდნენ: - აი, ეს არის ჩვენი ლუბა, ამ სახელისა, ამის მეტი აქ არავინ არ ცხოვრობსო. გაგვეღიმა და რალას ვიზამდით, ავდექით და წამოვედით.

საგარეჯოში ძაგული დაგტოვეთ. მე უჩუმრად შევედი ჩვენს მარანში ისე, რომ ჩვენებს არ შევეხმიანე. ვიცოდი, ამ გადაკარგვისთვის მისაყვედურებდნენ. ტიკი კვლავ არყით გაავასე და თან ღორის შებოლილი ბარკალიც გამოვაცოლეთ.

იმ ღამითვე ავედით ახალგორში. დიდი თოვლებია. თქმა არ უნდა, რომ შველი დაბლაა ჩამოსული. ხარაზი გვყავდა ნაცნობი, დუქანი გაელო და ლუმელში ცეცხლს ანთებდა. შევედით, მოვიკითხეთ. გვინდოდა ადგილობრივი ბიჭები გაგვეღვიძებინა და სადმე ნადირობა მოგვეწყო. ხარაზმა გვითხრა: - არავინ გინდათ, გუშინ აქვე ახლოს ტყეში შეშაზე ავედი, ძაღლებიც გამომყენენ, შვლებსა სდიეს. სამში, ერთი ვაცი იყო, მე თან თოფი არ მქონდა და გაუმფრთხალები, შესაძლოა, ახლაც იქ არიანო და ადგილიც გვანიშნა.

გავედით იქვე ახლოს ქალაქთან ტყისპირისაკენ მანქანით. რაკი მე იქაური ადგილები ვიცოდი, ალბერტმა მითხრა: ერთი ნახევარი საათი დაგვაცადე, რომ ზემოდან მოვექცეთ, ადგილები დავიჭიროთ და ძაღლები ამა და ამ ადგილიდან გამოუშვითო. ძაღლებმა გაშვებისთანავე წამოჰყეფეს და რამდენიმე წამში თოფიც გავარდა.

გავარდა მხოლოდ ერთხელ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნადირი მოკლულია. აცდენილს, ყველა შემთხვევაში მეორე ლულიდანაც აყოლებს მონადირე. თუ შემთხვევით გაქცეული არ მიეფარა, რასაც თავისთავად პირველ რიგში ცდილობს გარიდებული ტყის ბინადარი. ძაღლები ყფით გადაიკარგნენ, დანარჩენებს გაედევნენ.

ხუთად დატოტილრქიანი ვაცი მოეკლა ომარის. მასაც, როგორც ალბერტის, ისეთი ბედი ჰქონდა, უფრო ხშირად ხვდებოდა ნადირი. მიმაჩნია, რომ ასეთი ყისმათი ადამიანზე წინდანინ არის დაბეღებული. მაგალითად, მე ამას ვერ დავიკვებხნიდი. ნადირი პირადად სროლისთვის იშვიათად შემხვედრია იმასთან შედარებით, როგორც რომ მივდედვი ნადირობას.

სალამოს, ახალგორის სასტუმროს ალიკა ინაურის პატარა რესტორანში ვქეიფობდით სტუმარ-მასპინძლები და ალბერტმა ძალზე საოცარი ამბავი მოგვიყვა.

თბილისში ნაცნობმა მთხოვა, ციყვი მომინადირე, ფიტულისთვის მინდა, ბავშვს სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებელმა დაავალაო. იმ წელს, ზამთარში, როგორც ახლა, დიდთოვლობა იყო. შაბათს სალამოს ჩამოსულმა ჯიბეში რამდენიმე ვაზნა ჩავიდე და დღეს რომ ვიყავით, იმ ადგილებში ტყეს აღმა შევყევი. ტანზე ელექტროშემდუღებლის თეთრი კომბინიზონი მეცვა. უკვე ღამდებოდა. ქარი ამოვარდა, რომელიც თანდათან გაძლიერდა და მალე ნამდვილ ქარიშხლად გადაიქცა. თოვლი ჰაერში აიტანა, ატრიალებს, თვალწინ არაფერი ჩანს. დავეშვი უკვალოდ, დაბლა ვერაფერს ვამჩნევ. ტყეში სხვებიც იყვნენ, ალბათ შემაზე. ადრე რამდენიმე მხრიდან ცულის ხმაც გავიგონე. ერთმანეთს ეძახიან, - გავიდეთ აქედან, თვალწინ არაფერი ჩანს ამ ქარტყხილშიო.

დავყევი დაბლა უგზო-უკვლოდ. ქარბუქი მბარმავებს და უცებ რას ვხედავ, ტყის ბარდნარიდან შვიდი თუ რვა შვლის არვე გამოვიდა. მოდიან პირდაპირ ჩემკენ, ერთმანეთთან ათი მეტრი გვაშორებს. მე ხეს ამოვეფარე და თოფი დავუმიზნე. ისინი კი თოვლში პატარა ნახტომებით კვლავ წინ მოიწევენ. მოვუშვი სულ ახლოს და ვესროლე. ერთი ლულიდან ერთს, მეორე ლულიდან - მეორეს. ორივენი წაიქცნენ, თუმცა შედარებით წვრილსაფანტიანი ვაზნები მქონდა წაღებული.

შვლები გადახტ-გადმოხტნენ და ადგილზე დატრიალდნენ, ვერ მიხვდნენ, ამ ქარტყხილში საიდან რა გამოუვარდათ. საფრთხე საითკენაა, ან საით უნდა გაიქცნენ. თოფი რომ გადავხსენი და გილზების შეცვლა დავიწყე, ალბათ თვალი მომკრეს. თვალი სწრაფია. თოფის წამლის სუნიც იყნოსეს ალბათ და იმ გრიგალში, სწრაფი ნახტომებით ეცადნენ იქაურობის გაცლას. ვესროლე ორივე ლულიდან და კიდევ ორი დავტოვე ადგილზე.

ყველა ცოცხალია, დაჭრილები გაქცევას ცდილობენ. დანინაურებულს წავასწარ, მივათრიე მეორესთან და ქამრით, ერთი-მეორეს თავები გადავუბი. ჯიბეში დანაც კი არ მიდევეს, აღარც ვაზნა მაქვს ერთის გარდა. აღარც ამდენი სროლა მინდა, ვცდილობ, არავინ წამომადგეს. ტყეში კვლავ ერთი-მეორის გადაძახილი ისმის. ვერიდები ეს ამბავი არ გამიხმაურდეს.

დავიჭირე მესამეც და ქამარში მივუქციე კისერი. მეოთხეს ქამარი აღარ ეყო და თოფს ღვედი შევხსენი. ვცდილობ, თოვლი ნავაყარო და ვითომ დავმალო. ხელებით თოვლს ვაყრი, ისინი კი მაღლა ამოსვლას ცდილობენ, ყელყელობენ. იმ სივრცეში, სისხლში და უბედურებაში ავლელდი, სულ ვკანკალე.

დაბინდა კიდეც. ჩამოვედი და ეს ბიჭები ნავიყვანე დასახმარებლად. ჩემს მისვლამდე ერთი მომკვდარიყო, სამი კი ცოცხლად დაგვხვდნენ. დავკალით, დავატყავეთ, სხვა რაღა უნდა გვექნა, ვისაც კი მისდღემში დაბადების დღე არ გადაეხადა, სულ მაშინ გადაეხადა, სულ მაშინ გადავუხადეთ, ერთი კვირა ვქეიფობდით. ასე იყო ეს ამბავი.

აუარება შვლის, ირმის, დათვის ცოდვა ჰქონდა დადებული ალბერტის. მგელ-ტურაზე ხომ აღარ ვლაპარაკობ. ახალგორელებს ალბათ ახლაც ეხსომებათ მისი ამბავი. ამ გადასახედიდან, სიბერიდან რომ გავყურებ, ტყე-ღრეში მობინადრე ნადირთა ცხოვრებას, ახლა დათვიც კი მეცოდება, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ რა. ბევრჯერ მიფიქრია მათზე, თოვლში, სიცივეში, ქარ-წვიმაში და ასეთ ყიყამეთში ადამიანებისაგან შევიწროებულები როგორ ძლებენ-მეთქი. მიუსაფარებს და უმწეოთ, თავშესაფარიც არ გააჩნიათ, რომ თოვლსა და ქარ-წვიმაში სადმე შეეფარონ. დათვი ზამთარში საკვების გარეშე დარჩენილი, ბუნაგში ხუთ თვეს ძილქუშში ატარებს. კიდეც უფრო უბედურებაა მისთვის, თუ ვინმემ ან რამემ დააფრთხო და გამოაღვიძა. ის ხელმეორედ ველარ იძინებს და მთელი ზამთარი ყინვაში დახეტილობს შიმშილსა და სიცივისათვის განწირული. მისი ცხოვრება ამ დროს უკიდურესად მძიმეა, ან გააზამთრებს, ან ვერა. ტყეში შეიძლება შიმშილით მოკვდეს. სოფელს დაუახლოვდება რაიმეს დასატაცებლად და ტყვია ელოდება. ის ადამიანს ან მგლების ხროვას გამოჰყავს ძილქუშიდან. მგლები შიმშილისაგან თავგადასარჩენად ბედავენ მასზე თავდასხმას და აგდებენ ბუნაგიდან. თუ დიდი ხროვაა, ისინი ახერხებენ მის დაგლეჯადამორჩილებას, უთანასწორო ბრძოლაში. ხოლო თუ ცოტანი არიან, ვერ ერევან. დათვი კლავს რომელიმეს ან რამდენიმე მათგანს და გაურბის მათ. ისინი თანამოძმეთა ლეშს უბრუნდებიან და რამდენიმე ხნით თავი გააქვთ ზამთრის სიცივეში. დათვი კი ხეტიალს იწყებს და ჩამოდის შედარებით დაბალ ტყეში, რომ ბუჩქნარებზე შემორჩენილი ასკილით, კენკრითა და თოვლქვეშ მოქცეული რკოთი

გამოიკვებოს. ამ დროს ტყეში გაშვებულ შინაურ ღორსა და საქონლის ბინებსაც ესხმის თავს.

ამ ჩემს მეგობარს, განთქმულ ვაჟკაცსა და მონადირეს ალბერტ მლენბრიშვილს, შემდგომში ახალგორის საგზაო უბნის უფროსს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, თვითმცლელი „მაზ“-ის ტიპის მანქანით შეემთხვა საბედისწერო ავარია. მზის მოსახვევში შეეჯახა მასიური ბეტონის დამცავ ბორდიურს და დაინვალიდა. წელსქვემოთ დადამბლავდა 30 წლის ასაკში, რაც ასეთი ვაჟკაცი-სათვის, მართლაც, რომ ცოდობა იყო.

მე მაშინვე შემატყობინეს. ჩავედი რესპუბლიკურ საავდმყოფოში. 90-იანი წლების უშუქობის, სიცივის, უსახსრობისა და გაჭირვების მძიმე დრო იდგა. სახელმწიფო სამსახურები ძლივს ახერხებდნენ ფუნქციონირებას. ასეთივე მდგომარეობა იყო რესპუბლიკურ საავდმყოფოშიც. ალბერტი ნეოროქირურგიულ განყოფილებაში ვიპოვე. შეჭირვებით კედლიდან ჩემკენ გადმობრუნდა და მომიყვა თავისი ამბავი.

შეჯახებისას მანქანის კაბინა სამაგრიდან ამოვარდნილა და წინ გადახსნილა, რაც „მაზ“-ის მარკის მანქანას ახასიათებს. მძლოლი საჭემ დაიჭირა, მე კი საქარე მინიდან გადმოვვარდი. მანქანა შემოტრიალდა, გადმობრუნდა და ზედ დამეცა. პირველ დაცემაზე გავუძელი, მაგრამ დაჯუნჯლუხებულის მეორე დაცემაზე გონება დავკარგეო. ალბათ, მანქანა რაღაც შემალღებულს დაეცა, თორემ ადგილზე გასრესდა. ეს ავტოშემთხვევა საბედისწერო გამოდგა მისთვის. რომ იტყვიან, „ლხინადაც ეყო და ჭირადაც“. თურმე ხერხემალში ნერვი ჩანყვეტოდა და ოთხი დღე სახლში წევს - წელი მაქვს ნატკენიო. ამ დროს განყვეტილი ნერვის ბოლოები აქეთ-იქით გაიკრიფნენ და მდგომარეობა დამძიმდა. ნეიროქირურგებმა მას ველარაფერი უშველეს.

სულ ათი წელიწადი იცოცხლა ასეთ მდგომარეობაში. ერთი შვილიანი, ნაცნობი ქალი უვლიდა, მომვლელი სხვა არც არავინ ჰყოლია. როცა პირველად ვნახე მათი ურთიერთობა, შევატყე, რომ ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. არ მომეწონა ქალის შესახედაობა და ვუთხარი კიდეც, - ნეტავ რა მოგწონს მაგისი-მეთქი.

- შენ არ იცნობ, იცი, რა კარგი გოგოაო... - რაღაც სხვანაირად მიპასუხა.

ჰოდა, ეს ქალი გამოადგა გაჭირვებაში. უერთგულა, სიკვდილამდე გვერდიდან არ მოშორებია. ალბათ, ძალიან უყვარდა მასაც და მის

ღირსებებს აფასებდა. მის მოვლაში ახალგაზრდა ქალი თვალდათვალ დაბერდა. ბოლოს ვნახე, ღრმად მოხუცებულსა ჰგავდა.

კასპში, საერთო საცხოვრებელში ბინა მიაღებინეს ნაცნობებმა. დაბლა ეზოში საფრინველზე მოუნყვეს, წინილა გამოჰყავდათ, ზრდიდნენ და მისი რეალიზაციით ირჩენდნენ თავს. ის პირველი სართულიდან გამოდიოდა ინვალიდის ეტილით და ფრინველს უვლიდა, ისე არ ჩერდებოდა. არ უნდოდა, სხვისი ხელის შემყურე ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ სიტყვა ბოლომდე ეთქმოდა, საქმის გასარჩევად თუ სხვა ამბავზე. მასთან მიდიოდნენ, ან აზრს ეკითხებოდნენ, მეგობარ-ახლობლებიც უყურადღებოდ არ ვტოვებდით. დედა კი, როგორც ადრე ვთქვი, აღარ ჰყავდა.

დაიღუბა იმით, რომ ფეხზე განგრენა დაეწყო. ექიმებმა მოკვეთა გადაუნყვიტეს გადასარჩენად. მან კი იუარა, - „იქნებ, მართლაც მეორე ცხოვრება არსებობს და ამ ცხოვრებაში ინვალიდი, იქაც უფეხო ვიყო?“ — მართალია, დიდად მორწმუნე არ ყოფილა, მაგრამ ალბათ ხალხის შენუხება ერიდებოდა, თან ეტყობა, ასეთი ცხოვრებაც მობეზრებოდა. ერთხელ მითხრა: - დავიღალე ვანიკო, დავიღალე, სიკვდილი და დასვენება მენატრებაო.

* * *

რაც შეეხება ჩვენს ორკვირიან ნადირობას, ჩემს სამსახურში დაბრუნებისას, ორმოცდაათი ტონა სიმინდი დამხვდა სულ ჩაობებული. გაშავებულ-გალურჯებული. მხოლოდ ზედაპირზეა ჩანდა მარცვალი საღად. გადავწყვიტე, მისი სასწრაფო გადამუშავება, რომ ეს ამბავი არ გახმაურებულიყო. სხვა შემთხვევაში სიმინდის ღირებულებას დამანერდნენ და თუ ვერ ავანაზღაურებდი, პასუხისგებაში მიმცემდნენ. კომბინირებული საკვების 1500-ტონიანი შემნახველ-გადამამუშავებელი საამქრო ახლად გაშვებული იყო ექსპლუატაციაში. აღმოჩნდა, რომ „ვილგარის“ ტიპის დასაქუცმაცებელი დანადგარი, გამხმარტაროიან სიმინდს ვერ ამუშავებს, მარცვალი სჭირდება. გაჩიანის რესპუბლიკური ბაზიდან სასწრაფოდ ჩამოვიტანე ტაროს საფხვნელი დანადგარი, დავამონტაჟე კონვეირულად „ვოლგარის“ წინ.

სიმინდი დავფხვენით, დავფქვით და ერთ დღეს მთლიანად გავუშვით საკვებად. ვეცადეთ, სწრაფად გაგვეცალა ხელიდან. თურმე, პირველი სანამლავია ღორებისათვის. მახსოვს, კვირა დღისით ჩასულს, საამქროს ზედა სართულიდან, თვალწინ უსიამოვნო სურათი

გადამეშალა. ნანახი ადამიანს შეძრავდა. ორ-ორ ათას სულიან, ექვსივე სასუქი ფერმის, ყველა პერიმეტრზე მოწყობილ რვავე კარებს გარეთ, როგორც შემდგომ გაირკვა, 360-მდე გამოშიგნული ღორი იყო გამოთრეული და სიცივეში ზურგზე მუცელგადახსნით დაყრილი, რათა შიგნით სითბოზე არ გაფუჭებულიყო, სანამ ნავთლულის სასაკლაოში გადააგზავნიდნენ გადასამუშავებლად. ასწრებდნენ რა დაცემულის მხოლოდ გამოშიგვნას, უახლოესი კარებიდან ათრევდნენ გარეთ. ეს სურათი დამნაშავეს გრძობას მიტოვებდა და ვხვდებოდი, რომ ამამი დამნაშავე ვიყავი. კიდეც კარგი, რომ ზამთარი იყო, თორემ ათეული ტონობით ხორცი, თბილისში ჩატანამდე გაფუჭდებოდა. მივხვდი, საჭმელს მოენამლა პირუტყვი. ასეთი რამ ადრეც ხდებოდა ხოლმე, მაგრამ ასეთი სახის მასობრივ დაცემას არა ჰქონია ადგილი.

ორ ტონამდე თულა იქნებოდა დარჩენილი ეს გაფუჭებული სიმინდი თუ რალაც უბედურება, ვეცადე დროზე მომეშორებინა თავიდან, რომ ჩემზე ეჭვი არ მოეტანათ. მძლოლი მოვნახე ტერიტორიაზე თვითმცლელით, ვუთხარი, სიმინდი უნდა გაგატანო, გაყიდე მეთქი. დამეთანხმა, არ მეკითხება, რაშია საქმე, თორემ შეშინდება და აღარ დამეთანხმება. დავტვირთეთ სიმინდი თვითმცლელზე, გადავაფარეთ ბრეზენტით. გამოვყევი თან, ვეუბნები იორისაკენ გადაუხვიე — იქით რა გვინდაო, მკითხა, - გაიგებ-მეთქი და მივაყენებინე მანქანა ძარით მდინარეზე. - ასწიე მეთქი, რომ ვუთხარი, - ლამის გამიგიჟდა. როცა ამბავი გაიგო, რაშიც იყო საქმე, ბევრი მეხვეწა, - სახლში ნავილებ, ქათმებსა და ინდაურებს ვაჭმევო, - უარი ვუთხარი.

თბილისის სანიტარული ლაბორატორიიდან, კომბინირებული საკვებით მონამგლის პასუხი მოვიდა, მაგრამ სიმინდზე ყურადღების გამახვილება გამორჩათ მხედველობიდან, რადგან მაშინდელი კომბინირებული საკვები ყველანაირ მარცვლეულს შეიცავდა და, რა თქმა უნდა, სიმინდსაც. ამდენად, გადავრჩი პასუხისმგებლობას. მაშინდელმა უბნის უფროსმა შემდეგში გაიგო, თუ რაში იყო საქმე და დღესაც არ მელაპარაკება.

ნაცნობი, უცნობი ამავენი

გგონიათ, ამავენი როცა მთავრდება, იქ არის მისი ნამდვილი დასასრული? ფიქრობთ, რომ წერტილი მართლაც ამბის ბოლოს ნიშნავს? მართლა გჯერათ დასასრულის დასასრულობის? მე კი დარწმუნებული ვარ, რომ სულ პირიქითაა, ნამდვილი, ცოცხალი, მარადგანახლებადი, დაუსრულებელი მოქმედება წერტილის შემდეგ იწყება.

ერთ მშვენიერ დღეს შოთა რუსთველმა დაასრულა თავისი პოემა, ვიზეიმეთ ქორწილები, თან განა ერთი? რამდენიმე - ამისაგან, იმისაგან, აქ, იქ... თითქოს ამავენი დასრულდა, თუმცა, მე რომ მკითხოთ, სწორედ იქ დაიწყო ნამდვილი ამავენი - პოემის ნაკითხვის, შეყვარების, გადანერის, დახატვის, დაზეპირების, გაგრძელების ნამდვილი საგა, მარადიული, ყოველდღიური, მიუხედავად ეპოქისა, პოლიტიკისა, მეფისა თუ მისი ვასალისა, დამპყრობლისა, დაშლისა თუ გაერთიანებისა, ჭირისა თუ სახადისა, სირთულისა თუ სიმარტივისა...

სამწუხაროდ, პოეტის ავტოგრაფზე კი არა, თუნდაც პოემის დაწერის თარიღთან ოდნავ მიახლოებულ ხელნაწერზეც ვერ ვიოცნებებთ, დრომ, ომებმა, დაუდევრობამ თუ ღმერთმა იცის, რამ განაადგურა უძვირფასესი ხელნაწერები, თუმცა, ის, რაც დაგვრჩა, მაინც საოცრად შთამბეჭდავია...

ნახულობ ამ ხელნაწერებს, აშიებსა და მინდვრებზე მინაწერებს, ჩასწორებებს თუ შენიშვნებს და ხვდები, როგორი ცოცხალი შეიძლება იყოს წიგნი, როგორ შეიძლება შეცვალოს ადამიანთა ცხოვრება, მიჰყვეს მათ ბედს, ანდაც, ზოგჯერ ბედის საჭე შემოატრიალოს კიდეც, თავის თავზე განიცადოს ყოველი ცვლილება, მის ყდას, ფურცელს დაეცეოს არა მხოლოდ ადამიანთა შეხების, არამედ მათი ყოველდღიური ცხოვრების კვალი...

მაგალითად, ერთ-ერთი ხელნაწერის ავტორი უცნობია, თუმცა ჩვენთვის საცნაური ხდება მისი თუ ხელნაწერის მომავალი მფლობელის ტრფობის ამავენი, სატრფოს მონატრება, დარდი... შეყვარებული ადამიანის გულიდან ამოძახილია სხვა, ასევე უცნობი გადამწერის ხელნაწერზე - ჩემნო იმედო, იმედო, იმედო... - წერს ის, ერ-

თი სიტყვის რამდენიმეჯერ გამეორებაა, თუმცა იმდენ ამბავს ინახავს...

„ვენაცვალო წიგნო, შენსა პატრონსა!“ - ამბობს სხვა მინანური და თავისი გულის არითმიის მიზეზსაც ასახელებს: „როგორც მე ამ წიგნმა მამილო ცეცხლი, ღმერთო, ისე შენ მოუკიდე ცეცხლი ლევა-ნის ძეს აბა ამას ტანჯვით. ღმერთო, ამა ტანჯვით რისთვის დამბადე, რომ გავები სიყვარულის მახეში როგორც მე ამ წიგნში“.

ზოგან - წიგნი მზითვის უმთავრესი განძია, ქორწინების მთავარი მოქმედი პირი. ერთ ხელნაწერს ასეთი მინანურიც აქვს - „ხოლო მეფემ აჩუქა ხახული აბაშიძეს, რომელმაც გამოატანა სამზითვოდ თავის ქალოშვილს ნინოს...“ შემდეგ, როგორც ჩანს, ნინო აგრძელებს თავისი ოჯახური ბედნიერების ამბავს: „მე დავინერე ჯვარი 1886 წლის გიორგობის თვის 10. ჩემი ბიჭი დაიბადა 1887 წლის ოქტომბრის 26 დღეს, მოინათლა 1889 წლის მარტში 3 დღესა პარასკევსა...“

ან ეს ამბავი, აქაც ბედნიერი ქორწინების შესახებ ცნობა - „იქორწინა ჩემმა შვილმა ილია პატარას ძე ანდრონიკოვმა გრიგოლ მაღალაოვის ასულ ნატალიასა ზედა, ქ/ა სიღნაღს... ნიშანი გავატანე ჩემს შვილსა ილია ანდრონიკოვსა ალალოვს ასულს ნატალია გრიგოლის ასულისათვის. ბედნიერი არიან ორნივე მრავალს წელთა მრავალჟამიერ“.

კიდევ, კიდევ რისი კვალი ამჩნევია წიგნს? ვალების, დიახ, დიახ, ვალების, ხარჯების გასტუმრების, სესხებისა და ჩასესხების, რასაკვირველია, სარაინდო რომანი და ფულის აღნუსხვა ერთმანეთისგან შორს არის, თუმცა, ვინ იცის? განა ვაჭარი უსენიც ამ წიგნის პერსონაჟი არ არის?

„სახლის ქირა რომ ავიღე, ერთი თუმანი, სამი მანათი ნანას მივეცი პურის საცხობშია, ორი მანათიცა ივანეს ქუდისთვის გავგზავნე, რაცა დარჩა ხუთი მანათი სამი მანათისა მაშოს კაბა და საცვლები უყიდე, მანათი და ორი შაურით ბიჭს ხალათი და პერანგი, სამი აბაზისა შაქარი, სამი შაურისა კოჭის ძაფი, ერთი შაურისა ნავთი“ და ა.შ და ა.შ.

ზოგჯერ ნაძღვევის დადების თვითმხილველი, ზოგჯერ წყევლისა თუ დამუნათების შემნახველი, ხანაც მემბატინე, ხან ლოცვის ადგილი... ხან ნამდვილი, მკითხველური ბედნიერების მომსწრე - „ამიაშვილის ასული მაია აქანა კითხულობს“... „მიწყალე მე ღმერთო“ - მიუწერია ერთს, „ეს წიგნი ეკატერინესი იყოს, ღმერთმა

მოახმაროს“, - უთქვამს მეორეს. „წელსა ჩყიბ (1812) თვესა ნოემბრის მ (30) ამ რიცხვში დაწერილ არს: საქართველოს აზნაურიშვილი მაისურაძის ასული ნინო; პირველი ხელნაწერი არის და რაც შეცდომით მამსვლია, ნუ დამგმობთ“ - დროის წიაღიდან გვესაუბრება მესამე.

წიგნი კი აგრძელებს ცხოვრებას, მთავარი ამბები ჯერ კიდევ წინ არის, ტარიელისა და ავთანდილის ამბები წასაკითხი, დასახატი და გასაგები - ოცდამეერთე საუკუნის ახალი მკითხველისათვის.

ია ლაღუა

ფილოლოგიის დოქტორი. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის უნიკალურ წიგნთა კოლექციის კურატორი.



ლიტერატურის მუზეუმის ხელნაერთა აღწერილობა*

დღეს, როდესაც ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის ახალი მეთოდები და მიმართულებები გამოიკვეთა, სამეცნიერო კვლევებისთვის აუცილებელი გახდა ავთენტური დოკუმენტების ხელმისაწვდომობა. დოკუმენტური მასალები ხომ სანდო წყაროა მეცნიერული კვლევებისთვის. მკვლევრებს კი დღესდღეობით დიდი დრო სჭირდებათ იმ ინფორმაციის მოსაპოვებლად, თუ სად, რომელ დანესებულებაშია მათთვის საჭირო მასალა. მკვლევარს სასურველი კონკრეტული დოკუმენტის მოსაძიებლად ხშირად სხვადასხვა არქივში უნევს მუშაობა; ზოგჯერ, შესაძლოა, ეს ძიება უშედეგოდაც კი დასრულდეს, რადგან არ არსებობს შესაბამისი ბაზა. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა კოლექციისა თუ არქივის აღწერილობათა გამოცემებსა და, რაც მთავარია, მათ ელექტრონულ ვერსიებს.

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაერთა კოლექცია უმნიშვნელოვანესია თავისი მრავალფეროვნებითა და სიუხვით – ოთხთავები, ფილოსოფიურ-რელიგიური ხელნაწერი წიგნები, სიგელ-გუჯრები, ისტორიული დოკუმენტები, მხატვრული ნაწარმოებები, ზეპირსიტყვიერების ნიმუშე-

* სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ლიტერატურის მუზეუმის ხელნაერთა აღწერილობა და დიგიტალიზაცია“ (საგრანტო ხელშეკრულება №AR /109/1-20/14) ფარგლებში.

ბი, პირადი მიმოწერა, მემუარები. სამწუხაროდ, ამ უმდიდრესი მასალის აღწერილობა ცალკე არ გამოცემულა, გარდა მუზეუმის პერიოდული ორგანოს, „ლიტერატურის მატიანის“, მეხუთე წიგნის ნაკვეთისა - ილია აბულაძის მიერ 1949 წელს გამოცემულ ხელნაწერთა აღწერილობისა, რომელიც იმ პერიოდისათვისაც არასრული იყო, რადგან მას შემდეგ ხელნაწერთა კოლექცია მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ხელნაწერთა ფონდის ზუსტი მეცნიერული აღწერილობა და მისი ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომობა ლიტერატურისა და ისტორიის პრობლემატიკით დაინტერესებულ მკვლევრებს სრულ წარმოდგენას შეუქმნის მუზეუმში დაცულ ექსპონატებსა და მათ ღირებულებაზე, საკითხის დამუშავებას საგრძნობლად გაუადვილებს. ამავდროულად, აქ დაცული ხელნაწერები, განსაკუთრებით ისტორიული ხასიათის სიგელ-გუჯრები და წერილები მნიშვნელოვანია იქ მოხსენიებულ პირთა შთამომავლებისთვის. მუზეუმი, რომელშიც მრავალი უნიკალური ხელნაწერია დაცული, საჭირო რესურსს წარმოადგენს სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესშიც. ამისთვის აუცილებელია კოლექციის აღწერილობათა გამოცემა, რათა ლექტორმა/მასწავლებელმა შესაბამისი ექსპონატი მოიძიოს, როგორც წყარო და შემდეგში გამოიყენოს კიდევ: წიგნი — როგორც სახელმძღვანელო, ელექტრონული ვერსია — როგორც წყარო. ეს უკანასკნელი საუკეთესო საშუალებაა რეგიონებსა და საზღვარგარეთ მყოფი მასწავლებლებისა თუ მკვლევრებისთვის.

ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციის ნუსხათა შორის უძველესია XII საუკუნის ათონური ოთხთავი, რომელიც გადაწერილია ათონის ივერიის მონასტერში. იგი ზომით პატარაა და ე.წ. უბის სახარებას წარმოადგენს, აქვს ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა, თხელი სპილოსძვლისფერი პერგამენტის 244 ფურცელი; შესრულებულია კლასიკური ნუსხურით; სათაურები და საწყისი ასოები ოქროვარაყიანი სინგურით. ხელნაწერი გიორგი მთაწმინდელი-სეული რედაქციისაა და შეიცავს გიორგი მთაწმინდელის ანდერძს, ახლავს გვიან ჩამატებული ოთხივე მახარებლის მინიატურა. ხელნაწერს დასაწყისში წინ უძღვის კიპრიანეს მიმართ ევსების ეპისტოლე, რომლის ჩართვაც იმ პერიოდის სახარებებში ჩვეული მოვლენა იყო.

ნუსხურ ხელნაწერთაგან აღსანიშნავია „სახარება სამოციქულო“, რომლის ერთი ნაწილი გადაწერილია 1699 წელს რუსეთში მცხო-

ვრები მნიგნობრის - ლავრენტი გაბაშვილის, მეორე კი — 1709 წელს პეტრე ამბროსის ძის მიერ. კრებულის ანდერძები და მინაწერები იმდროინდელ ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების შესასწავლად საინტერესო დოკუმენტებია. ძველი ხელნაწერებიდან ასევე მნიშვნელოვანია არისტოტელეს „პერიარმენია“ (გადაწერილი 1760 წელს, ხელნაწერს ერთვის გადამწერის ანდერძი); ანტონ II-ის თარგმნილი ბაუმეისტერის „განსაზღვრება ფილოსოფიისა“ (გადაწერილი 1762 წელს); „ომანიანისა“ და „ქილილა და დამანას“ დავით კახთა მეფისეული ვერსიის (XVI საუკუნე) ერთად აკინძული კრებული, რომელსაც ახლავს დავით მეფის ანდერძი (გადაწერილია XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დამდეგს). გადამწერს შეუვსებელი დარჩენია რამდენიმე გვერდი, რომელზეც გვიანდელი მინაწერებია და ეს მინაწერებიც არანაკლებ საინტერესო წყაროა მკვლევართათვის; XVII საუკუნეში გადაწერილი მისტიკურ-თეოლოგიური ტექსტი „სწავლანი სულიერნი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდორე აღმსარებლისა სტუდიელისა წინამძღუარისა თვისთა მოწაფეთა მიმართ“, რომელიც 1042 წელს უთარგმნია გიორგი მთაწმინდელს; იოანე გედევანიშვილის „მიმოსვლა ანუ მგზავრობა“ (ავტოგრაფი, XVII საუკუნე) და ა. შ.

მხედრული ხელნაწერებიდან საყურადღებოა „ვეფხისტყაოსნის“ XVII-XIX საუკუნეების ხელნაწერები, რომლებიც გამოყენებულია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ; მუზეუმში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ 12 ხელნაწერიდან ორის გადამწერი ქალია — ნინო ზედგინიძე და სალომე წვიმეტიანი. ასევე, მნიშვნელოვანია ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნი“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ და „ქართული ლექსიკონი“ და სხვა ხელნაწერები.

საქართველოს ისტორიისა და სამართლის ისტორიის მკვლევართათვის საინტერესოა ლიტერატურის მუზეუმში დაცული ისეთი მნიშვნელოვანი სიგელ-გუჯრები და დოკუმენტები, როგორებიცაა: იმერეთის მეფეების — ბაგრატ II-სა და ალექსანდრე II-ს სასისხლო სიგელი (1462-1510 წ.წ.); ნასყიდობის წიგნი; ეტრატზე შესრულებული ისტორიული დოკუმენტი (1509 წ.); დედაბრძოვილების 1542 წლის საგვარეულო სიგელი; მეფე ერეკლე მეორის 1782 წლის წყალობის სიგელი, 1787 წლის ბრძანების წიგნი და 1795 წლის განკარგულება; სოლომონ მეორის წყალობის სიგელი (1797 წ.); გიორგი XIII-ს წყალობის წიგნი და სიგელი რამაზ მენთეშაშვილისადმი (1798 წ.); ბა-

ტონიშვილ იოანესა და იულონის წერილები მეფე ერეკლესადმი (1795 წ.); საქართველოს მმართველი პეტრე ლიტივინოვის წერილი „პატიოსანი მღვდლისადმი“ (1788 წ.) და სახლთუხუცეს მუხრან იოანესადმი (1789 წ.); მოწმეთა ჩვენება წნორიშვილის და ჯანყიშვილის მამულების გაყოფის შესახებ (1792 წ.); ლუარსაბ ორბელიანის ყმობისგან გათავისუფლების სიგელი გიორგი ბოჩოლაშვილისადმი (1820წ.); მოხსენებითი წიგნი ოსმალთა ციხე-სიმაგრის აღების შესახებ (1820 წ.) და სხვ.

ეს მცირედი ჩამონათვალია მუზეუმში დაცული ისტორიული დოკუმენტებისა, რომლის აღწერილობაც მართლაც საშური საქმეა შემდგომი სამეცნიერო კვლევებისთვის.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა ამ უმნიშვნელოვანესი ხელნაწერების აღწერილობის წიგნად გამოცემა და მათი დიგიტალიზაცია. 2016 წლის აპრილში გამოიცა „ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის“ პირველი ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილია XII-XIX საუკუნის სახარებები, სასულიერო კრებულები, სიგელ-გუჯრები, ეპიკური თხზულებები, სამართლის წიგნები, კარაბადინები, გენეალოგიები, გაყრისა და მზითვის წიგნები, წერილები, „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციები.

მკვლევრებისათვის უალრესად მნიშვნელოვანია ლიტერატურის მუზეუმში დაცული XIX საუკუნის მწერალთა და მოღვაწეთა პირადი არქივები თუ ცალკეული ხელნაწერები. შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით მართლაც უნიკალური და უმდიდრესი მემკვიდრეობა გაგვაჩნია და აუცილებელია, რომ მათ შესახებ საზოგადოება დეტალურად იყოს ინფორმირებული.

შესაბამისად, ხელნაწერთა აღწერილობის მეორე და მესამე წიგნში წარმოდგენილი იქნება XIX საუკუნის მასალა. კერძოდ, მეორე წიგნში შევა აღწერილობა მწერალთა და მოღვაწეთა პირადი არქივებისა თუ სხვადასხვა ხელნაწერისა: მარიამ დედოფლის, თეკლა ბატონიშვილისა და მისი ოჯახის, ალექსანდრე, ვახტანგ, გრიგოლ, ზაქარია და ილია ორბელიანების, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, დავით და ნიკო დადიანების, ეკატერინე ჭავჭავაძის, რევაზ, გიორგი, დავით და რევაზ შალვას ძე ერისთავების, დავით ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანისა და მისი ოჯახის, ნიკოლოზ ერისთავის, გრიგოლ რჩეულიშვილის, დანიელ ჭონქაძის, რუსეთის იმპერატორის კარზე მყოფი ქართველების, ბარონ ნიკოლაის, ასტა-

ფიევის, უსპენსკის; მესამე ნიგნში გათვალისწინებულია ილია ქავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, თედო, ნიკო და ალექსანდრე რაზიკაშვილების, გიორგი და ანასტასია წერეთლების, სერგეი, კოტე და კეკე მესხების, იაკობ გოგებაშვილის, ივანე კერესელიძის, ივანე მაჩაბლისა და მისი ოჯახის, რაფიელ ერისთავის, დავით სარაჯიშვილის, ალექსანდრე ფრონელის, ავქსენტი და ალექსანდრე ცაგარლების, ანტონ ფურცელაძის, მარჯორი და ოლივერ უორდროპების, ალექსანდრ დიუმას, არტურ ლაისტის საარქივო მასალების აღწერა.

უკვე მზადაა გამოსაცემად ხელნაწერთა აღწერილობის მეორე ნიგნი, რომელზე მუშაობამაც ბევრი სიახლე წარმოაჩინა, მათ შორის უცნობი მხატვრული ტექსტები, რომლებიც მწერალთა მეცნიერულად მომზადებული ტექსტების გამოცემათა მიღმა დარჩა; ასევე ვარიანტები და რედაქციები, რომლებიც ტექსტოლოგიური კვლევებისთვის უალრესად საჭირო მასალას წარმოადგენს.

რაც შეეხება მესამე ნიგნს, რომელშიც გაერთიანდება მწერლების არქივების აღწერილობები, მომავალი წლის აპრილში გამოიცემა და, როგორც უკვე გამოკვეთა, არანაკლებ საინტერესო მასალებით გააწვდივრებს ქართული (და არა მხოლოდ ქართული) ლიტერატურის მოყვარულთ.


ყველაფერი ეს კი ხელმისაწვდომი გახდება ფართო საზოგადოებისთვის როგორც ნიგნის მეშვეობით, ისე დიგიტალიზებული ფორმით.

ამ უმდიდრესი მასალის დიგიტალიზაცია კიდევ ერთ პრობლემას მოხსნის — შესაძლებელი იქნება, რომ მკვლევარმა უშუალოდ ორიგინალ ხელნაწერზე (თუკი ამის აუცილებლობას კვლევის ტიპი არ მოითხოვს) არ იმუშავოს, რაც ხელს შეუწყობს ხელნაწერთა დაცულობას. ხშირია შემთხვევა, როდესაც ხელნაწერი დაზიანებულია სიძველისგან და მისი გამოყენება, მით უმეტეს ხშირად, მიზანშეწონილი არაა.

საზოგადოდ, მეცნიერ-მკვლევრებს, პედაგოგებს, სტუდენტებსა და ამ თემით დაინტერესებულ უცხოელ მეცნიერებს, რომელთათვის საქართველოში დამზადებული ბეჭდური პროდუქცია უმეტესად ხელმიუწვდომელია, შესაძლებლობა ექნებათ, ნებისმიერ დროსა და გარემოში გამოიყენონ ლიტერატურის მუზეუმის უალრესად საინტერესო და სწავლება-კვლევისთვის აუცილებელი მასალები.

თარგმანი

იოანის ბულისი, საბერძნეთი, ათენი



ეპუთონის თუ არა საქართველო ევროპას

ის, რასაც დღეს იტალიად მოვიხსენიებთ, რამდენიმე საუკუნის წინ პატარა სახელმწიფოების მოზაიკას წარმოადგენდა, რომლებიც მე-19 საუკუნეში გაერთიანდნენ და იტალიის სახელმწიფო ჩამოაყალიბას.

იტალიას აქვს ბერძნული (ანტიკური და შუა საუკუნეების) წარსული, რომლის უდიდესი ნაწილი შექმნა კორინთომ (Κόρινθος), ხალკიდამ (Χαλκίδα) და სხვა ბერძნულმა ქალაქებმა კოლონიზაციისა და ცივილიზაციის გავრცელების გზით.

განსაკუთრებით ძლიერი იყო ბერძნული გავლენა იტალიის სამხრეთში, როგორც ანტიკურ, ასევე ბიზანტიურ ეპოქაში. ბერძნების დაარსებულია ნეაპოლი (Νεάπολις, დღევანდელი იტალიური Napoli), კატანი (Κατάνη, დღევანდელი იტალიური Catania), აკრაგანტა (Ακράγαντας, დღევანდელი Agrigento), გელა (Γέλα, დღევანდელი Gela), ელეა (Ελέα, Velia=Elea), მესინი (Μεσσίνη, იტალიური Messina), სირაკუზა (Συρακούσες, Siracusa), რეგიო (Reggio), ტარანტო (Τάραντο), კაპრეა=კაპრო (Καπρέα=Κάπρος, Capri), მეტაპონტიო (Metaponto), კროტონი (Crotone) და სხვა ქალაქები. ამავე დროს, უდავოა ბერძნული გავლენა იტალიის დანარჩენ რეგიონებზეც ყველა ეპოქაში.

როდესაც იტალიისკენ იონიის (Ιόνιο) ზღვით მივემართებით, ადრიატიკის ზღვაში შესვლისას გვხვდება ტრემიტის (Διομήδειε νήσι, დღევანდელი იტალიური ისოლე დი თრემიტი), ანუ ძველი ბერძენი გმირის, დიომედეს (Διομήδης) კუნძულები. ჩრდილოეთით მდებარეობს კორინთოელთა მიერ დაარსებული სირაკუზას კოლონია, ძველბერძნული ადრია (Αδρία, დღევანდელი Adria), რომლისგანაც მიიღო სახელი ადრიატიკის ზღვამ (Adriatico).

ბერძნებმა იტალიაში თავიანთი ცივილიზაცია შეიტანეს, რომლის ერთ-ერთ ელემენტს ვაზის კულტურა და ღვინის წარმოება წარმოადგენდა. ორივე მათგანი ქრისტეშობამდე 6 ათასი წლის წინათ საქართველოში დაიბადა, გავრცელდა საბერძნეთში და მიაღწია იტალიამდე, როგორც „ვინო“ (vino).

ძველი ბერძნების მეშვეობით იგივე გზა გაიარა იტალიამდე მეტალურგიულმა ხელოვნებამ, რომელმაც ასევე საქართველოდან ჩააღწია საბერძნეთამდე. ჰეფესტოსმა (Ηφαιστος) თავისი მეტალურგიული და მექანიკური ხელოვნება დაამუშავა საქართველოში (სადაც შექმნა პრომეთეს ჯაჭვი და აიეტის სასახლე (Προμηθέας — Αιήτης)), საბერძნეთსა და იტალიაში.

აპოლონიოს როდოსელის (Απολλώνιος Ρόδιος) მიხედვით, არგონავტებმა (Αργοναύτες), საქართველოდან გამგზავრების შემდეგ, დიდი წრე დაარტყეს და იტალიის ნაპირებს მიაღწიეს.

იტალიელთა მითიური გმირი, ლათინოსი (Λατίνος), ერთ-ერთი ვერსიით, ბერძნულ-ქართული წარმოშობის იყო: ოდისევსისა (Οδυσσεύς) და კირკეს შვილი, აიეტის ძმიშვილი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ უძველესმა ევროპელებმა, ანუ დმანისის ადამიანის შთამომავალმა ქართველებმა, იტალიას მიაღწიეს პეტრალონას (Πετράλωνα Χαλκιδική) ადამიანის შთამომავალ ბერძნებთან ერთად.

ქართულმა ცივილიზაციამ ბერძნულთან ერთად მსოფლიო შემოიარა.

ჰერაკლემ (Ηρακλής) იმოგზაურა საქართველოსა და იტალიაში, სადაც დააარსა ქალაქი ჰერაკლიონი (Ηράκλειον), დღევანდელი პომპეი (Pompei) და ჰერაკლეს ნავსადგური, დღევანდელი ლივორნო (Livorno).

პიზადან (Pisa) რომისკენ (Roma) მიმავალ გზაზე, ორბეტელოს (Orbetello) ახლოს მდებარეობს ტალამონე (Talamone), ანუ ძველბერძნული ტელამონი (Τελαμών). ეს ქალაქი არგონავტმა ტელამონმა (Τελαμών) დააფუძნა.

რომიც (Roma) თავიდან ბერძნული ქალაქი იყო. მისი დაარსება ევანდროს პალანდიონელს (Εὐάνδριος — Παλλάντιον) უკავშირდება. ეს ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში მოხდა. ამიტომაც ქალაქის ცენტრალურ გორაკს პალატინო (Palatino) ეწოდება.

რომის აღმოსავლეთით მდებარე ტივოლიც (Tivoli) ბერძნების ქმნილებაა.

ჩრდილოეთით, პესკარასთან (Pescara) მდებარე კიეტი (Chieti) ძველბერძნული ტეანონია (Τέανον=Τεανόν), რომელიც, სავარაუდოდ, აქილევსის (Αχιλλέας) მიერ არის აგებული.

ფოჯას (Foggia) ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სიპონტო (Siponto) ბერძნული სიპუნდა (Σιπούντα), რომელიც დიომედემ დააარსა. მის სახელს უკავშირდება კანისიონიც (Κανούσιον=Κανύσιον), დღევანდელი კანოსა (ჩანოსა).

უძველეს დროში ცენტრალურ იტალიაში ეტრუსკები ცხოვრობდნენ. მათ ბელადს, ტირენოსს (Τυρρηνός) ძველი ბერძნები ჰერაკლეს ვაჟად მიიჩნევდნენ. ამ ხალხმა მჭიდრო კულტურული ურთიერთობა დაამყარა კორინთოსთან (კორინთო მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა დიდი რეგიონისთვის დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან საქართველომდე). უფრო კონკრეტულად, ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნეში კორინთოელი ვაჭარი დემარატოსი (Δημάρατος) სხვა კორინთოელებთან ერთად წავიდა და დაფუძნდა ეტრურიაში. მისი ვაჟი ლუკუმონი რომის მეფე გახდა. დემარატოსმა თან წაიყვანა კორინთოელი მეცნიერები და ხელოვანნი ეტრურიაში (=ეტრუსკების რეგიონი), რომელთა მეშვეობითაც განვითარდა ადგილობრივი ცივილიზაცია. იგივე განმეორდა ათასი წლის შემდეგაც, როდესაც იტალიაში ჩასულმა ბიზანტიელმა ბერძნებმა ცივილიზაციის ნაპერწკალი გააღვივეს იტალიელებში. ასე დაიწყო რენესანსის ეპოქა, რომელსაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ბერძენი ფილოსოფოსების მიერ იტალიაში დაარსებულმა პირველმა აკადემიამ.

იტალიელთა დამწერლობაც ბერძნულს უკავშირდება. ხალკიდასა და კიმის (Κύμη) ანბანი ძველმა რომაელებმა აითვისეს, დაარქვეს

„ლათინური“ და დღეს მას ევროპელების უმრავლესობა და ამერიკელები იყენებენ. კიდევ ერთი სახის ბერძნული (კირილიკო) დამწერლობა იმეზმა, კირილემ (Κύριλλος) და მეთოდოსმა (Μεθόδιος), გარდაქმნეს სლავურ სტილზე, რომელსაც დღემდე იყენებენ სლავები.

ბიზანტიელმა ბერძნებმა, რომელთა ტრადიციული მოკავშირეები იყვნენ ქართველები, გადაარჩინეს იტალია სარაცინებისგან და სხვა მტრებისგან. მაგალითად, **გრიგორი ტარხანოტისმა (თარხნიშვილი) (Γρηγόριος Ταρχανώτης)**, როგორც იტალიის ბიზანტიელმა მმართველმა, იხსნა ქალაქი ბარი (Bari) 1002—1003 წლებში. ბარში ბერძნული კვალის გამოძახილია ამ ქალაქში ამჟამად არსებული ბერძნულ—იტალიური კულტურული ასოციაცია „პითაგორა“ (Associazione Culturale Italo-ellenica di Bari «Pitagora»).

ტარხანოტისები (თარხნიშვილები) წარმოადგენდნენ ბიზანტიაში განთქმულ ქართულ ოჯახს. მათ ბერძნებთან მჭიდრო კავშირები დაამყარეს, გაბერდნენ და, მოგვიანებით იტალიაში გადავიდნენ, სადაც ცნობილი გახდნენ, როგორც დიდი მოაზროვნეები.

ანალოგიურად, ფართოდ ცნობილი ბიზანტიური ოჯახი, გვარად „იატრუ“ (ιατρού) ან „იატრაკოს“ (ιατράκος) (ფუძე: იატროს = ექიმი), გადავიდა იტალიაში, სადაც მათი გვარი იტალიურად ითარგმნა და ასე წარმოიშვა ცნობილი **მედიჩების (Medici)** (ძირი: medico = ექიმი) **საგვარეულო**. მედიჩები ცენტრალურ იტალიაში XIV-XVIII საუკუნეებში ცხოვრობდნენ ქალაქებში: ფლორენცია (Firenze), რომი, ბოლონია (ძველბერძნული აპოლონია, აპოლონის ქალაქი, დღევანდელი ბოლონია (Βολογνα)). თარხნიშვილების (იტალიურად Tarcaniota – Tracanioto – Tarcagnota) მათ გვერდით ცხოვრობდნენ და მედიჩებისგან ხშირად იღებდნენ დახმარებას. საერთოდ, თარხნიშვილები მიდიოდნენ იქ, სადაც ბერძნები ცხოვრობდნენ: ნაპოლში, ფლორენციაში, ანკონაში (Αγκών, დღევანდელი Ancona), ბოლონიაში, პადოვასა (Padova) და რომში.

რავენა (Ravenna) ძველბერძნული რინი (Ρήνη) არის. მოგვიანებით ის ეტრუსკების ქალაქი გახდა. ბიზანტიურ ეპოქაში წარმოადგენდა „რავენას მმართველობის“ (Εξαρχάτο της Ραβέννας) ცენტრს, რომელიც ბერძნების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ბიზანტიური კვალი კარგად ჩანს ქალაქის იტალიურ ტაძრებში, რომლებიც ბერძნული მოზაიკით არის მორთული.

რიმინი (Rimini) წმინდა ადგილს წარმოადგენს. დიოსკურების (Διόσκουροι) ძველი ტაძრის ადგილას დღეს დგას წმინდა ფრანჩესკოს (San Francesco) საკათედრო ტაძარი. 1465 წლიდან იქ განისვენებს პლითოს გემისტოსის (Γεώργιος Γεμιστός Πλήθων) წმინდა ნაწილები, რომლებიც სპარტის (Σπάρτη) რაიონიდან გადაიტანეს. 1944 წლის 21 სექტემბერს ბერძნებმა ქალაქი გერმანელი ფაშისტებისგან გაათავისუფლეს და იქ ბერძნული დროშა აღმართეს. რიმინის ჩაბარების ოქმი სამ ენაზე - ბერძნულად, იტალიურად და ინგლისურად იქნა შედგენილი.

პიზა (Pisa), რომელიც დღეს თავისი დახრილი კოშკით არის ცნობილი, ბერძნულ კოლონიას წარმოადგენდა. მისი მიტროპოლისია ქ. პისა (Πίσα), რომელიც ძველ ოლიმპიასთან (Ολυμπία) ახლოს მდებარეობს.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში რომთან ახლოს იცხოვრა გმირმა მეცნიერმა და საეკლესიო მოღვაწემ, **მიხეილ თამარაშვილმა**, **წარმოშობით ახალციხიდან**, რომელმაც ახალგაზრდა კაცის გადარჩენას საკუთარი სიცოცხლე შეწირა.

საცხოვრებელი კოშკების არსებობაც ამ სამი ქვეყნის საერთო კავშირს გამოხატავს. საცხოვრებელი კოშკები არსებობს როგორც საქართველოში, კერძოდ, სვანეთში, ასევე საბერძნეთში, კერძოდ, მანის რაიონში (Μάνη) და იტალიის სხვადასხვა მხარეში, როგორცაა სან ჯემინიანო (San Geminiano), სიენასთან (Siena).

ჩვენს ეპოქაში ქართველი ემიგრანტების უდიდესი ნაწილი ცხოვრობს საბერძნეთსა და იტალიაში. მათი უმრავლესობა თესსალონიკსა და ათენშია დასახლებული, ხოლო იტალიაში, ქალაქი ბარი, ქართველი ემიგრანტების შეკრების ცენტრად არის ქცეული.

სამხრეთ იტალიის ზოგიერთ რაიონებში დღემდე ცხოვრობენ ბერძნულად მოსაუბრე ადამიანები, რომლებიც ძველი ბერძნების შთამომავლები არიან.


ანუ, იტალია, უძველესი დროიდან და ყველა ეპოქაში ბერძნებისთვის მშობლიურ გარემოს წარმოადგენდა, ისევე, როგორც ქართველებისთვის, რომლებმაც ყოველთვის იცოდნენ ბერძნებთან ერთად სიცოცხლე და სიკვდილი!

იტალიური გარემო ჰგავს ქართულს, რადგან კავკასიისა და ალპების მთები აკავებენ ჩრდილოეთის ცივ კლიმატს და უზრუნველყოფენ ბერძნულ ბუნებრივ გარემოს იტალიასა და საქართველოში.

ეკუთვნის თუ არა საქართველო და საბერძნეთი ევროპას? არა, სინამდვილეში ევროპა ეკუთვნის საქართველოსა და საბერძნეთს!

ეკუთვნის თუ არა იტალია ევროპას? იტალიას სხვა არჩევანი არ აქვს, რადგან მიჰყვება საბერძნეთისა და საქართველოს წმინდა ნაკვალევს!

ბერძნულიდან თარგმნა გიორგი ჯანელიძემ



კრიტიკა

ვახტანგ ინაური

ვაჟა ხორნაულის ლირიკა

ვაჟა ხორნაულს სტუდენტობის წლებიდან იცნობს ქართული ლიტერატურული საზოგადოება. მისი ლექსები იბეჭდებოდა ლიტერატურულ გამოცემებსა და პრესაში.

ვაჟა ხორნაულს თავისი გამოკვეთილი სტილი აქვს, თავისი პოეტური ხმა, თავისი დამოუკიდებელი ხედვა: მისი ლირიკა არა მარტო შინაგან განცდებს, ნაფიქრსა და ნააზრევს გამოხატავს, არამედ ცხოვრების რეალურ სინამდვილეს ასახავს. ლირიკული ტონით მოგვითხრობს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ და სულიერ პროცესებზე, წარმოაჩენს ერის ზნეობას, ადამიანთა ურთიერთობას, სიკეთის ქმნის ფაქტებს, ეროვნულ და პირადულ ტკივილს, რაც ბუნებრივად გათავისებული აქვს მას თავის პოეზიაში.

მდიდარია ვ. ხორნაულის შემოქმედების თემატიკა და პრობლემატიკა. იგი წერს ჩვენს წარსულზე, სიყვარულზე, სამშობლოზე, წუთისოფელზე, დედასა და დედაშვილობაზე, ყველაზე რთულ ფილოსოფიურ საკითხზე — სიცოცხლესა და სიკვდილზე. ეს თემა ორიგინალურად და განსხვავებულ სპექტრში აქვს პოეტს ასახული.

ამ პრობლემათა ასახვის სპეციფიკა ნათლად წარმოაჩენს ვაჟა ხორნაულის პოეტურ ნიჭს. მისი გარე სამყაროსადმი დაკვირვებისა და აღქმის უნარს. საგნებისა და მოვლენების შერჩევა, გააზრება და მათ ერთმანეთთან შეჯერება, ერთ ნათელ ჰარმონიას ქმნის, იგი პოეზიაში გამოვლენილი ესთეტი და ეთიკური ფენომენია, რომელიც თავის სათქმელს, თავის შინაგან მრწამსს ყოველგვარი პათეციზმისა და მაღალი ფრაზების გარეშე გამოხატავს. იგი არჩევს მშვიდ, უხმაურო ტონსა და თხრობის მსუბუქ მანერას. მისი ლექსი განტვირთულია მიძიმე სახეებისა და რთული ტროპული მეტყველებისაგან. ვაჟა ხორნაული წერს სადად. ცხოვრებისეული დეტალების მიღმა და თვით დეტალებში, ეძებს აზრს, ძალიან იოლად ნახულობს და სრული უშუალოებით გადმოსცემს მას.

ვაჟა ხორნაულის პოეტური სტრიქონების მიღმა ჩანს თავმდაბალი, ნიჭიერი და მტკიცე ნების ავტორი, რომელიც წერს არა მარტო გრძნობებისათვის, არამედ გულისა და გონებისთვის. მისი ლექ-

სი მკითხველს აცნობს ცხოვრებისეულ ფაქტებს, რომელსაც რიგითი კაცი, მოკვდავი, ხედავს, მაგრამ ვერ აღიქვამს, არ აქცევს ყურადღებას, პოეტი კი ხედავს მას თავისი პოეტური ფორმებით ასახავს, აჩვენებს მკითხველს სინამდვილეს, უკვე პოეტურად ფორმირებული სახით, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, უკეთ გაეცნოს და გაიზიაროს მისთვის მეტ-ნაკლებად შეუცნობელი რეალური სამყარო, მარტივ და ერთი შეხედვით, უბრალო და უმნიშვნელო მოვლენებში დაინახოს და შეიმეცნოს მნიშვნელოვანი, საინტერესო შინაარსი და ცხოვრებისეული ფილოსოფიური პრობლემები.

ვ. ხორნაულს უხვად აქვს ლირიკული სიუჟეტის თხრობის სი-დარბაისლე, დინჯი პოეტური აკადემიზმი, რითაც ის მკითხველს განაწყობს თავისი ლექსებისა და ავტორისადმი მეგობრული გრძნობით, აძლევს პოეტური კომუნიკაციის საშუალებას, ამ გზით მცირდება მანძილი პოეტსა და მკითხველს შორის მტკიცდება ურთიერთობა. ამ გზით მკითხველი ეზიარება ავტორის ჩანაფიქრსა და მისი მხატვრული წარმოსახვის საიდუმლოს, ამიტომაც, რომ უპრეტენზიო ვაჟა ხორნაულის პოეზიისადმი არავის არ აქვს პრეტენზია.

ჯერ კიდევ 15 წლის ვაჟა ხორნაულის პოეტური ნიჭი ბარისახოს სკოლა-ინტერნატში გიორგი ლეონიძემ აღნიშნა. ეს, ფაქტობრივად, დიდი პოეტის მიერ პატარა ვაჟას კურთხევა იყო ისე, როგორც ვაჟა-ფშაველამ ფაქტობრივად მონათლა გიორგი ლეონიძე.

ერთი საკითხია, რომ ვ. ხორნაულს დაბადებიდან დაჰყვა პოეტური ნიჭი და საღვთო მადლი, მაგრამ მეორე საკითხია ის გარემო, ის სამყარო, ის სოციალური, სადაც პოეტი იზრდება. ამ მხრივაც გაუმართლა ვ. ხორნაულს, რადგან იგი ფშავეში ვაჟა-ფშაველას მეზობლად დაიბადა და გაიზარდა. ფშავი კი (ცნობილი ფაქტია) ქართული ზეპირსიტყვიერების კლასიკური მხარეა. ამას ემატება საუნივერსიტეტო ფილოლოგიური განათლება, რამაც, რა თქმა უნდა, გაამდიდრა ახალგაზრდა პოეტის შინაგანი სამყარო და გონება. ამის შემდეგ საკვირველი აღარ არის, რომ იგი არ არის არც ხალხური ფშავეური ლექსის და არც ვაჟა-ფშაველას ლექსების გავლენის ქვეშ. ბუნებრივია, ვაჟამ შეითვისა ფშავეური პოეზია, ვაჟა-ფშაველას ლექსიც და კლასიკური სალექსო ფორმებიც, მაგრამ უკვე განათლებულ და ნიჭიერ პოეტს იოლად შეუძლია არ აღმოჩნდეს სხვისი ეპიგონის როლში და განავითაროს თავისი დამოუკიდებელი პოეტური მიმართულება და სალექსო ფორმები, რასაც ძალიან შეუნყო ხელი ვ. ხორნაულის შრომისმოყვარეობამ და ლექსის სიყვარულმა.

თემატიკის და პრობლემატიკის სიმდიდრე პოეტის ნიჭისა და განათლების მაჩვენებელია. ცოდნა ავსებს პოეტის წარმოსახვას და, პირიქით, პოეტური წარმოსახვა ცოდნას ამდიდრებს, ცოდნა განაპირობებს პრობლემატიკის სიღრმეს, ხოლო ნიჭი, პოეტური ხედვა საშუალებას აძლევს ავტორს ლამაზად და ნათლად მიიტანოს მკითხველამდე სათქმელი.

ვ. ხორნაული ყოველ თემას თავისი პოეტური სპექტრით ასახავს. საქართველოს წარსულის თემა, ერთობ პოპულარული და მრავალგზის ნამღერი თემა, მას პოეტურ-ფილოსოფიურ ასპექტში აქვს ასახული.

„ცა იმახსოვრებს შორეულ კოცონს
და გარდასული დღეების სევდას.
ვინც საქართველოს წარსულით ცოცხლობს,
ის საქართველოს მომავალს ხედავს“.

(„სვეტიცხოვლის ეზოში“)

ასე მოხდენილად და პოეტურად თქვა პოეტმა ლაიბნეცის თემა: „ანმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“.

რა თქმა უნდა, სხვაობა პოეტის ნათქვამსა და ფილოსოფოსის ნათქვამს შორის იქნება, მაგრამ აქ ჩანს ვაჟა ხორნაულის ინტელექტუალიზმიც და ლირიზმიც. ეს ორი მნიშვნელოვანი ფენომენი ერთმანეთს ერწყმის მის შემოქმედებაში.

ვ. ხორნაულმა თავის პოეზიაში უკვდავყო დედის სახე. დედას უდიდესი ადგილი უკავია მის ლექსებში, ძნელია, უფრო მეტი სიტბოს, სიყვარულისა და პატივისცემის პრეცედენტის მოძებნა მწერლობაში, ვიდრე ეს აქვს ვაჟა ხორნაულს.

„დედის მანდილში აპრილი გალობს
ვით დაფიონი ფხოვეთის მთებში,
თუ უკვდავების ვიპოვე წყარო,
პირველად დედას მივუტან პეშვით“.

ეს არის დედის მარადიული სიცოცხლის სურვილი და მისადმი განუზომელი სიყვარული.

შიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, ეს ყველაზე რთული და მწვავე პრობლემა, ძალიან საინტერესოდ არის ასახული ვ. ხორნაულის პოეზიაში. ერთნაირი შეხედულება სიკვდილზე არც ძველ ქართულ კლასიკურ პოეზიაში გვხვდება, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ სიკვდილი დაუძლეველი ძალაა, მას ვერავინ და ვერაფერი

შეაჩერებს: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვინრო ვერცა კლდოვანი, მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალგულოვანი“.

ამავე დროს სიკვდილს სხვა ფუნქციაც გააჩნია, რომელიც ადამიანის გმირულ სახელოვან აღსასრულს უკავშირდება. ეს არის გზა, რომელიც გამოიყვანს კაცს აუგიანი და სამარცხვინო ცხოვრების გადაულახავი ლაბირინთებიდან:

„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

დავით გურამიშვილს „დავითიანში“ სიკვდილი „მჭლე კაცად“ ანუ დაუნდობელ და ბოროტ კაცად გაიაზრება, რომელიც ცელს აქნევს და პოეტი კი საყვედურით კითხულობს: „ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს“.

განსხვავებული ხედვა აქვს სიკვდილზე ვაჟა-ფშაველას: „სიკვდილი ყველას გვაშინებს, სხვას რომ კვლენ ცქერა გვნადია“, ეს ჩვეულებრივი, ადამიანური ხედვაა სიკვდილისა. მეორე მხრივ, „სიკვდილი თითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა“. აქ კაცის მტრის მოკვლაზეა ლაპარაკი და არა თავისთავად სიკვდილზე. მაგრამ: „შენ გაგიმარჯოს სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა“, - ეს აზრი მთიელთა აზროვნების ამოსავალია.

ასევე მთიელთა შეხედულებაა გამოვლენილი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში „ადამიანთა სევდა“. სიკვდილის ადამიანად წარმოჩენის წარმატებული ცდაა, სიკვდილი ეუბნება ხალხს: „მე არავის ვკლავ, ყველა თითონ იკლავს თავის თავს“. ის მხოლოდ მიაცილებს ხალხს უფლისკენ. გ. ჩოხელი იძლევა სიკვდილის, როგორც პროცესის ფილოსოფიურ გააზრებას, მისი რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის რწმენით: „სიკვდილი დარდია, ადამიანად არყოფნის დარდი“. ასევეა სიცოცხლე: „სიცოცხლეც დარდია, ადამიანად ყოფნის დარდი“ (ჩოხელი).

უფრო ადამიანური და მამაცურია დიტო ზარბიძის ლირიკული გმირის დამოკიდებულება სიკვდილისადმი. მას იგი ღირსეულ მოწინააღმდეგედ მიაჩნია.

„იქნებ სიკვდილი არც კი მთვლის კაცად,
წავალ და თვითონ გავეზრასები“.

ვაჟა ხორნაულის პოეზიაში კონცენტრირებულია როგორც კლასიკური პოეზიის, ისე მთისა და თანამედროვე მწერლის სიკვდილის მხატვრული ხედვა. თემას ეძღვნება ლექსები - „ორი სანთელი ავანთე“, „ბრძენკაცთა მოწონებულო“, „სიკვდილ-სიცოცხლე-სიყვარული“ „ერთხელ შენც გნახე სიკვდილო“ და სხვა.

ამ ლექსებში სიკვდილის არსებობის აუცილებლობის საკითხი დგას, ამავე დროს მასში მოიაზრება არა ბოროტი და მკვლელი, არამედ მისი, როგორც სიცოცხლის ძალის მიმცემი ფილოსოფიური ფენომენი. სიკვდილს თავისი პრეტენზია აქვს ადამიანებისადმი. მას არ მოსწონს, რომ მიწაზე მტრები ჰყავს. იგი ღმერთის წიალიდან გამოსულად თვლის თავს და, პირიქით, ადამიანები უსამართლოები არიან მასთან მიმართებით.

„ღმერთის კალთიდან გადმოსულს
რად მომიმრავლდა მტრებო
ბრძენკაცთა მოწონებული
ჯგორის სათრევი ვხდებო“.

სიკვდილს მიაჩნია, რომ ადამიანი თავად ილუპავს თავს და ბოლოს კი მას სდებენ ბრალს. მას სიცოცხლე უხარია, საფლავი კი კოშმარია მისთვის.

„თავს რომ ილუპავ, ბეჩავო,
მე რაღას მემართლებო“!!
მახარებს ყველა აკვანი,
ყველა საფლავთან ვკვდებო“.

ფაქტობრივად, სიკვდილი კი არ კლავს ადამიანს, არამედ იგი თავად ილუპავს თავს, სიკვდილი არ მიდის ცოცხალ კაცთან მოსაკლავად. იგი გარდაცვლილის სულს შველის.

ვ. ხორნაულის პოეზიაში სიკვდილი და სიცოცხლე მეტაფორულად ორ სანთელს შეესიტყვება, რომლებიც ერთად ანთია ტაძარში. ერთ-ერთის ჩაქრობა მეორის ჩაქრობასაც ნიშნავს, ამიტომ ორივე უნდა ენთოს მარადიულად.

კაცის სახით გვხვდება სიკვდილი ლექსში „ერთხელ შენც გნახე სიკვდილო“, რომელშიც მისი ადამიანური თვისებები ვლინდება, მას ჩვეულებრივ ჩასძინებია მთაზე და თანაც ტანზე მზე ეფინა, რაც იმაზე მიგვანიშნებს რომ მასში სატანური სანყისი კი არ არის, არამედ იგი უფლისმიერი არსებაა და უფლის ნათლით არის გარემოსილი.

„ერთხელ შენც გნახე, სიკვდილო,
ჩაგძინებოდა მთაზედა,
ვიფიქრე გავუსწორდები,
ხელიც გავიკარ ხმალზედა,
მაგრამ ვერ გადაუქნიე,
მზე დაგფენოდა ტანზედა,

დავიხარე და გაკოცე
ნამმოკიდებულ თმაზედა“.

ვ. ხორნაულის ლირიკულმა გმირმა „ადამიანის სევდის“ პერსონაჟის, ჯღუნასავით კი არ განგმირა კაცის სახით გამოცხადებული სიკვდილი, არამედ თმაზე აკოცა.

მრავალფეროვანია ვაჟა ხორნაულის ლექსნყოფა ბოლო წიგნებში კი ძირითადად სამტაეპიანი ლექსები ჭარბობს. ამ სალექსო ფორმის უპირატესობა ის არის, რომ პოეტს შეუძლია ერთი დამოუკიდებელი აზრი გამოხატოს, არ დაელოდოს იგი მეორე, მესამე და ა.შ. აზრებს და ცალ-ცალკე გადაიტანოს ფურცელზე ერთი პოეტური ნააზრევი.

კრიტიკოსებს ჯერ სახელი არ დაურქმევიათ ამ სამსტრიქონიანი ლექსის ფორმისთვის. მინიმალისტური პოეზია ლექსის ფორმა არ არის, ის მცირე მოცულობის პოეზიაა, რომელშიც შეიძლება ჰაიკუც მოიაზრებოდეს, რომანებშიც და შაირებშიც. სამსტრიქონიან ლექსს გალაკტიონ ტაბიძე თავის პროზაულ ნაშრომში „საუბარი ლირიკის შესახებ“ „სამაიანას“ უწოდებს. რომლის ნიმუშში უხვად გვხვდება ზეპირსიტყვიერებაშიც და ეპიტაპიურ პოეზიაში, ფოლკლორში სიმღერა სამაიას ტექსტია ამის დასტური, ხოლო ეპიტაპიურ პოეზიაში ლენჯერის სავანეში ბორენის წარწერა.

ამდენად, ვ. ხორნაულის სამსტრიქონიანი ლექსის ფორმას შეგვიძლია ვუწოდოთ „სამაიანა“, რაც იმას მოწმობს, რომ პოეტმა გააცოცხლა ძველი ფოლკლორული და ეპიტაპიური სალექსო ფორმა.

„სამყარო – სიყვარულის სავანე“

„სამყარო არ დაბადებულა ერთხელ და სამუდამოდ, იგი მარადიულად იბადება...“ - ამბობს გოდერძი ჩოხელი „უმისამართო წერილში“. მართლაც, სამყარო ყოველ ჯერზე ხელახლა იბადება, როცა კი ღვთიური ნიჭით ცხებულები ადამიანი სიტყვათა ქაოსიდან ქმნის ჰარმონიას. ქართველმა ოდითგანვე კარგად იცოდა ამ ნიჭის ფასი და გემო. ამიტომ გაუტოლა ნიჭიერი ადამიანი უფალს და ორივეს „შემოქმედი“ უწოდა. და ქმნიან ადამიანები, დღე და ღამ ებრძვიან ქართულ სიტყვას, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „როგორც კოჭლი იაკობი ებრაელთა მრისხანე ღმერთს“.

დროთა ცვალებამ ბევრი ვერაფერი დააკლო ან შემატა ადამიანის სათქმელსა და საფიქრალს. სხვადასხვა ეპოქის განსხვავებული გემოვნების გამო დროის ყალიბში ჩამოიხსნა მწერლის ნააზრევი. სიკეთე და ბოროტება, სიყვარული და სიძულვილი, ღალატი და ერთგულება, სიკვდილი და სიცოცხლე, მარტოობის სევდა და გამარჯვების სიხარული ზუსტად ისევე აღარდებს თანამედროვე მსოფლიოში მოხეტიალე გლობალურად მოაზროვნე ადამიანს, როგორც მაშინ, როდესაც... „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა“ (სახარება იოანესი, თავი პირველი, 1).

ვაჟა ხორნაულის კალმით ნაგები სამყაროც პატარა კრებულში „სამყარო - სიყვარულის სავანე“ სიტყვის ძალას ეფუძნება — როგორც თვითონ ამბობს, „სიყვარულის სიტყვას“:

„ოდესღაც სიყვარულის სიტყვამ

ფრთები გამოიხსნა

და ცაში აიჭრა - ასე დაიბადა ფრინველი“.

ჩვენს პრაგმატულ ეპოქაში ცალ-ცალკე „სიყვარულს“ თავისი მნიშვნელობა აქვს და „სიტყვას“ თავისი, ერთად, შესაძლოა, ბოლომდე ვერც კი მიხვდეს მკითხველი მათ შინაარსს, ან ძალიან პირდაპირ ამოიკითხოს მათი მნიშვნელობა. ალბათ, სწორედ ამიტომ მიიჩნევს ავტორი საჭიროდ განმარტოს:

**„ღმერთის
გულში ამოვლებული
მარგალიტებია
სიყვარულის სიციყეები“.**

გრძელდება ვაჟა ხორნაულის სამყაროს შექმნის პროცესი მკითხველის თვალწინ. ადამიანი, რომელიც ძველი აღთქმის მიხედვით: „გამოსახა უფალმა ღმერთმა მინის მტვერისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა“ (დაბადება, თავი მეორე, 7), კაცად ყოფნის უმთავრეს მადლს უნდა ზიარებულიყო და ეს, მწერლის გადწყვეტილებით, ღმერთისგან განდობილი პირველი გაკვეთილია — კვლავ სიყვარულის გაკვეთილი:

**„და ღმერთმა ადამიანს
ჩაუტარა სიყვარულის
პირველი გაკვეთილი —
წყაროსთან მიიყვანა**

ყვავილი და ფუტკარი გააცნო“. ყვავილსა და ფუტკარს მიანდო ვაჟა ხორნაულმა სიყვარულის შხამისა და სიტკბოს, წვისა და დაგვის, ერთგულებისა და თავგანწირვის გამოხატვა, ახსნა სადად და მარტივად. ისწავლა პირველმა ადამიანმა პირველი გაკვეთილი და:

„ღმერთმა ერთმანეთთან მიიყვანა

**ქალი და კაცი
და სითბო უსახსოვრა
და მაშინ დაიბადა**

სიტყვა „სიყვარული“. ეს სწორედ ის ქალია, ძველი აღთქმის მიხედვით: „ნეკნისაგან, ადამს რომ გამოუღო, დედაკაცი შექმნა უფალმა ღმერთმა და ადამს მიუყვანა“ (დაბადება, თავი მეორე, 22), ხოლო ვაჟა ხორნაულის მიხედვით ვარსკვლავების დაშორების მიზეზი გახდა:

**„როდესაც პირველი ქალი
გამოჩნდა ქვეყანაზე -
ვარსკვლავებმა მიიწ-მოიწიეს
და მას შემდეგ
სულ ასე არიან“.**

შეხვედნენ ერთმანეთს ქალი და კაცი, იპოვეს ერთმანეთისთვის შექმნილებმა: „ამიტომაც მიატოვებს კაცი დედ-მამას და მიეწებება თავის დედაკაცს, რათა ერთხორცად იქცნენ“ (დაბადება, თავი მეორე, 24). ვაჟა ხორნაულის პოეზიაში ეს შეხვედრა, წამიე-

რად და ულამაზესად მონათლული, ტალღის კენწეროზე პირველად
შეხვედრილ მზერასთანაა შედარებული, ერთხორცად ქცევის დიდ-
ბულება კი სულ რამდენიმე სიტყვაში ჩატყული:

**„და შეხვდნენ ერთმანეთს,
ხმამ ხმა შეიფარა
დუმილმა-დუმილი“.**

დატრიალდა სამყაროში სიყვარულის სურნელი, ნისლი გადაყარა,
ამომავალი მზის სიამე აგრძნობინა ადამიანებს, ქალის ირგვლივ
დატრიალდა დედამინა და გაჩნდა პირველი სევდა, პირველი ეჭვი,
პირველი იმედგაცრუება... ეტკინა ქალს და მწერალმა მიტოვებული
ქალის გული ქვას კია არა, დარდისგან დაპატარავებულ პატარა
ყვავილს შეადარა. გაუკვირდა კაცს, მაგრამ კითხვისა და ძახილის
ნიშნის ნაცვლად ქალს მაინც მრავალწერტილი დაუსვა...

**„ზოგჯერ ქალიც ისეა -
ყვავილოვან ბალახში
რომ დაეძებ რალაცას
და მოულოდნელად**

შუშის ნატყხს შეაჭრი ხელს“. ასეთი ქალიც იხილა და ისეთსაც
გადაეყარა, ბევრი ამოხსნა რომ არ სჭირდებოდა და მის გასახარად
სრულიად საკმარისი იყო „ერთი თაიგული, ერთი გაღიმება, ან ერთი
ლექსი თუნდაც სულელური“. ატარა ვაჟა ხორნაულმა ქალი იდუმა-
ლი, ხან სევდიანი, ხანაც სულელი, ვიდრე... ვიდრე მის პოეტურ სა-
მყაროში არ გაჩნდა დედა:

**„ქალი მანამდეა სულელი,
ვიდრე დედა გახდება“.**

განათდა და გაკეთილმობილდა სამყარო. ვაჟა ხორნაულის სა-
მყარო გაივსო დედობის მაღლით, ჰაერი გავჯერდა დედობრივი სიყ-
ვარულით:

**„დედამ
შვილის პერანგი დაბერტყა
და წამით
გაიბრწყინეს წვეთებმა -
თითქოს ჰაერმა გაიციინაო“.**

დედის წინაშე დამარცხდა ბოროტი, დედა ვერ იძლია შურისგან,
დედა ვერ დაამარცხა თვით სიკვდილმაც კი. პირიქით, დედამ გა-
დალახა სიკვდილ-სიცოცხლის გამყოფი ზღვარი, იქცა მარადიულო-

ბის ბინადრად, გადალახა დროის საზღვარიც და იქცა უსასრულობად:

**„შვილის დაბადების დღე -
დედის სამარეზე
ყვავილებმა ფერი იცვალეს“.**

დატრიალდა დრო. პოეტის სამყაროს ბზარები დააჩნდა. არ მოასვენა კაცთა მოდგმა ბოროტმა: „უთხრა კაენმა თავის ძმას, აბელს: გავიდეთ ველად. და როცა ველად იყვნენ, დაეცა კაენი აბელს და მოკლა“ (დაბადება, თავი მეოთხე, 8). ვაჟა ხორნაულის სამყაროს თვალი სახლია, სახლი, ანუ ოჯახი, რომელიც დედაშვილობისა და და-ძმობის მაღლზე დგას. შეირყა სახლის სიმტკიცე, როდესაც:

**„ძმამ დანა მოუღერა ძმას
და სიჩუმე გაიბზარა
დედის სამარეში...“**

ვაჟა ხორნაულის პოეტურ სამყაროში სწორედ პირველმა მკვლევლობამ განაცდევინა ადამიანს დროის შეგრძნება, დააბერა ის და როგორც ავტორი ამბობს, სიკვდილსა და სიცოცხლეს ერთდროულად გაუჩინა პირველი ჭაღარა. იმძლავრა ადამიანებში შურმა და იკლო სიყვარულმა. იმატა სევდამ და იგემა ადამიანმა მარტოობა.

**„შურმა დაანგრია
ღვთისგან ნაბოძები
ტაძარი „ჩვენ“ და**

დარჩა ნაფოტები „მე“, „შენ“ და „ის“.

დაცარიელდა სახლი და აცივდა სივრცეში. აცივდა მარტოდ დარჩენილი ადამიანის სულში. სახლებიდან გამოსულ ადამიანებში გაიშვიათდა ნათელი სახე. სახლს მოსწყდა ადამიანი, როგორც ცრემლი. ცრემლი, რომელიც არასოდეს ბრუნდება უკან. გაჩნდა ნასახლარები. ნასახლარებმა გააჩინა ნასოფლარები:

**„გაუჩინარდება ჯერ შენი
გაცრეცილი სახლი,
მერე - მთებიდან ერთად სოფელიც,
თვითონაც გაუჩინარდება
ვარსკვლავთა შორის...“**

სოფელი გაქრა, იქცა ნასოფლარად. ბილიკი ბილიკს დაშორდა, ვერც ხმა მიანწვდინეს ერთმანეთს და ვერც დუმილი, ნასოფლარად ქცეული სოფლები ცასაც ასტკივდა და დედამინასაც. სამაგიეროდ, დათითოკაცებული ადამიანები, რომლებიც ჯერ ქოხში ცხოვრობდ-

ნენ, შემდეგ სახლში, სახლიდან გამოემწყვდივნენ მალალ ცათამბჯენებში. იმ ცათამბჯენებში, რომლის რომელიღაც სართულზე ესიზმრებოდათ ქოხი და ნაკადული, საბოლოოდ კი სიცარიელები გამოკიდებულები აღმოჩნდნენ:

„ცასა და დედამიწას

ემძიმება

ახალი სახლები

მზეს (ამომავალს და ჩამავალს)

რომ ეფარებიან“.

დაირღვა სამყაროს კანონზომიერება. დაირღვა ჰარმონია. გზამკვლევი გაიარა. ხიდი აშენდა. ვერავინ შენიშნა, რომ ძილი გაუტყდათ ხეებს, არავინ არაფრად ჩათვალა, რომ თევზი აღარ მოვიდა ნაპირთან. სამყაროში, რომელიც სიყვარულზე იდგა და სიყვარულითვე იყო ნაშენი, მათვარი დაიკარგა:

„სიყვარულს შესცივდა

და სახლის შორეულ

კუთხეში განმარტოვდა

და ბოლოს იქიდანაც წავიდა,

მაგრამ როდის - არ შეუმჩნევიათ“.

კაცი დაბერდა, ქალი მიიღია - უსიყვარულობა განაჩენი აღმოჩნდა სიყვარულის სამყაროში გაჩენილი ადამიანებისთვის. მაგრამ... გადარჩა ერთი საუნჯე. გადარჩა და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების სამყაროში მისი გადარჩენა სწორედ კომპიუტერულ ენაზე აუწყა მკითხველს ავტორმა:

„გული -

სიყვარულის ფაილში

ათასი დელეტე ვერ გაეკარება“. ამ გულმა კი სამყაროს ბოლოში მდგარ მწვანე ქოხში ორი ადამიანი შეახვედრა, ერთს ხელში კელაპტარი ეპყრა. ესენი შესაძლოა, ცათამბჯენიდან გამოქცეული ადამიანები იყვნენ, სიცარიელეს თავშეფარებულები, სიტბოსა და იმედს მოკლებულები და რაც, მთავარია, კვლავ ქოხში დაბრუნებულები. იმ ქოხში, საიდანაც ერთხელ დაიწყო ვაჟა ხორნაულისეული სამყაროს შექმნის ისტორია. ეს ორი ადამიანი ახალ ისტორიას დაუდებს სათავეს, ახალ შემოქმედს დაელოდება და ახალი სამყაროს დასაბამად იქცევა. იმ სამყაროსი, რომელიც „არ დაბადებულა ერთხელ და სამუდამოდ“...

ბიოლი, ბიოლი, ბიოლი

ჰაინრიხ ბიოლი პირველად სტუდენტობისას გავიცანი, როცა მისი „უკაცო სახლი“ წავიკითხე. ეს არის სევდიანი ამბავი ბიჭუნაზე, რომელსაც მამა ომში დაეღუპა. მის სახლში ომის დასრულების შემდეგ ვინ არ განმგებლობდა, მაგრამ მისი ფოტოსურათი არავის ჩამოუხსნია. დედა უცნაურად ცხოვრობდა, ხშირად იცვლიდა მეგობარ მამაკაცებს, გვიანამდე კითხულობდა და „სუსტ, ლამის მთლად გაბრტყელებულ სიგარეტს ეწეოდა“. მეხსიერებაში ღრმად ჩამრჩა, თუ როგორ ეხმარება ქალაქის დაბომბვის დროს 14 წლის გოგონა მშობიარე ქალს თავშესაფარში, თუ როგორ გადაჭრა ახალშობილს ჭიპლარი სპირტქურაზე გამოხარშული დედამისის სახელსაქმო მაკრატლით და როგორ განაგრძო ცხოვრება დაბობმილი სახლიდან გადარჩენილმა დედა-შვილმა. ბიოლმა დამანახა ნაომარი გერმანიის ტკივილი...

მერე გავიგე, რომ ბიოლი თურმე საქართველოში ყოფილა, თან ორჯერ. იმ ბნელ 90-იან წლებში ხშირად ვსტუმრობდი ბატონ ნოდარ კაკაბაძეს. ქვეყანა ინგრეოდა და მე დისერტაციას ვწერდი სენტიმენტალიზმსა და გოეთეს ვერთერზე. ბატონი ნოდარი ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი იყო, რომელსაც შეეძლო დამწყები მეცნიერისათვის სწორი გზის მითითება. პირველი სტუმრობისთანავე მის სახლში ჩემი ყურადღება მიიქცია უზარმაზარმა ფოტომ, რომელიც მისაღებ ოთახში ყველაზე თვალსაჩინო ადგილას ეკიდა კედელზე. ნათლად ჩანდა, რომ იგი ბატონი ნოდარის ოჯახში ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი იყო. მას უკავშირდებოდა მისი ბევრი მოგონება საბჭოთა ეპოქიდან. მათ შორის ბიოლის სტუმრობა საქართველოში და ქართველ გერმანისტებთან მისი ურთიერთობა.

რამდენადაც უცნაურად არ უნდა ჩანდეს, საბჭოთა კავშირში რამდენიმეჯერ იმოგზაურა ჰაინრიხ ბიოლმა. როგორც ჩანს, ბიოლის შემოქმედების თემატიკა — პატარა ადამიანის ბედი დიდ და წინააღმდეგობებით აღსავსე სამყაროში, მწერლის კრიტიკული დამოკიდებულება კათოლიკური ეკლესიისადმი — მისაღები იყო კომუ-

ნისტური იდეოლოგიისათვის. ამიტომაც ითარგმნა, ალბათ, მისი ნაწარმოებები სსრ კავშირში შემავალი ქვეყნების ენებზე და ამიტომაც გაიღო ბიოლისათვის სოციალისტური სამყაროს რკინის კარი.

ბატონი ნოდარის მოკრძალებულ, წიგნებით საცხე სახლში, მისაღებ ოთახში კედელზე დაკიდებულ ფოტოზე სწორედ ჰაინრიხ ბიოლი, ცნობილი გერმანელი მწერალი, ნობელიანტი და დიდი ქართველი გერმანისტი ნოდარ კაკაბაძე იყვნენ გამოსახულნი, სრულიად ახალგაზრდები, ლიტერატურისა და ხელოვნების სიყვარულით ანთებულნი. ბატონმა ნოდარმა მიაბზო ბიოლის ვიზიტების შესახებ საქართველოში 1962 და 1977 წლებში. პირველ რიგში მის ჰუმანურობას, უპრეტენზიოობასა და უბრალოებას აღნიშნავდა. „დიდებული კაცი იყო, ჩვენი ჰაინრიხი, არაჩვეულებრივი მოლხენა იცოდა!“ — თავისი განუმეორებელი ხავერდოვანი ხმით ჩაილაპარაკა ერთხელ ბატონმა ნოდარმა და სახელზე სასიამოვნო ღიმილი მოეფინა. თავდაც ხომ მოლხენის დიდოსტატი იყო.

მერე ბიოლი ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა. არა იმიტომ, რომ ის ჩემი მწერალია. მიუხედავად უდიდესი ჰუმანიზმისა, მიუხედავად იმისა, რომ ის მართლა დიდი მწერალია, ჩემი მწერალი არაა. მაგრამ მე მას უკვე 25 წელია, ვასწავლი სტუდენტებსა და მოსწავლეებს. ბიოლი უყვართ მათ. ხიბლავთ „კლოუნის თვალთახედვა“. 21-ე საუკუნის ქართველ ახალგაზრდებს ესმით კლოუნის — ჰანს შნირის. ეს ბიოლის გამარჯვებაა.

ბიოლთან შემდგომი შეხვედრა უკავშირდება სტუმრობას გერმანულენოვან ქართველ მწერალთან — გივი მარგველაშვილთან, 2013 წლის ნოემბრის ერთ ცივ საღამოს. საქართველოსა და გერმანიაში რამდენიმეჯერ ემიგრირებული, მრავლისმნახველი და მრავლისგანმცდელი გივი მარგველაშვილი საქართველოში ცხოვრობდა იმ პერიოდში, როცა ბიოლი ჩვენს ქვეყანას ესტუმრა. მას ჯერ კიდევ უცნობმა ქართველმა მწერალმა თავის პატარა ბინაში უმასპინძლა. ბატონი გივის ნაწარმოებები და ნაშრომები მაშინ საქართველოში არ იბეჭდებოდა სხვადასხვა მიზეზის გამო: იგი გერმანულად წერდა! მისი მსოფლმხედველობა იდეოლოგიას არ შეესაბამებოდა! ორი ტოტალიტარული რეჟიმის სისასტიკის განმცდელი ვერ დაწერდა სოციალიზმის სადიდებელ ჰიმნებს. ისიც არ გარისკა, „კაპიტანი ვაკუში“ ბიოლისათვის გაეტანებინა, რადგან, შესაძლოა, ამას პრობლემები გაეჩინა.

ბოლო შეხვედრა ბიოლთან ცოტა ხნის წინ მოხდა კიოლნში — მის მშობლიურ ქალაქში. ჩემმა კეთილმა მასპინძელმა, სოროპტი-მისტმა ურსულა გრაიზერმა, გაითვალისწინა ჩემი სიყვარული ლიტერატურისადმი და სტუმრად მოიწვია მონიკა კიონიგი — ხალისიანი, ტკბილმოუბარი ქალბატონი, დედა, ბებია, ლიტერატურის მცონე და შემფასებელ-დამფასებელი. მონიკაც სოროპტიმისტია. მის გვარს — König — ქართულად თუ ვთარგმნით, მეფეს ნიშნავს. ჰოდა, ეს ისეთი ქალია, რომელიც არასოდეს დაგავინწყდება. მართლა მეფესავით ქალია: თავდაჯერებული, განათლებული, ნათელი და ქალური. ამბის მოყოლის დროსაც თბილი ლიმილი დასთამაშებს სახეზე. კერძაც რომ არჩევს რესტორანში, მაშინაც კი. ბიოლის გახსენებაზე კიდევ უფრო აუციმციმდა თვალები. მონიკა კიონიგი დიდხანს მუშაობდა ჰაინრიხ ბიოლთან და დიდი დამსახურება მიუძღვის მისი ნაწარმოებების გამოცემის საქმეში.

ურსულას ძალზე თანამედროვე და უზადო გემოვნებით აგებულ-მონყობილი სახლიდან კიოლნის ერთ ძველ რესტორანში გადავინაცვლეთ და განვაგრძეთ საუბარი ბიოლზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. კიდევ ერთხელ სასიამოვნოდ გამაოცა მონიკას მონათხრობმა: ჰაინრიხ ბიოლი ძალზე თბილი, თავაზიანი და ერთგული ყოფილა თანამშრომლებისა და კოლეგების მიმართ. სიხარულით ხვდებოდნენ მის გამოჩენას გამომცემლობაში. მოდიოდა თურმე როგორც საკუთარ ოჯახში, წასახემსებელიც კი სახლიდან მოჰქონდა. სადილის დრო რომ მოახლოვდებოდა, ფრთხილად გახსნიდა სათუთად შეფუთულ საჭმელს, გამომცემლობის თანამშრომლებს უნაწილებდა და თვითონაც მათთან ერთად შეექცეოდა. კარგი მეუღლე და კარგი მამა იყო ჰაინრიხ ბიოლი.

გამომშვიდობებისას მონიკამ მის გამომცემლობაში დაბეჭდილი ბიოლის ერთ-ერთი რომანი „ჯვარი უსიყვარულოდ“ მისახსოვრა, რომელმაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ჩემს სამუშაო ოთახში იმ თაროზე, სადაც ბიოლის გერმანულ-ქართული გამოცემები აწყვია. ნაომარი გერმანიის ფერებში შესრულებული წიგნის ყდა მასხენებს ბიოლს, მწერალს, რომელსაც, უკვე ასე მგონია, პირადად ვიცნობდი.

ისტორია

ედიშერ ნარიშანიძე

დავიბადე 1974 წლის 9 იანვარს ასპინძაში. 1996 წელს დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტი.

2000 წელს — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის ასპირანტურა.

2002 წელს დავიცავი დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად საქართველოს ისტორიაში თემაზე: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში 1921-1924 წწ“. ამჟამად ვარ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი.

სარწმუნოებრივი ღვაპრისპირება მისხეთში

(1917 წ. ნოემბერი - 1918 წ. ივნისი)

| მსოფლიო ომი მძიმე და აურაცხელი მსხვერპლის მომტანი იყო საქართველოსთვის, კერძოდ, მესხეთისათვის. მსოფლიო ომის დასაწყისშივე შეიქმნა კავკასიის ფრონტი, სადაც უმეტესად კავკასიის ხალხები იბრძოდნენ.

| მსოფლიო ომის აქტიურმა მონაწილემ - მეფის რუსეთმა 1914 წლის ნოემბერში თურქეთის წინააღმდეგ შეტევა დაიწყო კავკასიის ფრონტზეც. რუსეთის ჯარებმა და რუსულმა იარაღმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს კავკასიის ფრონტზე და ერთიმეორის მიყოლებით ბრძოლებით აიღეს სარიყამიში, არზრუმი, ტრაპიზონი, მაგრამ რუსთა ჯარი მეტად ველარ წავიდა წინ, რადგან 1917 წლის 28 თებერვლის ბურჟაზიულმა რევოლუციამ მოუხსნო. დაემხო მეფის მთავრობა. სოციალ-დემოკრატების (ბოლშევიკების) აგიტაცია-პროპაგანდით ჯარში გავრცელდა ლოზუნგი - „ძირს ომი, გაუმარჯოს მშვიდობას და რევოლუციას!“ მთლიანად მოიშალა კავკასიის ფრონტი. ჯარში მღელვარება დაიწყო. ბოლშევიკები კრებებს აწყობდნენ და ჯარს შინ დაბრუნებისკენ მოუწოდებდნენ.

1917 წლის 25 ოქტომბერს (ახ. სტ. 7 ნოემბერს) რუსეთში ბოლშევიკებმა განახორციელეს კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება და დაამხეს კანონიერი მთავრობა (თავმჯდომარე - ალექსანდრე კერენსკი). იმავე დღისთვის მოწვეულმა რუსეთის

საბჭოების II ყრილობამ გამოაცხადა დროებითი მთავრობის დამხობა და „სოციალისტური რევოლუციის“ გამარჯვება. საბჭოთა რუსეთის მთავრობა და ბოლშევიკური რეჟიმი არ ცნო რუსეთის კავკასიის არმიის ჯარისკაცთა და დეპუტატების სამხარეო საბჭომ და არც კავკასიის არმიის სარდლობამ.

1917 წლის ნოემბერში, დივიზიები, კორპუსები და არმიები თურქეთის ტერიტორიიდან დაიძრნენ - მათ სახლებში მიეჩქარებოდათ. ჯარისკაცებმა ოფიცრები ამოხოცეს და უკან დახევა უსისტემოდ დაიწყეს.

ქაოსურად უკანდახეულ, დაღლილ, ნაომარ ჯარისკაცებს თავის გადასარჩენად რაც შეეძლოთ და რაც გზაში სჭირდებოდათ, ის ტვირთი და იარაღი მიჰქონდათ, დანარჩენი სამხედრო ქონების (ტყვია-წამალი, იარაღი, ტანსაცმელი, სურსათი და სხვ.) ბედი გაურკვეველი იყო. იგი თითქმის უბრძოლველად ფრონტისპირას მცხოვრებ თურქეთის მოსახლეობას ჩაუვარდა ხელში. გამარჯვებულ, მაგრამ დემორალიზებულ და უმართავ რუსულ ჯარს ფეხდაფეხ თურქეთის რეგულარული ჯარი და მაროდოორთა ბანდები, ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ - „ჩათები“ და „ხუჟანები“ მოჰყვებოდა.

ჯერ კიდევ მეფის რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის დროიდან სამცხე-ჯავახეთში თურქები ფართოდ აწარმოებდნენ პანთურქულ აგიტაციას. აქ მოქმედებდნენ თურქეთის ემისრები, დიდი ფული იხარჯებოდა იმისთვის, რომ თურქეთის სასარგებლოდ პოლიტიკური ნიადაგი მომზადებულიყო. თურქები ცდილობდნენ, არ დაეშვათ მაჰმადიან ქართველებში ქართული ორიენტაცია.

მესხ მაჰმადიანთაგან XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა ფანატიკოს პანთურქისტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები, რომლებმაც თავიანთი მიზნები ჯერ კიდევ 1917 წლის რევოლუციის დროს გამოამჟღავნეს. მაჰმადიანი ქართველები ცოდნის მისაღებად თურქეთში მიემგზავრებოდნენ, იქიდან კი პანისლამიზმითა და პანთურქიზმით დამძიმებულნი ბრუნდებოდნენ. ქრისტიანული რელიგიისადმი შიშმა ნაყოფიერი ნიადაგი შეუმზადა თურქეთის პოლიტიკური აგენტების, თურქი ემისრებისა და ავანტიურისტი ბეგ-ალაღარების ერთ ბლოკში გაერთიანებას და ჯამუშების და პოლიტიკური ავანტიურისტების ამ კავშირმა საბედისწერო როლი შეასრულა სამცხე-ჯავახეთის, და, საერთოდ, მთელი მესხეთის ისტორიაში.

პანთურქული აგიტაცია განსაკუთრებით გამოცოცხლდა I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე. ანტიქართულ საქმიანობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ბაქოს ე. წ. „მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების“ წარმომადგენელი, რომლებიც ფართო მუშაობას აწარმოებდნენ ბათუმისა და ყარსის ოლქებში, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. ეს „მოღვაწეები“ საქველმოქმედო მუშაობის საბაზით აშკარა პანთურქულ და ანტიქართულ აგიტაციას მიმართავდნენ. ამ მუშაობას მეთაურობდა კარგად ცნობილი ექიმი სულთანოვი. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის უფროსები აშკარად დადიოდნენ ხალხში და პირდაპირ აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ.

ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანობა, გულგრილად ეკიდებოდა ასეთ აგიტაციას. მიუხედავად ამისა, მათზე დიდ გავლენას ახდენდნენ ქართველი მაჰმადიანი ბეგები და ადგილობრივი მსხვილი მემამულეები, რომლებიც თურქეთისათვის სასარგებლო ნიადაგის მოსამზადებლად პანთურქულ აგიტაციას ეწეოდნენ. ოსმალეთის აგენტი ადგილობრივი რეაქციონერი ბეგები მუსლიმ მოსახლეობაში ნერგავდნენ პანისლამისტურ იდეებს და საქართველოს სანინაალმდეგო საქმიანობას ეწეოდნენ. ათეული წლებით პანისლამისტური და პანთურქული პროპაგანდით მონამლულმა მესხეთის ფეოდალთა ზედა ფენამ ამ დროს თვითშემეცნების (საკუთარი ვინაობის იდენტობის) და ამის საფუძველზე თვითგამორკვევის მაგივრად თურქი ემისრების კარნახით, სამაჰმადიანო საქართველოს მომავლისათვის ბრძოლა დაუკავშირა რელიგიურ პანისლამისტურ და პანთურქულ იდეებს.

პანთურქული წრეების I მსოფლიო ომში წარმატებას უნდა მოჰყოლოდა ოტომანთა „დიდი იმპერიის“ აღდგენა, მასში ამიერკავკასიის, ყირიმის, კავკასიელთა მთიელი ტომების, ვოლგისპირეთის, თვით შუა აზიის გაერთიანებით.

თურქეთი, სამცხე-ჯავახეთში მის მიერ ინსპირირებული ქართველ მაჰმადიანთა აჯანყების დახმარებით, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების დაკავებას შეუდგა...

1917 წლის 17 ნოემბერს აბასთუმანში ჩატარდა კავკასიაში მოსახლე მუსულმანების ყრილობა (საქართველოს დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში), VII სხდომა, 1919, გვ. 5). ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორი (ე.წ.), გენ. შალვა მალლაკელიძე იქ მიიწვიეს, როგორც ამიერ-

კავკასიის ხელისუფლების წარმომადგენელი (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006, გვ.14). ყრილობის მონაწილეთა მიზანს ყარსის მხარის შემადგენლობაში ბათუმის ოლქის, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების გაერთიანება წარმოადგენდა. დასახული ამოცანის განხორციელების შემთხვევაში, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები თბილისის გუბერნიას ჩამოცილდებოდა (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006, გვ. 14). ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, სამცხე-ჯავახეთის საქართველოსათვის ჩამოსაცილებლად საჭირო იყო ბორჯომის გზის განადგურება, ხიდების აფეთქება. ყარსისა და ბათუმის ოლქებისაგან უნდა შეექმნათ სახელმწიფო, რომლისთვისაც შეიძლებოდა მიემატებინათ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. ყარსი მათი ციხე იქნებოდა, არდაგანი გამოკვებავდა პურით და სხვა სურსათით, ხოლო ბათუმი დააკავშირებდა დასავლეთ ევროპასთან; ზოგიერთის აზრით, ამ სახელმწიფოს ავტონომია უნდა მოეპოვებინა თურქეთის ფარგლებში (საქართველოს დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში), VII სხდომა, 1919 წ.).

შალვა მალლაკელიძემ ყრილობაზე პროტესტი განაცხადა და აღნიშნა, რომ საზღვრები ჯერჯერობით უცვლელი უნდა დარჩენილიყო. ამან მაჰმადიანთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, ხოლო აბასთუმნიდან ღამით შინ მიმავალს ორი მხრიდან სროლა აუტეხეს. მოკლეს მის გვერდში მყოფი უნტეროფიცერი და მძიმედ დაჭრეს შალვა მალლაკელიძის პირადი მცველი. გენერალი მალლაკელიძე თავად გადარჩა. მას ახლა მაჰმადიანებმაც დაუწყეს დევნა (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006, გვ.14). მაჰმადიანების აღმასრულებელი კომიტეტის პირველსავე სხდომაზე ახმედ-ბეგ ფეფინოვის წინადადებით ქალაქ ახალციხეს უნდა დარქმეოდა ოსმალური სახელი „ახისხა“. იგი ამტკიცებდა, რომ ეს იყო ქალაქის უძველესი სახელი. აღმფოთებული შ. მალლაკელიძე ახმედ-ბეგ ფეფინოვსა და ომარ-ფაიკს ამგვარი მოქმედებისთვის დაპატიმრებით დაემუქრა, რადგან მათ მოქმედებაში ხედავდა ქართველობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006, გვ.14). ასეთ რთულ სიტუაციაში ახალქალაქში თავი სომხების წარმომადგენლებმაც წამოყვეს (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006, გვ.14). ახალქალაქში

სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა თბილისის გუბერნიიდან ამონერისა და ერევანზე მიწერის დადგენილობა მიიღო. შალვა მალლაკელიძე იძულებული გახდა, სასწრაფოდ ახალქალაქში გამგზავრებულიყო. იქ მან თანამდებობიდან გადააყენა მაზრის სომეხი კომისარი და მის მაგივრად დანიშნა ქართველი (შ. მალლაკელიძე, ნაწყვეტი ახლო წარსულიდან - მესხეთის გარშემო, ყ. „ქართლოსი“, პარიზი, №30-35, 1939, გვ. 92).

1917 წლის ნოემბერში პროთურქული ორიენტაციის ბეგებმა და თურქმა ემისრებმა ახალციხეში შექმნილი თურქული ნაწილები დაძრეს და ქალაქი ალყაში მოაქციეს (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელი (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე ნაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, თბ., 2013, გვ. 247).

ომარ-ფაიკი და ახმედ-ბეგ ფეფინოვი ბაქოდან გამონვეულ აზერბაიჯანელ ოფიცრებთან ერთად დიდ საიდუმლო სამზადისს შეუდგნენ ქართველების მესხეთიდან გასაძევებლად. ყოველივე ეს დაგვირგვინდა იმიტ, რომ 1917 წლის ნოემბერში შალვა მალლაკელიძეს წარუდგა დელეგაცია ზია-ბეგ აბაშიძის მეთაურობით, რომელმაც მაჰმადიანების სახელით შ. მალლაკელიძეს შემდეგი მოთხოვნა წარმოუდგინა: 1) ქალაქი ახალციხე გამოეცხადებინა სამცხე-ჯავახეთის და არტაანის ოკრუგის მთავარ ქალაქად; 2) ახალციხეს დარქმეოდა სახელი „ახისხა“; 3) თავისუფალი ყაზარმები მაჰმადიან მოხალისეთა განკარგულებაში გადაეცა; 4) დაეთმო ოფიცერთა საკრებულოს შენობა მაჰმადიანთა მე-8 პოლკის შტაბისათვის; 5) გარნიზონის უფროსად ქართველის მაგივრად დაენიშნა პოლკოვნიკი ყაჯარი, რომელიც მაჰმადიანთა მე-8 პოლკის უფროსად იყო დანიშნული თბილისიდან და რომელსაც გენერალი მალლაკელიძე ახალციხეში არ უშვებდა; 6) 24 საათში ის და მისი სამხედრო ძალები გადასულიყვნენ ძველ ნაწილში, რაბათში. იმ შემთხვევაში, თუ შ. მალლაკელიძე ამ წინადადებას არ მიიღებდა, მაჰმადიანების შეიარაღებული ძალები დაუყოვნებლივ ქალაქში შემოიჭრებოდნენ და სომხებთან ერთად ქართველ ქრისტიანებსაც ამოხოცავდნენ.

ზია-ბეგ აბაშიძემ განუცხადა გენერალს, რომ მთელი ქალაქი ალყაშემორტყმული იყო - აბასთუმნის გზიდან ახალციხის საზღვრებს მოადგა ქვაბლიანის მუსულმანთა რაზმი, რომლის სათავეში იდგა შ. მალლაკელიძის კომისარი ბალჩი-ბეგ მაჩაბელი;

ანყურიდან ახალციხეზე მოვიდა ომარ-ფაიკისა და ახმედ-ბეგ ფეფინოვის რაზმი; სოფ. ურავლის მხრიდან კი აჯანყებულები სოფ. მინაძის ხიდს გადმოსცდნენ და ქალაქის ასაღებად მხოლოდ საერთო ხელმძღვანელის - ომარ-ფაიკის ბრძანებას ელოდნენ. შ. მალლაკელიძემ დელეგაცია დააპატიმრა (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006, გვ. 15).

ამასობაში აჯანყებულ მუსულმანთა რაზმებმა ახალციხის შემოსასვლელთან სომხების ორი სოფელი დაიკავეს, ტყვედ აყვანილი ხალხი სარდაფებში ჰყავდათ მძევლებად ჩამწყვდეული და მათ მოკლე ხანში დახოცავდნენ. შ. მალლაკელიძე ამ ფაქტმა მეტად აღაშფოთა (შ. მალლაკელიძე, მოგონებანი, ჟ. „განთიადი“, №1, 1991, გვ. 27).

მან ცხენოსანი რაზმი, რომელიც ინგუშებისაგან და ოსებისაგან შედგებოდა, გამოიძახა (შ. მალლაკელიძე, ნაწყვეტი ახლო წარსულიდან - მესხეთის გარშემო, ჟ. „ქართლოსი“, პარიზი, №30-35, 1939, გვ. 98) და 60 ცხენოსნით (მეთაური - ეფენდიევი) გაეშურა აჯანყების მეთაურთან - ომარ-ფაიკთან შესახვედრად (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006, გვ. 15). აჯანყებულნი ბორჯომის მიმართულებით იყვნენ დაბანაკებულნი. ომარ-ფაიკმა შალვა მალლაკელიძეს თანამშრომლობა შესთავაზა: „საუკუნეების მანძილზე, ახალციხე-ახალქალაქისა და ფოცხოვის კუთხეები ჩვენი წინაპრებისა იყო, დღეს თვით ცენტრი ახალციხე ერზრუმელი სომხების ხელშია და ვერ შევურიგდებით ანი ამ მდგომარეობას. სისხლის დაუღვრელად ქალაქში შეგვიშვი, საღამომდის მთელ სომხობას ამოვხოცავთ და შემდეგ მოვილაპარაკოთ ჩვენ - ქართველმა მაჰმადიანებმა და თქვენ - ქრისტიანმა ქართველებმაც ჩვენ ძმებ თურქებთან და სხვა მაჰმადიანებთან, რომელთა რიცხვი მაზრაში ყველა სხვა ხალხის რიცხვს ჭარბობს“ (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006, გვ.15). თან გენერალს აუწყა, რომ ახალციხე ყოველმხრივ გარშემორტყმული იყო, მათ რიგებში ბევრი იყო აჭარელი, ჯავახი და ფოცხოველი, რომ მათი გამარჯვება უეჭველია და ამიტომ ტყუილად ნუ გადაეკიდებოდნენ ერთმანეთს სომხების გამო (შ. მალლაკელიძე, ნაწყვეტი ახლო წარსულიდან - მესხეთის გარშემო, ჟ. „ქართლოსი“, პარიზი, №30-35, 1939, გვ. 98).

როგორც შ. მალლაკელიძე იგონებს, მისთვის მიუღებელი იყო ომარ-ფაიკის შეთავაზებული წინადადება, რის გამოც იარაღით

დაუპირისპირდა მას. შალვა მალლაკელიძეს პროთურქული ძალების მიერ მოწყობილი აჯანყების ჩაქრობაში უნდა გამოეყენებინა ინგუშებისა და ოსებისგან შედგენილი 60 კაციანი რაზმები - ეფენდიევის მეთაურობით. მოულოდნელად ეს რაზმებიც აჯანყებულთა მხარეზე გადავიდნენ. შალვა მალლაკელიძემ, ამ ლალატის მიუხედავად, ომარ-ფაიკი დააპატიმრა და ახალციხეში მიიყვანა. ვინაიდან ომარ-ფაიკი აჯანყების მეთაური იყო, აჯანყების სხვა ლიდერებმაც, კერძოდ, ბაღჩი-ბეგ მაჩაბელმა ხალხი დაშალა.

შალვა მალლაკელიძის მოგონებებიდან ირკვევა, რომ აჯანყებას ფარულად ხელმძღვანელობდა ვინმე სპარსელი პოლკოვნიკი ყაჯარი, რომელიც რუსეთმა თითქოს თავის სამსახურში გადაიბირა. ომარ-ფაიკის მეთაურობით იგი ამ აჯანყების სულისჩამდგმელი იყო და თურქეთის სასარგებლოდ მუშაობდა (შ. მალლაკელიძე, მოგონებანი, ჟ. „განთიადი“, №1, 1991, გვ. 28).

შ. მალლაკელიძემ აჯანყებულებს მოსთხოვა, დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ იმ ორი სოფლის მცხოვრებნი, რომლებიც დაპატიმრებულები ჰყავდათ.

ომარ-ფაიკმა მას ისევ მისცა ერთგულების ფიცი, თუმცა გენერალი მალლაკელიძე მას უკვე აღარ ენდობოდა (შ. მალლაკელიძე, მოგონებანი, ჟ. „განთიადი“, №1, 1991, გვ. 28-29) და არც თუ უსაფუძვლოდ. აჯანყებულნი არ დაცხრნენ... მათ მომავალი ბრძოლის სანყის ეტაპად კი დასახეს რეგიონში მცხოვრები ქრისტიანული მოსახლეობის გენოციდი.

შ. მალლაკელიძემ დაიწყო აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლო მზადება, სახელდახელო რაზმების შექმნა და მათი შეიარაღება. ქ. ახალციხე სამხედრო ბანაკად გადაიქცა.

აჯანყებულთა წინააღმდეგ შ. მალლაკელიძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა შემდეგი საბრძოლო რაზმები: სომხების ათასეული პოლკოვნიკ კაჭახიძის ხელმძღვანელობით, ქართველ ოფიცერთა რაზმი კაპიტან აბაშიძის მეთაურობით, ქართული ბატალიონი პოლკოვნიკ კობეშაიძის მეთაურობით, აგრეთვე ახალციხის ციხეში მყოფი არტილერია.

აჯანყებულ ქართველ მაჰმადიანთა ძალები ოთხჯერ სჭარბობდნენ ახალციხის დამცველთა ძალებს, მაგრამ ამას არ შეუშინებია ისინი. შეტევა დაიწყო დილის 5 საათზე კაპიტან აბაშიძის ქართველ ოფიცერთა რაზმის იერიშით, შემდეგ ბრძოლაში ჩაება სომხების ათასეული პოლკოვნიკ კაჭახიძის მეთაურობით. 2 საათის ბრძოლის

შემდეგ აჯანყებულნი დამარცხდნენ და აწყურისაკენ დაიხიეს. ქართულმა ბატალიონმა პოლკოვნიკ კობეშავიძის მეთაურობით აბასთუმნის მიმართულებით შეუტია მტერს და უკუაქცია. სოფელ მინაძესთან იბრძოდა პოლკოვნიკ იესე ვაჩნაძის რაზმი, აჯანყებულნი აქაც დამარცხდნენ (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006, გვ. 16-17). როდესაც ქართულმა ჯარმა შეტევა დაიწყო სოფელ მინაძესთან დაბანაკებულ აჯანყებულთა წინააღმდეგ, ამ დროს დასავლეთიდან, ზურგიდან ქართულ ჯარს თავს დაესხნენ სოფელ ჭაჭარაქთან სომხური შეიარაღებული რაზმები, თუმცა ურავლის აჯანყებულთა რაზმი განადგურებულ იქნა და გაიფანტა მთებში (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელი (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი), თბ., 2013, გვ. 96).

დამარცხებისგან გაბოროტებული აჯანყებულნი ქრისტიანულ სოფლებს შეესივნენ და დაარბიეს. სოფლებმა დაიწყეს ზრუნვა თავდაცვისთვის (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006, გვ. 17). (ადგილობრივი ქრისტიანი ქართველი მოსახლეობა მათ შემოსევებს, თავდასხმებს „თალანს“ უწოდებდა (ნ. ყრუაშვილი, ხიზაბავრა, თბ., 2009, გვ. 103). ე.წ. „თალანის“ დროს კი მაჰმადიანები ძარცვავდნენ სოფლებს. მიჰქონდათ ყველაფერი, რის წაღებასაც შეძლებდნენ, აუბატიურებდნენ ქალებს, უმონყალოდ ხოცავდნენ მამაკაცებს (ე.წ.)).

1917 წლის დეკემბერში მაჰმადიანმა ბეგებმა სამხრეთ საქართველოს მომავლის საკითხის განსახილველად აბასთუმანში ყრილობა გამართეს, რომელზეც მიიღეს შემდეგი შინაარსის დადგენილება: ახალციხე-ახალქალაქის მაზრები, ფოცხოვი, აჭარა, შავშეთი, არტაანი მთელი თავისი ტერიტორიითა და ხალხით (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელი (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი), თბ., 2013, გვ. 247), როგორც სუნას მიმდევარი ერთმორწმუნე, უნდა გამოყოფოდა ამიერკავკასიის კომისარიატს და გასულიყო თბილისის გუბერნიიდან.

ყრილობის დადგენილებაში არსად არ იყო ნახსენები და გათვალისწინებული მესხეთში მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობა და მათი ინტერესები (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელი (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი), თბ., 2013, გვ. 247).

რენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი), თბ., 2013, გვ. 248).

1917 წ. 15 ნოემბერს ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა - ამიერ-კავკასიის კომისარიატი (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005, გვ. 30) (თავმჯდომარე - სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) ევგენი გეგეჭკორი, - ე.წ.) და შეიქმნა ახალციხის საგენერალ-გუბერნატორო. გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა ახალგაზრდა შალვა მაღლაკელიძე (1894 - 1976) (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005, 30). სამაზრო კომისარიატი, რომელსაც მთელი მხარის ბედი ებარა, ასე გამოიყურებოდა: მაზრის უფროსი - როტმისტრი გუდიევი (ეროვნებით ინგუში, ფანატიკოსი მუსულმანი, პანთურქისტი. სომხების მოძულე, ქრისტიანების დაუძინებელი მტერი (შ. მაღლაკელიძე, ნანყვეტი ახლო წარსულიდან - მესხეთის გარშემო, ჟ. „ქართლოსი“, პარიზი, №30-35, 1939, გვ. 342), სკოლების ინსპექტორი - მიტროფანოვი, აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე - ომარ-ფაიკ ნამენზადე(ყოფიანი), აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე - ახმედ-ბეგ ფეფინოვი (ომარ - ფაიკის დისწული).

სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელი და, რაც მთავარია, საკუთარი მთავრობის აქტიურ და ჭკვიან თანადგომას მოკლებული შალვა მაღლაკელიძე მარტოდმარტო, პირისპირ დარჩა მომზადებულ, შეიარაღებულ, უცხო ქვეყნებთან დაკავშირებულ და მათგან ზურგგამაგრებულ ანტიქართულ ძალებთან, რომლებსაც არანაირად არ უნდოდათ დაეშვათ მაჰმადიანი ქართველობის სამშობლოსკენ შემობრუნება.

სამოქალაქო ომი კარს იყო მომდგარი. შ. მაღლაკელიძე - ჭკვიანი, გაბედული, პატრიოტი გენერალ-გუბერნატორი, გრძნობდა გარდაუვალ სამიშროებას და არაფრის შეცვლა არ შეეძლო. თუმცა ის ხვდებოდა, რომ ქართველ ბეგებთან, ყოველ შემთხვევაში მათ დიდ ნაწილთან საერთო ენის გამონახვა შეიძლებოდა. საჭირო იყო განსაკუთრებული პოლიტიკის გატარება, ფრთხილი მოპყრობა, აგრარული რეფორმის დროს ბეგების ინტერესის გათვალისწინება, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ ხედავდა ამ საკითხში მთავრობის სათანადო ყურადღებას (შ. მაღლაკელიძე, ნანყვეტი ახლო წარსულიდან - მესხეთის გარშემო, ჟ. „ქართლოსი“, პარიზი, №30-35, 1939, გვ.27).

1917 წ. დეკემბერში სოფ. უდემი მოვიდა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სკოლა-მონასტრის გამგე, პატრი შალვა ვარდიძე. აჯანყებულ ქართველ მაჰმადიანთა თავდასხმის გამო სოფელი აყრილიყო და გახიზნულიყო ვალეში. სოფლის მკვიდრთა უკან დაბრუნების შემდეგ, შალვა ვარდიძემ რაფიელ აფრიამაშვილთან ერთად შექმნა მოხალისეთა 100 კაციანი რაზმი, რომელსაც სამხედრო საქმეს ასწავლიდნენ. აქედან 50 კაცი უდივლებზე (ნასოფლარია სოფელ უდეს ზემოთ) მორიგეობდა (რ. ანდლულაძე, პატრი შალვა ვარდიძე, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №10(94), ოქტომბერი, 2006, გვ. 6).

აჯანყებული ქართველი მაჰმადიანები 1917 წლის 27 დეკემბერს, ღამის 12 საათზე, გარშემოერტყნენ ახალციხეს, სადაც სოფლებიდან გამოქცეული ქრისტიანი მცხოვრებლები (ქალები, ბავშვები, მოხუცები) შეხიზნულიყვნენ (გაზ. „სახალხო საქმე“, №140, 1918). მაჰმადიანები ახალციხეს ორი (მინაძე-მუსხისა და ვალე-არალიუდის) მხრიდან უტევდნენ და თოფებით, ხელკეტებითა და ორთითებით შეიარაღებულებს სურდათ მისი აღება. ახალციხის ალყა დიდხანს გაგრძელდა (გაზ. „სახალხო საქმე“, №18, 1918).

28 და 29 დეკემბერს, შეიარაღებულმა მაჰმადიანებმა ალყა შემოარტყეს და სროლა აუტეხეს ახალციხის ციხე-ქალაქს დასაკავებლად. მათ სროლას პასუხი გასცეს მეციხოვნეთა მეტყვია-მფრქვევეებმა და შეიარაღებულმა მოქალაქეებმა. შემდეგ საქმე იქამდე გამწვავდა, რომ ქალაქგარეთ, მაზრაში ყველა გზატკეცილი შეკრულ იქნა უკანდახეული მაჰმადიანებისაგან და ყველა მგზავრს ძარცვავდნენ (გაზ. „სახალხო საქმე“, №155, 1918).

ომარ-ფაიკი მაჰმადიანებით დასახლებულ სოფლებს ამცნობდა, რომ ნიკოლოზი აღარ იყო რუსეთის იმპერიის იმპერატორი, მოუწოდებდა მათ ებრძოლათ დამოუკიდებლობისათვის. ის აშკარად თუ ფარულად მოსახლეობას თოფისა და ტყვია-წამლის მომარაგებას ურჩევდა (ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №6(90), ივნისი, 2006, გვ. 7). ამ მიზნით ის 1917 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში სოფელ ხერთვისსაც ეწვია, სადაც 700 კომლი მუსულმანი ცხოვრობდა. აქ, ციხესთან, ე. წ. „ყურბანდვიზზე“ (ე.ი. „სადვთო ველზე“, - ე.წ.) შეკრებილ უამრავ ხალხს შეფარვით მოუწოდა, რომ ვინც მუსულმანი იყო, იმ დღიდან უნდა ჰყოლოდა ერთი კრუხი და

ორასი წინილა, ე. ი. უნდა ჰქონოდა ერთი თოფი და ორასი ვაზნა (ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №6(90), ივნისი, 2006, გვ. 7). თითქმის ანალოგიური იყო სხვადასხვა სოფელში აჯანყების მომზადების და დაწყების სცენარი.

მაჰმადიანებმა ყველა სოფელში დაიწყეს ჯარის შეგროვება და მათი წვრთნა. ჯარის მეთაურები იყვნენ: ხერთვისელი ბეგები - ძმები აბას-ალა და ალალი-ბეგ მაჩაბლები, ბილალი-ბეგ ვაჩნაძე, ქვეშალი-ბეგ და ხალი-ბეგ ვაჩნაძეები, ასპინძაში - ფეფიკ-ფაშა ეფენდიევი, სოფ. ოშორაში - პოლკოვნიკი ჰამიდ-ბეგი თავისი ორი შვილით, ფერი-ბეგ და ყაფლან-ბეგ ავალიშვილები, ახალციხეში - ზია-ბეგ სარაბჩიევი, აბასთუმანში - სერვერ-ბეგ ათაბეგი, ადიგენში - ბაღჩი-ბეგ მაჩაბელი, სოფელ თოკის ბეგები - აბაშიძეები და სოფელ ტოლოშში - ჰასან-ბეგი (მას მეტსახელად „ივანე მრისხანეს“ ეძახდნენ). ეს ბეგები იყვნენ ძველი გამაჰმადიანებული, გადაგვარებული ქართველი თავადების ჩამომავლები, რომლებიც მაინც ქართულ გვარებს ინარჩუნებდნენ და ამაყოფდნენ კიდეც. არღანში, ჩილდირში, გველაში მერაბლი-ბეგმა შეაგროვა მრავალრიცხოვანი ცხენოსანი რაზმი, რომელზედაც ქართველი მაჰმადიანები დიდ იმედებს ამყარებდნენ. ხოფაში რუსეთის ჯარების მიერ მიტოვებული დიდძალი იარაღი იგდეს ხელში თურქებმა და იქიდან იზიდებოდა და ეძლეოდა ადგილობრივ მაჰმადიანებს (ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №6(90), ივნისი, 2006, გვ. 7). (1917 წლის გაზაფხულზე, როცა რუსის ჯარმა უბრძოლველად მიატოვა ყარსის მხარე და გზად სოფელ არალში გაიარა, ადგილობრივმა მაჰმადიანმა მოსახლეობამ მისგან დიდი რაოდენობით ტყვიანამალი და ზარბაზანი შეიძინა და შემდეგ საიდუმლოდ გადამალა). (20;9).

შეიქმნა აუარებელი რაზმები - „ჯანბეზარი“, ე. ი. „სიცოცხლე მობეზრებულთა“ ბანდები. მოლები მათ ეუბნებოდნენ: „ჩვენ ქითაბში, ე. ი. წიგნში (იგულისხმება მუსულმანთა საღვთო წიგნი - „ყურანი“, ე.ნ.), გვინერია, რომ ვინც ბევრ გიაურს მოკლავს, ე.ი. ქრისტიან კაცს, სასუფეველში კარგ ადგილს დაიმკვიდრებსო“ (ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №6(90), ივნისი, 2006, გვ. 7). ასპინძის, ხერთვისის და ნიალის მხარეს მაჰმადიანთა რაზმები,

რომელთაც ხელმძღვანელობდნენ სოფ. ოშორის მოლა მურთაზ მუსტაფა - ოლი, სოფ. ვარნეთის მოლები რუფათ შარიფ-ოლი და მუში ასრათ-ოლი, სოფ. ახაშნის მოლა ალი სოსან-ოლი და სოფ. ტოლოშის ბეგი ასლან-ბეგ ხიდირბეგოვი, თურქეთის აქტიური დახმარებით მუდმივ ბრძოლებს აწარმოებდნენ, ხალხს ძარცვავდნენ და ანიოკებდნენ (დ. კოჭორიძე, სამცხე-ჯავახეთი, წარსული და დღევანდელი, თბ., 1987, გვ. 107-108). ქართველი მაჰმადიანი ბეგები არტაანის, ერუშეთის, შავშეთის, ფოცხოვის ბეგებთანაც იყვნენ დაკავშირებულნი. მაგ., არტაანში მოქმედებდა 100 ცხენოსანი თურქისაგან შემდგარი ბრბო აბდულ-ალას მეთაურობით (გაზ. „საქართველო“, №72, 1918).

მაჰმადიანები აქტიურად იარაღდებოდნენ და გარე სოფლებში ვარჯიშობდნენ. ემზადებოდნენ ომისათვის. აშკარა საბრძოლო მოქმედებებთან ერთად აქტიურად მუშაობდნენ პროვოკატორები. ვრცელდებოდა ხმები იმის შესახებ, რომ მაჰმადიანები სხვადასხვა სოფელსაც ესხმოდნენ თავს და იტაცებდნენ ქალებს, ბავშვებს, საქონელს და სხვა სიმდიდრეს. ეს ხმები ქრისტიან მოსახლეობას განაწყობდა მუსულმანების წინააღმდეგ. ასეთი ხმების გამავრცელებლები ისინი იყვნენ, ვისაც ძალიან უნდოდა ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველობა ერთმანეთს წაკიდებოდა და რაც შეიძლება უნდობლად განწყობილიყვნენ ერთმანეთის მიმართ (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელი (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი), თბ., 2013, გვ.248).

აჯანყებულმა ქართველმა მაჰმადიანებმა აწყურთან ჩაკეტეს გზა და 1918 წლის იანვრიდან სამცხე-ჯავახეთი საქართველოს მოსწყვიტეს.

თურქეთის არმიის მთავარსარდლის, ვეხიბ-ფაშას დავალებით (ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, 1783-1990, თბ., 1991, გვ. 106), ახალციხის ქემალ-ფაშამ - ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის მაჰმადიანი მოსახლეობისაგან შეადგინა მოხალისეთა 7 ათასიანი ჯარი, რომელსაც შეუერთეს თურქ-ოსმალთა რეგულარული არმიის რამდენიმე ათასეული და დაძრეს სამცხე-ჯავახეთისაკენ. ისინი წვრთნას ასპინძასა და ხერთვისში გადიოდნენ.

არც ადგილობრივი ქართველები იყვნენ უმოქმედოდ. ყველა ხედავდა, რომ ყოფნა-არყოფნის საკითხი ახლა წყდებოდა. 1918 წლის დასაწყისიდან სოფ. ხიზაბავრაში ალექსანდრე სიმონის ძე

ხუციშვილის თაოსნობით ბაკურიანიდან გადმოიტანეს 600 შაშხანა, 4 ტყვიამფრქვევი, ერთი ზარბაზანი და აურაცხელი ტყვია-წამალი. ამას დაუმატეს კავკასიის ფრონტიდან დაბრუნებულთა შაშხანები და თავდაცვის საქმეს სამხედრო თვალსაზრისით ორგანიზებული სახე მისცეს. ხიზაბავრელებმა შექმნეს მოხალისეთა ათასეული. მათ 56 კაცი სოფ. საროდან მიეშველა, 10 - სოფ. ვარგავიდან, 7 - სოფ. თოკიდან და 125 - ჯავახეთის სხვადასხვა სოფლიდან.

ათასეული დაიყო ასეულებად, ოცეულებად და ათეულებად. თითოეულ ქვედანაყოფს არმიიდან დაბრუნებული ჯარისკაცები დაუნიშნეს მეთაურებად (პ. პაპაშვილი, განწირული ათასეული, გაზ. „ასპინძა“, №34(1888), 18. 03. 1967, გვ. 4).

პირველ ასეულს ხელმძღვანელობდა პავლე სიმონის ძე ლეკიშვილი, მეორეს - ვასილ სტიფანეს ძე ფილიშვილი, მესამეს - ბაგრატ ყრუაშვილი, მეოთხეს - ამბროსი ველიჯანაშვილი. ამ უკანასკნელის მეზარბაზნედ გადაყვანის გამო ასეულს მიხეილ ხუციშვილი ჩაუდგა სათავეში. ტყვიამფრქვევები ასეულებზე იყო მიმაგრებული, ხოლო ქვემეხს კი საერთო ხელმძღვანელი ეფრემ ველიჯანაშვილი მართავდა.

ყოველ ასეულს თავისი უბანი მიუჩინეს. პირველი ასეული განლაგებული იყო გორაბანზე და იცავდა ასპინძიდან ახალქალაქისა და ხიზაბავრისკენ მიმავალ გზას, ამასთან კონტროლს უწევდა ჩიხორიშის ხეცს. მეორე ასეული დაბანაკდა რუსხმულში. ისინი დარაჯობდნენ ასპინძიდან სოფ. დამალაზე გავლით ჯავახეთისაკენ მიმავალ გზას, ხოლო მესამე და მეოთხე ასეულები იცავდნენ ორმოციდან, ხერთვისსა და შვიდრაფანტიდან მომავალ გზებს. ქვემეხი დადგმული იყო ჯერ სახიზრის თავზე, შემდეგ კი - ხიზაბავრის დასავლეთით.

ათასეულის სული და გული ეფრემ ველიჯანაშვილი იყო. იგი ითვლებოდა მის ოფიციალურ მეთაურად, რომელმაც, მართლაც, რკინისებური დისციპლინა დაამყარა ქვედანაყოფებში. ეფრემი უნერგავდა მეზრდოლებს თავგანწირვას, მხნეობას და სიმამაცეს. იგი ბრძოლაში ბევრჯერ შეფერხებულ ათასეულს პირადი მაგალითით ამხნევებდა და იერიშზე მიჰყავდა.

ათასეული იცავდა არა მარტო ხიზაბავრას, საროს, ვარგავსა და თოქს, არამედ მთელ ჯავახეთსაც, რადგან იგი კეტავდა, კონტროლს უწევდა და იცავდა ჯავახეთისაკენ მიმავალ ყველა გზას. თურქ მოთარეშეებს შიშის ზარი დასცეს გამირმა მეზარბაზნეებმა,

რომლებიც 1918 წლის იანვრის დასაწყისიდან თებერვლის ბოლომდე განუწყვეტლივ ურტყამდნენ ასპინძასა და ხერთვისს. 1918 წლის 28 თებერვალს ზარბაზანი მწყობრიდან გამოვიდა, რამაც ამბროსი ველიჯანაშვილი იმსხვერპლა, ხოლო რამდენიმე მძიმედ დაშავდა და დასახიჩრდა (პ. პაპაშვილი, განწირული ათასეული, გაზ. „ასპინძა“, №36(1890), 23. 03. 1967, გვ. 3).

სომხების სამხედრო პოსტი იყო კუმურდოში, ქრისტიანების-საროში. სომხებმა რუსების იარაღის საწყობი გატეხეს, იარაღი გამოიტანეს და დაარიგეს. კოთელიელები და ბარაღეთელები წავიდნენ თბილისში და იქიდან მოიტანეს იარაღი და ტყვია-წამალი. ვინც ჯარში იყო ნამსახური, ხუთსასროლიანი ვინტოვკები დაუ-რიგეს, ვინც არა, - „ბერდენკები“ მისცეს (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005, გვ. 52). გოკიოში და ფრანგტურცხში მოიტანეს ზარ-ბაზნები და დადგეს . 1918 წელში სოფელ ხიზაბავრის მღვდელს და ამავე სოფლის მკვიდრს სანდრო ხუციშვილს გადმოჰქონდათ ხოლმე ტყვია-წამალი (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005, გვ. 446) ბაკურიანიდან (ე.ნ.).

1918 წლის 6 (19) იანვარს გარეკეს რუსეთის დამფუძნებელი კრება. 1918 წლის 10 (23) თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატ-მა მოიწვია ამიერკავკასიის სეიმი. სეიმი რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არჩეული ამიერკავკასიელი დეპუტატებისაგან შედგებოდა. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (საქართველოს ისტორია, XX ს., ვ. გურულის რედ., თბ., 2003, გვ. 53).

თურქეთის არმიამ 1918 წლის 4 თებერვალს დაიბრუნა ბაი-ბურთი, ხოლო 8 თებერვალს — მამახათუნი (უფრო ადრე, 1917 წ. 30 დეკემბერს, თურქეთმა დაიბრუნა ქ. ერზინჯანი) (ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ 16).

1918 წლის 3 მარტს ქ. ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთს, გერმანიასა და მის მოკავშირეებთან დადებული სეპარატისტული ზავის პირობებით გერმანიის მოკავშირემ - თურქეთმა მიიღო ბათუმის, ყარსისა და არდაგანის (არტაანის) ოკრუგები.

ახალი წიგნები

„კლარჯეთი“

ტაო-კლარჯეთის კვლევის ბათუმის სკოლამ, რომელიც დიდი წარმატებით იკვლევს ისტორიულ საქართველოს თურქეთის რესპუბლიკაში, მკითხველს შესთავაზა კომპლექსური მონოგრაფია „კლარჯეთი“, რომელიც დაინერა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წიგნი, A4 ფორმატის 1088 გვერდს მოიცავს, რედაქტორია ცნობილი მეცნიერი პროფესორი **მამია ფალავა**.

მონოგრაფია ორნაწილიანია. პირველ ნაწილში შევიდა შემდეგი თავები: კლარჯეთის ისტორიიდან; კლარჯეთის მატერიალური კულტურის ძეგლები; ლიტერატურულ - მნიშვნობრული კერები კლარჯეთში; კლარჯული სოფლები; კლარჯეთის ეთნოგრაფია; კლარჯული ფოლკლორი; კლარჯული კილო; კლარჯეთის ტოპონიმია; მეორე ნაწილში წარმოდგენილია: კლარჯული ფოლკლორის მასალები და კლარჯული კილოს მასალები.


წიგნი მკვლევართა ჯგუფის მრავალწლიანი შრომის ნაყოფია. გამოკვლევაში გამოყენებულია 2007-2015 წლებში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომელთა მიერ სავსე ექსპედიციებით შეკრებილი მასალები.

კლარჯეთის კვლევის განწყვეტილი ხაზი მე-20 საუკუნეში, შეიძლება ითქვას, რომ აღდგა 21-ე საუკუნის დასაწყისში და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორა დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებს. მონოგრაფიის სხვადასხვა ნაწილის ავტორებია: **შოთა მამულაძე, რამაზ ხალვაში, მალხაზ ჩოხარიძე, ნუგზარ მგელაძე, თინა შიოშვილი, მერი ცინცაძე, მამია ფალავა, მამია მარმიძე. შოთა გაბუცაძე ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე.**

ნაშრომს ახლავს პროფესორ მალხაზ ჩოხაროძის რუკები ასევე მრავალი ფოტო, ეთნოგრაფიული მასალის სქემები ისტორიულ ძეგლთა **გ. დუმბაძის** გეგმები და სხვა.

მონოგრაფია ისტორიული კლარჯეთის ერთიანი სურათის შექმნის პირველი ცდაა. იგი დააინტერესებთ საქართველოს ისტორიით, ეთნოლოგიით, ქართული მწერლობით, ფოლკლორით, დაილექტოლოგიით და ონომასტიკით დაინტერესებულ მკვლევრებსა და მკითხველს.

ვულოცავთ ქართულ საზოგადოებას კლარჯეთის კვლევის ამ შესანიშნავი, საეტაპო შრომის გამოსვლას.



სარჩევი

<i>ჰოვია</i> გურამ პეტრიაშვილი	3
<i>ჰოვია</i> გიორგი ხულორდავა	11
<i>ჰროზა</i> დუმშიშხან ბერიძე, რუსეთი რა პარტი სარ, ჩინორიშო!	16
<i>ემიგრანტული ჰოვია</i> ნანა მეფარიშვილი, ამერიკა	36
<i>ემიგრანტული ჰოვია</i> მარინა თოფურია-გახოკიძე, იტალია	44
<i>ემიგრანტული ჰოვია</i> თათაოზ რუხელი, რუსეთი	57
<i>ესე</i> მალხაზ ლომსაძე ოთარ გამყრალიძე - ღვანღმოსილი მიცნიერი და კეღაგომი	63
<i>თარბმანი</i> მიხეილ ლერმონტოვი	71
<i>ნაფირობა</i> ივანე ჯაფარიძე ორკპირინანი ნადროგის თავგაღასავალი	79
<i>რუსთავილი 150</i> დიანა ანფიმიადი ნაცნოგი, უცნოგი ამგები	105
<i>ია ლადუა</i> ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა	108
<i>თარბმანი</i> იონის ბულიასი, საბერძნეთი ეკუთვნის თუ არა საქართველო ევროგას	113

<i>პრიტიკა</i> <i>ვანტანგ ინაური</i> ვაჟა ხორნაშულის ლირიკა	119
<i>ესე</i> <i>მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე</i> „სამყარო - სიყვარულის სავანე“	125
<i>ესე</i> <i>ნუგეშა გაგნიძე</i> პიოლი, პიოლი, პიოლი	130
<i>ისტორია</i> <i>ედიშერ ნარიშანიძე</i> სარწმუნოებრივი ღვაწლისპირება მესხეთში	133
<i>ახალი შიგნები</i> „კლარჯეთი“	147

ბამომცემლობა
„ახალციხის უნივერსიტეტი“

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88
ელ. ფოსტა: jurnaliaravi@gmail.com